ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჯახდელი ბიქვინძე

ისლოვანი

(რელიგია: წარსული და თანამედროვეობა)

გამომცემლობა «კანდელი», თბილისი
1998

297
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „კანდელი“ მადლობას მოახსენებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ **გოჩა ჯაფარიძეს** კონსულტაციებისა და თანადგომისათვის

მხატვარი **გია ბუღაძე**

2000
შემოწმებულია

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა

ნაშრომი მიზნად ისახავს მკითხველის ყურადღება მიაპყროს ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიის — ისლამის მოძღვრებისა და მისი ფუძემდებლის — მუჰამედის ცხოვრების ძირითად მომენტებს. თავისი არსებობის ცამეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ისლამს არასოდეს დაუთმია აქტიური რელიგიური პოზიცია, რომელიც იმდენად მჭიდროდ ენასკვებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებას, რომ მათი გათიშვა ხშირად შეუძლებელი ხდებოდა.

საქართველო, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გზაშესაყარზეა, ამასთანავე, სხვა და სხვა მსოფლიო რელიგიების, მათი მიმდინარეობების თუ თანამედროვე რელიგიურ უმცირესობათა მოქმედებების არეალიცაა. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ისლამს, რომელიც თავისუფლად მოქმედებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის გვერდით. ისლამს აღიარებს ქართველი მოსახლეობის ნაწილი, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მუსლიმებზე. ჩვენი უშუალო მეზობლები არიან ისლამური სახელმწიფოებიც. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს, მაშინ გასაგები იქნება ჩვენი ინტერესი ისლამის მიმართ, რომლის კვლევაც საჭიროებს სრულიად ახლებურ დამოკიდებულებას.

K 234.153

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი გულითად მადლობას მოახსენებს ქართველ მეცნიერს ბატონ გოჩა ჯაფარიძეს და წიგნის გამომცემელს – ბატონ ნოდარ ბოკუჩავას საყურადღებო შენიშვნების, რჩევისა და დახმარებისათვის.

ეს პატარა წიგნი მოკრძალებული ცდაა, საზოგადოებას მიაწოდოს ისლამთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა. თუ რამდენად შევძელით ამის გაკეთება, განსჯა თქვენთვის მოგვინდია, პატივცემულო მკითხველო.

რ. წიქვაძე

არაბეთი და არაბები მუჰამედამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აბრაამ არც ურია ყოფილა, არც ქრისტიანი. ღვთისნიერი და ღვთის ნების მინდობილ იყო, წარმართთაგანი როდი ყოფილა. ვინც აბრაამის სარწმუნოებას უფრო ემხრობიან, მისივე მიმყოლნი არიან“.

ყურანი, III-60, 61

„მიუგეს და უთხრეს მას: „ჩვენი მამა აბრაამია!“ იესომ უთხრა: „თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით“.

იოანე 8-39.

ისლამის სამშობლო არაბეთია. აქ მცხოვრები ხალხები მას უწოდებენ „ჯაზირათ ალ-არაბს“ ანუ არაბეთის ნახევარკუნძულს. ნახევარკუნძული ბუნებრივი პირობებით იყოფა ზღვის სანაპირო და უდაბნოებით გარშემორტყმულ რაიონებად. პირველს ეწოდება თიჰამა, მეორეს — ნეჯდი. ჰავა ძირითადად მშრალია.

თავისი მდებარეობით გამოირჩეოდნენ დასავლეთ არაბეთის ოლქები — ჰიჯაზი[1] და იემენი[2]. ჰიჯაზსა და ნეჯდს შორის არსებული ბუნებრივი გასასვლელი ის საქარავნო გზა იყო, რომელიც იემენიდან მიემართებოდა პალესტინისა და სირიისაკენ, ძველი მაკორაბასა და იასრიბის გავლით. ეს ორი ქალაქი ისტორიაში მექასა და მედინას სახელით დამკვიდრდა. საქარავნო გზა ამ ქალაქებს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა. თავდაპირველი მოსახლეობის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. შესაძლოა თავის დროზე აქ ეცხოვრათ ეგრეთ წოდებულ ნაბატეველებს; მოგვიანებით ჩამოსახლებულან იუდეველებიც და ქრისტიანებიც.

ნახევარკუნძულზე მოსახლე ტომების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ არაბი ბედუინები, რომლებიც განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ მრავალშვილიანი ოჯახებისადმი. ასეთ ოჯახებს ხე-

1. „ჰიჯაზი“ ქართულად „დაბრკოლებას, ზღუდეს“ ნიშნავს.

2. „იემენი“ ქართულად „მარჯვნივ მდებარე ანუ სამხრეთის“ ქვეყანას ნიშნავს. ეს სახელწოდება შეერქვა ჩრდილოელი მეზობლებისაგან. მათთვის პირველი ქვეყანა მარჯვენა მხარეს, აღმოსავლეთისაკენ, იემენი იყო.

ლმძღვანელობდნენ გავლენიანი ავტორიტეტის მქონე შეიხები (უფროსები). შიდა საოჯახო საქმეებს და ბავშვების აღზრდას ... ეწეოდნენ. მამაკაცები კი მისდევდნენ მესაქონლეობას, ნადირობას, ვაჭრობას და არც თუ იშვიათად სხვა ტომებსა და ქარავნებს ესხმოდნენ თავს.

არაბეთის ჩრდილოელ ტომებს ეწოდებათ ნიზარიტები, სამხრეთელებს — იემენიტები. პირველს ეკუთვნოდნენ რაბიასა და მუდარის ტომები, რომელთაგან ჩამოყალიბდა მუჰამედის წინაპრების — ყურეიშის ტომი.

ჩრდილოეთ არაბეთში სამი დიდი სამხრეთელი ტომი გადასახლდა. ესენი იყვნენ ლაჰმიდები, ჰასანიდები და ქინდები. მიუხედავად იმისა, რომ ლაჰმიდები ირანელთა გავლენას განიცდიდნენ, დედაქალაქ ხირას[1] მოსახლეობის დიდ ნაწილს ქრისტიანები შეადგენდნენ. მათ უწოდებდნენ იბადებს[2].

მთელი არაბეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქარავნო გზას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ინდოეთს, დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას.

სიტყვა „არაბი" ქართულად „მომთაბარეს, მოხეტიალეს" ნიშნავს, იგი მიგვანიშნებს მათი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ წესზე, რომელიც უდაბნოს მძიმე პირობებში შესაძლებელია ზოგჯერ ფიზიკური გადარჩენის საშუალებაც კი ყოფილიყო.

არაბები თვლიან, რომ არიან ბიბლიური აბრაამის შთამომავლები, აბრაამის ვაჟიშვილის ისმაილის, აგარისაგან რომ შეეძინა, მემკვიდრეები. ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მცხოვრებთ ისმაილიტებს უწოდებდნენ, ხოლო სამხრეთში მოსახლეებს — იოკტანიდებს[3]. ისმაილიტები ემეზობლებოდნენ რა სირიასა და მესოპოტამიას, ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნების მრავალმხრივ გავლენასაც განიცდიდნენ. არც

---

1. „ხირა" ქართულად „სამხედრო ბანაკს" ნიშნავს.

2. „იბად" - ები ქართულად „ღვთისმსახურებას" ნიშნავს.

3. „ყებერს შეეძინა ორი ძე: ერთს ერქვა ფალეგი... მის ძმას ერქვა იაკტანი" (არაბები მას კახტანს ეძახიან — რ. წ.) დაბადება, თ. 10. 25. ფალეგიდან მეხუთე შთამომავალი იყო აბრაამი, მეექვსე კი მისი შვილი ისმაილი; მას დარჩა 12 ძე და ყველა ისინი სახლობდნენ „ხავილადან მოყოლებული შურამდე, ეგვიპტის გასწვრივ, აშურისაკენ..." იქვე, 25-18.

საინტერესო პარალელებია მოცემული ბიბლიის განმარტებებში იაკტანის ძეთა და ... ტომთა სახელებს შორის. იხ. Толковая Библия. А.П. Лопухина. Стокгольм. 1987. გვ. 78, 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არის გასაკვირი, რომ ერთღმერთიანობის იდეაც არაბებმა სწორედ აქედან შეიტყვეს.

არაბთა სოციალური ერთობის თავდაპირველი ფორმებია გვარები და ტომები. აქ ყალიბდებოდა მათი ცნობიერება და პიროვნული თვისებები. ყველა ვაჟი იზრდებოდა მეომრად. როგორც წესი, არაბი მტრის მიმართ დაუნდობელი და შეურიგებელი უნდა ყოფილიყო, აუცილებლად სისხლის ამღები, ამასთანავე, გულუხვი, სტუმართმოყვარე, სუსტის მფარველი და საკუთარი გვარის დამცველი. არაბის პირადი თავისუფლების შემზღუდავი არანაირი წესი, კანონი არ მოქმედებდა. იგი არ იხდიდა არანაირ გადასახადს. ასევე მას ვერ აიძულებდა ვინმე ომში წასვლას. არაბი არავითარ საქმეს არ გააკეთებდა სხვისი ბრძანებით. ის სრული თავისუფლებით სარგებლობდა ქორწინების საკითხშიც. მას შეეძლო იმდენი ცოლი ჰყოლოდა, რამდენსაც მოისურვებდა. გვარში დაბადებული ყველა ბავშვი თანასწორუფლებიანი იყო, განურჩეველად იმისა, თუ ვინ იქნებოდა მისი დედა – თავისუფალი ქალი, მონა თუ მხევალი. არაბისათვის დიდ სირცხვილად ითვლებოდა ვაჟიშვილის არყოლა. ქალიშვილი არაფრად მიაჩნდათ და სიღატაკის გამო გოგოებს ხშირად დაბადებისთანავე კლავდნენ, ან ცოცხლად მარხავდნენ. ამ ბარბაროსულმა წესმა ყურანშიც პოვა ასახვა და მუჰამედის მიერ აიკრძალა. არაბი ქონებასთან ერთად მემკვიდრეობით იღებდა თავისი გვარის სირცხვილ-ნამუსსაც. ის „თავიანთ გვაროვნულობას ისევე სერიოზულად ეპყრობოდა, როგორც თავისი აქლემებისას. არცთუ იშვიათად მას ზუსტად ახსოვდა ექვსი-რვა თაობის რეალურ წინაპართა სახელები“[1].

არაბების სისხლსა და ხორცში გამჯდარი ეს თვისებები მნიშვნელოვნად გამოარჩევდა მათ სხვა ხალხებისაგან. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი შენიშნავდა, რომ „ეროვნული განსხვავებულობა ისეთივე მყარი განსხვავებულობაა, როგორც ადამიანთა რასობრივი სხვაობები – რომ, მაგალითად, არაბები დღესაც ყველგან ისეთებად გვევლინებიან, როგორადაც მათ უძველეს დროს გვისურათებდნენ. კლიმატისა და იმ მიწა-წყლის მთელი იერის უცვლელობა, რომელიც ამა თუ იმ ერს თავის მუდმივ საცხოვრებლად გაუხდია, ხელს უწყობს

1. В.Ф. Панова. Ю.Б. Вахтин. Жизнь Мухаммеда. М., 1991, გვ. 16.

ხასიათის უცვლელობას. უდაბნო იქნება ეს, ზღვასთან სიახლოვეს თუ მისგან დაშორებულობა, – ყველა ამ გარემოებას ძალუძს ხასიათზე გავლენა მოახდინოს"[1].

არაბი ტომების ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს. მათთან გავრცელებული იყო ანიმიზმიც[2] და ფეტიშიზმიც[3], ისევე, როგორც მნათობების თაყვანისცემა. დიდ პატივს მიაგებდნენ ქალღმერთების დედას ლათს. თვით ყურანშიც კი გარკვევით იკითხება წარმართი ღმერთების სახელები: „გინახავთ განა თქვენ ალ-ლათი, და' ალ-უზუ, და მანათი?" (ყურ,LIII-19,20); „და სთქვეს: „არაფრით მიატოვოთ თქვენი ღმერთები... ვადა, და სუვა, და იაგუსა, და ია'უკა, და ნასრა!" (ყურ,LXXI-22,23).

ღმერთების სიმრავლეში არაბები უპირატესობას ანიჭებდნენ თავიანთი გვარების ღვთაებებს. ხშირად მათ გამოსახულებებს კერპების სახით სალოცავად ქა'ბას ტაძარში დგამდნენ. გადმოცემით, მარტო ამ ერთ სალოცავში კერპებისა და ჯინების 300-მდე გამოსახულება მდგარა.

ჰიჯაზელები[4] გამორჩევით ეთაყვანებოდნენ ქვებს. მათი წარმოდგენით ზოგიერთი ქვა „ღმერთების საცხოვრებელთან" იყო ასოცირებული, რასაც სემიტურად „ბეტილებს" უწოდებდნენ. ასეთი ქვები სიწმინდედ განიცდებოდნენ და ბალდახინ[5]გადაფარებული ხშირად ბრძოლის ველზედაც კი მიჰქონდათ მეომართა დასაფიცებლად. გავრცელებული იყო აგრეთვე სტოიმიების, იგივე „დადგმული ქვების" („ნუსუბი") თაყვანისცემაც. ის ქვები, რომელნიც ბუნებრივად მიწიდან იყო ამონაზარდი და ამის გამო მათი გადატანა არ შეიძლებოდა, ადგილზევე გარკვეული ფორმამიცემული, კერპებად ითვლებოდნენ. შესა-

---

1. ჰეგელი. გონის ფილოსოფია. თბ., 1984, გვ. 66.

2. ანიმიზმი – (ლათ. anima სული) პირველყოფილ ხალხებში გავრცელებული რწმენა, რომ ყველა საგანს აქვს სული.

3. ფეტიშიზმი – (ფრანგ. fetichisme) უსულო საგნების თაყვანისცემა, როდესაც მათ მიაწერენ ზებუნებრივ თვისებებს და იყენებენ ბოროტი ძალებისაგან თავდასაცავად.

4. ჰიჯაზელები ეწოდებოდათ დასავლეთ არაბეთის ოლქის ჰიჯაზის მაცხოვრებლებს.

5. ბალდახინ-ი (იტალ. baldacchino) მდიდრულად მოკაზმული ჩარდახი, ხის, ქვის ან ლითონის წინაფრა სვეტების ან ბოძების თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლოა, ქვების თაყვანისცემა არაბ ტომებში მიღებული საერთო-ტომობრივ ციაც ყოფილიყო. ამას ადასტურებს „წითელი ქვის" თაყვანისცემა სამხრეთ არაბეთის ქ. გაიმანის მოსახლეობაში, „თეთრი ქვის" თაყვანისცემა ალ-აბალატის ტომებში და „შავი ქვის" კულტი ქა'ბას ტაძრიდან ქ. მექაში. ამ ქვებს ყველას კუბის ფორმა ჰქონდათ, რის გამოც ეწოდებოდათ ქა'ბა[1]. ცნობილია, რომ „იმ დროს ღვთაებრივი საწყისი, როგორც წესი, ასოცირდებოდა ქვის ფეტიშებთან, მთებთან, გამორჩეულ კლდოვან წარმონაქმნებთან ან უჩვეულო სიმაღლის ხეებთან"[2].

მოხეტიალე ბედუინებში გავრცელებული იყო ცის კულტიც. ვარსკვლავებს „ღმერთის ქალიშვილებად" მოიაზრებდნენ არაბები, ისევე როგორც ყველა სემიტი, დიდ პატივს მიაგებდა უმაღლეს ღმერთს, რომელსაც ან არ ჰქონდა საკუთარი სახელი, ან არ შეიძლებოდა მისი სახელის ხსენება. შესაძლებელია ეს ღვთაება ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდში აღნიშნულიყო განყენებული სიტყვით – „ალ-ილაჰ", რომელმაც დროთა მანძილზე ალაჰის ფორმა მიიღო და თავისი არსით „ერთადერთ ღმერთს" ნიშნავდა. ეს უკვე ისლამში. ძველ არაბებთან კი იგი ჯერ არ იყო ერთადერთი ღმერთი, არამედ – უმაღლესი ღვთაება, რომელიც შესამკობი ეპითეტებით მოიხსენიებოდა. ასეც გადავიდა ის შემდგომ ისლამში. ცნობილია ალაჰის 99 სახელი, მაგ.: გულმოწყალე, უზენაესი, მეუფე და სხვა, რომლებიც ყურანში ფიგურირებენ.

ჯერ კიდევ მუჰამედამდე ყველა არაბისათვის ქა'ბა იყო წმინდა ადგილი, რომელიც აერთიანებდა ყველა ტომს. დღესასწაულზე სავალდებულოდ ითვლებოდა ტაძრის ირგვლივ შემოვლა, ანუ ტავაფის შესრულება, ღვთისმსახურებაში, ანუ ვაკუფში მონაწილეობა, მსხვერპლის შეწირვა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ქა'ბაში თაყვანისცემა „შავი ქვისა", რომლის შეხებაც საკუთარი ხელით პილიგრიმისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა. მეორე იყო ქა'ბას ეზოში „მაკამ იბრაჰიმი" ანუ „იბრაჰიმის ადგილი"[3].

წმიდა ადგილად ითვლებოდა აგრეთვე სასმელი წყლის ჭებიც.

---

1. ქა'ბა – კუბს ნიშნავს და თვით ქა'ბას ცნობილი სალოცავიც კუბის ფორმისა იყო.

2. Г.Н. Фон-Грюнбаум, Классический ислам. М. 1986. გვ. 24.

3. ადგილი, სადაც თითქოსდა არაბთა წინაპარი აბრაამი ისმაილთან ერთად კირხსნარს ამზადებდა ქა'ბას ტაძრის მშენებლობისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ზემზემის ჭა, რომლის წყალსაც ბიბლიური გადმოცემით გადაურჩენია ჯერ კიდევ პატარა ისმაილი[1], არაბების წინაპარი.

არაბები დიდ პატივს მიაგებდნენ აგრეთვე წინაპართა კულტს.

საოცარია, რომ არაბებთან მოქმედი რელიგიური კონგლომერატი ტომებს შორის არ იწვევდა არავითარ რელიგიურ დაპირისპირებას.

ისლამი, როგორც მონოთეისტური რელიგია, აღმოცენდა ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებზე, ზოროასტრიზმზე, იუდაიზმსა და ქრისტიანობაზე დაყრდნობით. მუჰამედის რელიგიური მოღვაწეობის დასაწყისში ისევ ძლიერი იყო ტომობრივი კულტების გავლენა. ამის მაგალითად მიუთითებენ შემთხვევას ქ. ტაიფში, სადაც ადგილობრივი ტომები დიდხანს ევედრებოდნენ მუჰამედს, ნება დაერთო მათთვის, კიდევ ერთი წელი თაყვანი ეცათ ქალღმერთ ლათისათვის. ორჭოფობის მიუხედავად, ქალებისა და ბავშვების ტირილში, მოციქულს მაინც გაუნადგურებია ქალღმერთის ქანდაკება[2].

არც მონოთეიზმის იდეა შეუტყვიათ არაბებს მხოლოდ მუჰამედისაგან. იუდაიზმის, ქრისტიანობის, ზოროასტრიზმისა და ხანიფების გავლენითა და ქადაგებით ისინი ნელა, ძნელად, მაგრამ მაინც განიცდიდნენ კულტურული ხალხების რელიგიების გავლენას. ცხადია, იუდაიზმი და ქრისტიანობა, გამოცხადების სულით გაჟღენთილი და წმინდა წიგნებში გადმოცემული მოძღვრებები, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი არაბებისათვის მიუწვდომელი რჩებოდა შესაძლებელია იმიტომაც, რომ მათში არ იყო ასახული არაბი ტომების ცხოვრების სპეციფიკა და ვერც მათი პოლიტიკური გაერთიანების ამოცანებს პასუხობდნენ[3].

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ სწორედ ჰანიფებმა დაიწყეს არაბებში ერთი ღმერთის იდეის პროპაგანდა. ყურანში გარკვევით

---

1. ბიბლიის მიხედვით, აბრაამმა სარას მოთხოვნით სახლიდან გაუშვა თავისი უფროსი პირმშო ისმაილი და დედამისი აგარი. თან გაატანა პური და ერთი მათარა წყალი. უდაბნოში მოხეტიალე დედა-შვილს წყალი მალე გაუთავდათ. ბავშვი უწყლოდ იტანჯებოდა. აგარმა ვერ გაუძლო მისი სიკვდილის ყურებას, დასვა ის ბუჩქის ძირას, ხოლო თვით მოშორებით ხმამაღლა სტიროდა. ღმერთს ესმა რა ბავშვის ხმა, დედამისს თვალი აუხილა და ქალმა დაინახა წყლიანი ჭა. აგარი მივიდა, აავსო მათარა და ყმაწვილს დაალევინა. ასე გადარჩა ისმაილიც და აგარიც. არაბები მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს იყო ზემზემის ჭა ქა'ბას ეზოში. დაბადება., თ. 21-12,19.

2. И.А. Крывелев. История религии. т. 2. М. 1976. გვ. 164.

3. Р.Р. Мавлютов. Ислам. М. 1969. გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკითხება: „ალაჰი ამბობს სიმართლეს! გაჰყევით იბრაჰიმს, ჰანიფის[1] რელიგიას, ის ხომ არ იყო მრავალღმერთიანი!“ (ყურ.III-89); მართალია, დროთა განმავლობაში ჰანიფიზმი სერიოზულ მოძღვრებად ჩამოყალიბდა, მაგრამ მან მაინც ვერ შეასრულა არაბთა გამაერთიანებლის ფუნქცია.

არაბ ტომთა გაერთიანების პროცესში ერთმანეთს ექიშპებოდნენ მექელ შეძლებულ ვაჭართა საგვარეულოები. თანდათანობით მაინც გამოიკვეთა რამდენიმე წარჩინებული გვარი, რომელთა შორის გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ყურეიშიტები. ისინი ითვლებოდნენ მექაში განმკარგულებლებად, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ ებარათ ქა'ბას გასაღები. მექადან ხუზას ტომის გაძევებისთანავე, ყურეიშიტები მოგროვდნენ ქალაქში და ააშენეს „შესაკრებელი სახლი“, სადაც უხუცესები კუსაის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდნენ. ყურეიშიტების გვარი ხელმძღვანელობდა პილიგრიმების დახვედრასა და გაცილებას, ის ანაწილებდა ღატაკი მომლოცველებისათვის აკრეფილ თანხას, თვალყურს ადევნებდა ჭების დაცვას და სასმელი წყლის განაწილებას, წინამძღოლობდა ომში, ხოლო მშვიდობის დროს საბრძოლო დროშების შენახვის უფლებაც მას ეკუთვნოდა. ყოველივე ზემოჩამოთვლილი ფრიად საპასუხისმგებლოდ ითვლებოდა და ნაკლებად დასაჯერებელია, მხოლოდ ერთი გვარის საკუთრება ყოფილიყო, თუმცა გადმოცემა იმასაც ამბობს, რომ კუსაის გაუნაწილებია მათი შესრულება რამდენიმე ცნობილ გვარზე.

√ მუჰამედის პაპა იყო კუსაის ერთ-ერთი შთამომავალი. მისი უშუალო ოჯახიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ასევე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა შენარჩუნებული მექელ მოქალაქეთა შორის ყურეიშიტების მთელ გვარსაც. სწორედ ამ გვარის ღვთაება ყოფილა ალაჰი, ხორცშესხმული „შავ ქვაში“. „ღმერთის ეს მუსულმანობამდელი და ძალზე ძველი სახელი თავისი ფუძით (ილიაჰ) უკავშირდება საერთო სემიტურ ელ-ს, ელოჰ-ს, რომელიც მრავლობითში იძლევა ელოჰიმ-ს. იმ ღმერთისათვის მუჰამედს ახალი სახელის გამოგონებაც კი არ

---

1. სიტყვა „ჰანიფი“ ყურანის ქართული თარგმანის მითითებულ სურასა და აიათში არ არის. ამიტომ, ჩვენ გამოვიყენეთ ი. კრაჩკოვსკის მიერ რუსულად თარგმნილი ყურანის ტექსტი (იხ. Коран. перевод И. Крачковского. М. 1963. 3-89(95).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჭირდა, რომლის წინასწარმეტყველადაც თავის თავს მიიჩნევდა. ქა'ბა იწოდებოდა „ალაჰის სახლად", ხოლო ქალაქი მდებარეობდა ირგვლივ; ამდენად, მექელებს ჰქონდათ გარკვეული საფუძველი თავი „ალაჰის მეზობლებად" ჩაეთვალათ"[1]. მოგვიანებით, მუჰამედი ბრძანებს დაამსხვრიონ ყველა კერპი, ალაჰის გარდა; ამ შემთხვევაში ის გულისხმობდა „შავ ქვას". ასე დაწინაურდა ყურეიშიტების გვარის ღვთაება ალაჰი, რომელიც მალე არაბების ერთადერთ ღმერთად იქცა.

მუჰამედი

„მუჰამმად თქვენს შორის არც ერთის ადამიანისათვის არაა მამა. იგია ღვთის მოვლინებულ და წინასწარმეტყველთა ბეჭედი... წინასწარმეტყველო! შენ მოგვივლენიხარ, რათა ყოფილიყავ მოწმედ, გემხილებინა, გეუწყებინა... შენ მოუწოდებ ხალხსა ღვთისადმი; შენ ხარ მნათობი, რომელიც გაანათებს".

ყურანი, XXXIII - 40, 44, 45

„... აღდგემიან ცოდ ქრისტეემი და ცოდ წინასწარმეტყველნი და მოიმოქმედემენ სასწაულემსა და ნიშნემს, რათა რჩეულნი შეაცდინონ, თუ კი შეძულემენ".

მარკოზი. 13 – 22.

ერაბული სამყარო ისლამის ფუძემდებლად მუჰამედს მიიჩნევს. ვინ იყო ეს კაცი და საიდან გაჩნდა რელიგიურ ასპარეზზე? ისტორიკოსები მისი ცხოვრების ამსახველ ძირითად წყაროდ ყურანს ასახელებენ, ასევე VIII საუკუნეში ხალიფა მანსურის შეკვეთით მედინელი იბნ ისხაკის მიერ დაწერილ „ალაჰის წარმოგზავნილის ცხოვრებას" და ვაკიდის „სამხედრო ლაშქრობების წიგნს". ეს წიგნები, ცხადია, არ არიან ერთგვაროვანნი მოციქულის პიროვნების დახასიათებასა და

1. И.А. Крывелев. Ист. религии. т.2. გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფასებაში, მაგრამ ერთხმად აღიარებენ მუჰამედს ალაჰის მაცნედ. ლად. გარკვეულ ცნობებს შეიცავს ასევე სირა (VIII საუკუნეში არაბი ისტორიკოსების მიერ შედგენილი კრებული), სადაც აქცენტირებულია მუჰამედის ცხოვრების ზებუნებრივი ელემენტი, რამაც ის, ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე გაუთანაბრა მანამდე მოვლენილ წინასწარმეტყველებს.

მუჰამედის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. ვარაუდით, ის უნდა დაბადებულიყო ახ.წ. 570 წელს ქ. მექაში. გადმოცემით, შემდგომში მისი სიძლიერე თითქოს იმანაც განაპირობა, რომ დაბადებულა „სპილოს ადამიანის წელიწადს",[1] წინასწარმეტყველის დაბადების ღამეს ძლიერად შერყეულა სპარსეთის მეფის სასახლე ქ. ქტეზიფონში და ჩამქრალა ის წმინდა ცეცხლი, რომელიც ჩაუქრობელად ენთო 1000 წელს. უცნაურია, რომ ამ დროს მშვიდად ეძინათ მექელებს და მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გაიგო კუსაის გვარში კიდევ ერთი ბიჭის დაბადება, აღნიშნავს მიულერი. მუჰამედის გენეალოგიური შტო შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. სქემა №1).

მუჰამედის საგვარეულო თუმც მექას არისტოკრატიას ეკუთვნოდა, მაგრამ მუჰამედის დაბადებისას მამამისი – აბდ ალაჰი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა. საშუალო ვაჭარი აბდ ალაჰი (მას აბდულას სახელითაც იხსენიებენ) ვაჰბას ქალიშვილ ამინაზე ქორწინებისთანავე ქარავანს გაჰყვა ერაყში და უკან დაბრუნებისას გზაში გარდაიცვალა ისე, რომ არც კი მოსწრებია თავისი ვაჟიშვილის ნახვას. მის მიერ დატოვებული ხუთიოდე აქლემი, მცირეოდენი ცხვრისა და თხის ფარა და ერთი მონა ქალი დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა ცოლ-შვილის უზრუნველი ცხოვრებისთვის. ბიჭი 6 წლის შესრულდა და სწორედ ამ დროს ქმრის საფლავის მოსანახულებლად იასრიბში წასული ამინა – მუჰამედის დედა – გზაში ავად გამხდარა და მალე გარდაცვლილა. უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი მსახურს მექაში ბაბუა აბდ ალ-მუტალიბისათვის ჩაუყვანია. 80 წლის მოხუცი ბავშვს უზრუნველად ზრდიდა. მხოლოდ პატარა ბიჭს ჰქონებია უფლება ქა'ბაში სალოცავად გაშლილ პაპას ხალიჩაზე გადასულიყო, რასაც სხვა ვერავინ გაბედავდა.[2]

---

1. А. Мюллер. История ислама с основания до новейших времен. т. I. С.II. 1895 г. ст. 49.

2. როდესაც ბიძები ცდილობდნენ ბავშვის ხალიჩიდან გადმოთრევას,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სქემა №1

მუჰამედი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მზრუნველი პაპაც გარდაეცვალა. მოხუცმა უსაყვარლესი შვილიშვილი თავის ერთ-ერთ ვაჟს, აბდ მანაფს[1] (იგივე აბუ ტალიბს) ჩააბარა, რომელსაც სიკვდილამდე არ უღალატია ძმისშვილისათვის, მიუხდავად მათი რელიგიური შეხედულებების განსხვავებისა. ბიძისადმი თავისი დიდი სიყვარულის ნიშნად მუჰამედმა საკუთარ ვაჟიშვილს მისი სახელი დაარქვა. ეს ბავშვი პატარაობაშივე გარდაიცვალა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მისი ვაჟები. აბუ ტალიბის დიდი ოჯახი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამიტომ მუჰამედს ბავშვობიდანვე მოუხდა სარჩო-საბადებლისათვის ზრუნვა. ქირაში ხან სხვის ფარას მწყემსავდა, ხანაც აქლემების ქარავანს მომვლელად დაყვებოდა. ათი წლის ასაკში პირველად წაყოლია აბუ ტალიბს სირიაში და ამ მოგზაურობას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზედ.

მუჰამედისათვის განათლების მიღებაზე არავის უზრუნია. აღნიშნულმა განსაზღვრა დღემდე შემორჩენილი აზრი, რომ მუჰამედი წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა. თუმც ამის გამო მას შემდგომში არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია და თანამედროვეთაგან არც არავის აღუნიშნავს მისი მოღვაწეობის ნაკლად. აღზრდის ერთადერთი სკოლა იყო ოჯახი. აქ იძენდა მოზარდი ყველა იმ კაცურ თვისებას, რომელთაც მისთვის საზოგადოებაში შესაფერისი ადგილი უნდა მოეპოვებინა.

მუჰამედი 25 წლისა იყო, როდესაც ორჯერ დაქვრივებული მდიდარი ქალის ხადიჯას სამსახურში ჩადგა. საქმისადმი თავისი მუყაითი დამოკიდებულებით და პატრონისადმი ერთგულებით მალე მიიპყრო ქალის ყურადღება და საბოლოოდ ეს ურთიერთობა ქორწინებით დასრულდა. ხადიჯა ამ დროს 40-ოდე წლის, საკმაოდ მომხიბვლელი და მდიდარი ქალი გახლდათ. მუჰამედი კი 25-ის და არას მქონები. ეს ქორწინება ფეხბედნიერი აღმოჩნდა ორივესათვის. ცოლის ქონებამ და მზრუნველობამ მუჰამედს გზა გაუხსნა შემდგომი თავისუფალი რე-

---

თითქოს მოხუცს უთქვამს: „თავი დაანებეთ, ეს მისი საქმეა! თქვენს წინაშეა დიდი მომავალი, რაც მას თქვენზე მეტად აძლევს ამ ხალიჩაზე დგომის უფლებას“. იხ. Мюллер. დასახ. ნაშრ. გვ. 50.

1. აბდ მანაფი ნიშნავდა მანაფის მონას. მაგრამ მანაფი ერთი წარმართული ღვთაების სახელიც ყოფილა, რომლის ხსენებაც გარკვეულ უხერხულობებს უქმნიდა თურმე მუჰამედს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგიური მოღვაწეობისაკენ. მას მწარე მოგონებად შემორჩენია ბიძაშვილობა და ამის შედეგი უნდა იყოს, რომ თავის გამოცხადებებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ობლების უფლებებისა და მათი ქონების დაცვა-ხელშეუხლებლობის საკითხებს, რაც ყურანშიც აისახა.

მუჰამედს რომ „წინასწარმეტყველთა ბეჭედს" ეძახიან, თითქოს იმ ნიშნიდან მომდინარეობს, რომელიც ალაჰმა დაბადებისას მას გამორჩეულობისათვის ბეჭებს შორის, კაკლისოდენა ლაქის სახით დაბეჭდა.

მუჰამედს პირველი გამოცხადება ბავშვობაში ჰქონია ბიძის სახლში. მაგრამ ირგვლივ მყოფთაგან ეს არავის მიუღია განსაკუთრებულ ნიშნად. შემდეგშიც, უკვე დაქორწინებულს, უჩვეულო სიზმრის ხილვა სცოდნია, რის შესახებ ხშირად უამბობდა ხოლმე ხადიჯას. ხოლო როდესაც გამოქვაბულში განმარტოებული უჩვეულო მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხოლმე, თვითონაც ვერ ერკვეოდა თუ რა ემართებოდა. ზოგიერთი თვლის, რომ მუჰამედი ეპილეფსიით იყო შეპყრობილი და გულყრები, კრუნჩხვები თუ სხვა ნიშნები, მათ შორის გონების გათიშვა და თავის ძლიერი ტკივილები, სწორედ ამ ავადმყოფობის სინდრომები უნდა ყოფილიყო და მაინც, ორმოცი წლის ასაკამდე, ისეთი არაფერი მომხდარა, რაც ძირფესვიანად შეცვლიდა მის ცხოვრებას. ერთგული, მზრუნველი და მოსიყვარულე ცოლი ყველაფერს აკეთებდა მისი სიმშვიდისათვის. მუჰამედიც ძალზედ აფასებდა მეუღლის სათნოებასა და კეთილგონიერებას. ხადიჯასადმი ერთგულებისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად, ვიდრე ქალი ცოცხალი იყო, სხვა ცოლი არ შეურთავს, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი წეს-ჩვეულებები ამის სრულ უფლებას ანიჭებდა. შემდგომში მრავალ ცოლთაგან უსაყვარლესი აიშა თურმე ხშირად უსაყვედურებდა მუჰამედს, რომ ხადიჯაზე გარდაცვლილზედაც ვეჭვიანობო. მართლაც, მუჰამედი სიკვდილამდე მოკრძალებით იხსენებდა იმ ქალს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში.

მოსიყვარულე და მზრუნველი ყოფილა მუჰამედი შვილების მიმართაც. მიუხედავად ვაჟიშვილების სიკვდილით მიყენებული დიდი ტკივილებისა, თავისი მშვენიერი ასულების მიმართ დიდ სითბოსა და სიახლოვეს ამჟღავნებდა. გამორჩევით ჰყვარებია უმცროსი ქალიშვილი ფატიმა. იგი თავისი უსაყვარლესი ბიძის აბუ ტალიბის ვაჟიშვილ ალიზე დააქორწინა, რომელიც ნაშვილები ჰყავდა და თვითონ ზრდიდა.

ამ დროისათვის მუჰამედი უკვე საკმაოდ ავტორიტეტულ პიროვნებად ითვლებოდა მექაში. მაგრამ, მიუხედავად ოჯახური იდილიისა და

კარგი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ის გრძნობდა, რომ მის სულში ხდებოდა ისეთი რამ, რაც დიდ ტანჯვას აყენებდა. საკუთარ, ადგილ-ჭიდილი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავის მოკვლაც განუზრახავს მთებში, გამოქვაბულში, და სწორედ ამ დროს უხილავს ციური ნათება და რამდენჯერმე გაუგონია ხმაც, რომლის რეალობაშიც დარწმუნებულს, სრულიად მკაფიოდ შემოესმა ბრძანება — „იკითხე!". მუჰამედმა უპასუხა, კითხვა არ ვიცი. ბრძანება რამდენჯერმე განმეორდა: „წაიკითხე, სახელითა შენის უფლისა, რომელმაც ყველაფერი შექმნა, რომელმაც კაცი გააჩინა შედედებული სისხლისაგან. წაიკითხე, ვინაიდან შენი უფალი ყოვლად უხვია. მან ასწავლა (კაცს) კალმის ხმარება; მან ასწავლა კაცს ის, რაც კაცმა არ იცოდა". (ყურ, XCVI, 1-5) და მუჰამედმაც წაიკითხა.[1]

მუჰამედისათვის ბევრი რამ გაუგებარი იყო იმ ერთ ღმერთთან დაკავშირებით, რომლის ტყვეობაშიც სულ უფრო და უფრო ექცეოდა. აშკარად გრძნობდა, რომ მისი შეხედულებები სრულიად საწინააღმდეგო იყო მამაპაპური რელიგიური მრწამსისა. იგი ეძიებდა გზას, რომლითაც თავს დაიღწევდა სულიერ კრიზისს და მიაგნო კიდეც. ეს იყო განწმენდა, რომელიც ერთნაირად უნდა შეხებოდა სულის, აზრის, სიტყვისა და რეალურად განხორციელებული-მოქმედებების სამყაროს. ამისათვის იყო საჭირო საკუთარ თავში ჩაღრმავება, მოსმენა საკუთარი ხმისა, აზრისა, ანუ ჭვრეტა შინაგანი „მე"-სი, რომელიც როგორღაც შესაბამისობაში უნდა მოეყვანა ახალი ღმერთის თვითშემეცნებასთან. სწორედ აქ გამოიყენა მუჰამედმა ერთის მხრივ ტრადიციული[2], ხოლო მეორეს მხრივ სირიელი ნესტორიანელი ქრისტიანი ბერის[3] მეთოდები და საშუალებები: მარხვა, ლოცვა, მრავალმხრივი განსჯა უზენაესი არსისა და ადამიანებთან მისი მიმართებისა. ეს ტვირთი მძიმე იყო. ამიტომაც გაუჭირდა გაემხილა თავისი მდგომარეობის

---

1. მუჰამედის ცხოვრების ეს მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი მხატვრულად კარგად გადმოსცა იოჰანეს ტრალოვმა თავის ისტორიულ რომანში „მუჰამედი", რომელიც ქ. ბერლინში გამოიცა 1968 წელს.

2. ტრადიციულში იგულისხმება ის რელიგიური წეს-ჩვეულებები, რომლებიც არაბ ტომებს აერთიანებდნენ ქა'ბას ტაძარში.

3. ბერი ჰაგირას საუბრებმა ქრისტიანობაზე პირველად სერიოზულად დააფიქრეს მუჰამედი. (ვინ იცის, ეს პირველი საუბრები მწვალებლური რომ არ ყოფილიყო, იქნებ მუჰამედის მოძღვრებასაც სხვა სახე მიეღო?! — რ.წ.)

შესახებ ოჯახის წევრებისთვისაც კი: მაგრამ, მას შემდეგ, რაც მუჰამედმა გააცნობიერა, რომ „ამიერიდან არავის შეეძლო ჯამბარიზი სარწმუნოება სიცრუედ ჩაეგდებინებინა“, განუცხადა თავისიანებს ყოველივე. იმთავითვე წინა პლანზე წამოსწია ერთღმერთიანობის იდეა, რომლის თავგამოდებული დამცველი დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

მისი ქადაგებები რომ ძნელად გასაგები და მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის, ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ წლების მანძილზე მან მხოლოდ ახლობელი 43 ადამიანის მიმხრობა შეძლო. პირველივე ქადაგებებში ერთიანი ღმერთის – ალაჰისადმი უსიტყვო მორჩილება რწმენის ძირითად პირობად ცხადდებოდა: „ღმერთი თვითონ არის იმის მოწმე, რომ სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა; გულისხმიერებითა და სიმართლით მიმადლებული ანგელოზნი და კაცნი განიმეორებენ: სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა, ძლიერისა, მეცნიერისა. ღვთის სარწმუნოება ისლამია... ვინც ღვთის სასწაულთა რწმენების უარი ჰყოს, განიცადოს, თუ რამდენად მოსწრაფეა იგი, ადამიანის ნამოქმედარის ანგარიში მოითხოვოს“ (ყურ.III–16,17). ალაჰი მორწმუნისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, და სწორედ ამიტომაც იყო, რომ სიტყვა **„ისლამი“** (მუსლიმ) **„მორჩილებას“** გამოხატავდა.

პირველი, ვინც ისლამის რჯული მიიღო, ხადიჯა იყო. მეორე – ალი, მუჰამედის ბიძაშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელის მოქცევა არ გახლდათ დიდი ღირებულებისა, მისი მცირეასაკოვნების გამო. სრულიად სხვაგვარი დატვირთვა ჰქონდა ჯერ ცნობილი მექელი ვაჭრის აბუ ბექრის, ხოლო შემდეგ, ასევე ავტორიტეტული ომარის ისლამზე მოქცევას. მათი მეშვეობით მუჰამედი ცდილობდა მექელ არისტოკრატთა ყურადღება მიეპყრო, რომელნიც, როგორც ჩანს, მასში და მისი პირით ნაქადაგარ მოძღვრებაში თავიანთი ცნობიერებისათვის მიუღებელ მატყუარა პიროვნებასა და ცრუ იდეებს ხედავდნენ. „თუ მატყუარად ჩაგაგდონ, მუჰამად! შენს უწინარეს მოვლინებულ მოციქულებსაც ხომ ამნაირადვე მოეპყრნენ, თუმც სასწულები მოახდინეს და მოიტანეს წიგნი ფსალმუნთა და წიგნი განმანათლებელი (ყურ. III – 181), იუწყება ყურანის ერთი აიათი.

მუჰამედი თანდათანობით ხვეწდა თავის იდეებს თვით ღმერთის არსის, მის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის, იმქვეყნიური სამყაროს – სამოთხისა და ჯოჯოხეთის, მეორედ მოსვლის, მიცვალებულთა აღდგომისა და ადამიანთა ამქვეყნიური საქმეების გამო განკითხვი-

სა და განსჯის შესახებ. მან მაშინვე არ დაიჯერა ბიბლიაში გამოთქმული აზრი ღმერთის მიერ ადამიანის ხატად და მსგავსად თავისა მოქმნის შესახებ, რამეთუ უზენაესი არსებისათვის დამამცირებლად მიაჩნდა ოდნავ მაინც მიმსგავსება მასთან მიწიერი, სასრული და არცთუ ზნეკეთილი ადამიანისა. მოგვიანებით იგი ასევე უარყოფს ხირას მთაზე პირველი გამოცხადებების დროს ალაჰის უშუალოდ ხილვას. მისი აზრით უსასრულობაში განფენილი ღმერთი თავისი მრავალფერობითა და ძალოვნებით არ შეიძლებოდა კონკრეტული სახით ყოფილიყო აღქმული ადამიანის მიერ. უეჭველად ამის შედეგი უნდა იყოს, რომ მუჰამედმა აკრძალა ადამიანის წარმოსახვით ალაჰის ნებისმიერი ფორმით გამოხატვა, მუჰამედი ამას განიხილავდა როგორც კერპს. ასე დაედო ტაბუ მომავალში აღმოსავლურ (კერძოდ კი ისლამურ ქვეყნებში) ხელოვნებაში რელიგიური იდეის გამოყენებას, რაც უშუალოდ ალაჰისა და ყოველგვარი ცოცხალი არსების გამოხატვის უარყოფას გულისხმობდა.

„ამიტომაც, შემდგომში მუსლიმებთან განსაკუთრებული აყვავება განიცადა ორნამენტისა და გამოსახულების ხელოვნებამ. ზუსტ გეოგრაფიულ გაანგარიშებაზე დაფუძნებული და კომპოზიციურად რთული და სახიერი ორნამენტები ავსებდა მეჩეთებისა და მავზოლეუმების კამარებს, კედლებს, თაღებს. არაბესკები – ორნამენტების განსაკუთრებული სახეობა (შერწყმა გეომეტრიულისა და მცენარეულის) – მოცემულია უამრავ შეხამებებში. მათში ჩართულია გასაოცარი არაბული ქარგვის (ასოებით ნახატი) ნიმუშები, რომლებითაც გადმოიცემა მოციქულის გამონათქვამები, ყურანის ლექსები, ღმერთის, მუჰამედისა და იმამ ალის მიმართ ხოტბის შესხმა“[1].

სამაგიეროდ, მუჰამედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლოცვას, სიტყვას ხმამაღლა თქმულს და მიმართულს ალაჰისადმი. ის დღეღამის განმავლობაში რამდენიმე საათს ლოცულობდა. თანდათანობით მან შეიმუშავა ლოცვის ეფექტური სისტემა, ერთის მხრივ, გარეგნული გამოხატულება სხეულის სხვადასხვა მოძრაობების სახით, ხოლო მეორეს მხრივ, ლოცვის ტექსტის სახით, რაც თავდაპირველად გაუგებარი იყო თვით მისი ახლობლებისათვისაც კი. მიუხედავად იმისა, რომ მუჰამედი არ გამოირჩეოდა მჭერმეტყველების დიდი უნარით, სამაგიეროდ, ფლობდა დიდ ნიჭს, თუ რა, როგორ, სად, როდის ეთქვა. სწორედ

1. Т.С. Саидбаев. Ислам и общество. М. 1984. გვ. 114.

ეს იყო ის ძალა, რომლითაც ახერხებდა დაეპყრო ადამიანთა გულები. ამასთანავე, რასაც ამბობდა, პირადად ახორციელებდა ცხოვრებაში და ამით მაგალითის მიმცემი ხდებოდა. პირველი მორწმუნეები, გარდა ერთი-ორი შემთხვევისა, უმეტესად ახალგაზრდები იყვნენ.

პირველი ხილვების (თუ მოჩვენებების) შემდეგ სამი წელი მას არც ერთხელ აღარ გაუგონია ის ხმა, რომლის მოსმენამაც თავდაპირველად სულით ხორცამდე შეძრა. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ეს სამი წელი მისი ცხოვრების უმძიმესი წლები იყო. განცდა იმისა, რომ სამუდამოდ მიატოვა ალაჰმა, მას შიშის ზარს სცემდა. და აი, კვლავ მოხდა სასწაული. ერთხელ, მექას გარეუბანში მოხეტიალე მუჰამედს კვლავ გამოეცხადა ის ანგელოზი (ჯიბრაილი), რომელიც ხირას მთაზე ტახტზე მჯდომი მიწასა და ღრუბლებს შორის სამი წლის წინ იხილა. ძლიერი სტრესის მდგომარეობაში ჩავარდნილი მუჰამედი დაბრუნდა შინ, დაწვა და ითხოვდა, შემახვიეთო. ამ მდგომარეობის ასახვა მოცემულია ყურანის 73-ე და 74-ე სურებში: „წამოსასხამში გახვეულო წინასწარმეტყველო!... შენის უფლის სახელი განიმეორე და თავი შესწირე მას სრულის შეწირვითა... სხვა ღმერთი არ არს მისა თვინიერ, მაშ მფარველად აიყვანე იგი“ (ყურ. LXXIII–1,8,9); „შენ, რომელიც წამოსასხამ წამოსხმული ხარ! ადექ და ხალხი გააფრთხილე, შენი უფალი ადიდე. შენი ტანისამოსი სუფთად შეინახე. ხოლო საძაგლობას ერიდე, ნუ გაჰსცემ, რათა მოიხვეჭო. მოთმინებით ელოდე შენს უფალსა“ (ყურ. LXXIV–1–7).

მუჰამედმა იგრძნო, რომ დამთავრდა ფარული პერიოდი; ამიტომაც შეკრიბა მრავალრიცხოვანი ნათესაობა და აუწყა მათ თავისი მოძღვრების შესახებ. ის ფიქრობდა, რომ ახლობლები უკეთესად გაუგებდნენ და დაეხმარებოდნენ, მაგრამ მოტყუვდა. საკუთარმა ბიძამ, რომელსაც სავაჭრო საქმეები უფრო ადარდებდა, ვიდრე რელიგია, თურმე ხმამაღლა დაუყვირა: „ეშმაკმაც დაგლახვროს, ნუთუ მხოლოდ ამისათვის დაგვიძახე!“ მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდა მუჰამედს – დაიწყო უთანხმოება საკუთარ ბიძებთან, რის გამოც ჩაიშალა მისი ქალიშვილის ქორწინებაც აბუ ლაჰაბის ვაჟიშვილზე. ამრიგად, მუჰამედი თავის 43 თანამორწმუნესთან ერთად ახლა უკვე მტრადქცეული მექელი წარჩინებულების პირისპირ დარჩა. „მეოცნებესთან“ (მუჰამედს ასედაც ეძახდნენ) ანგარიშსწორება არ იყო ძნელი. მაგრამ მუჰამედის უკან იდგა აბუ ტალიბი. მასთან დაპირისპირება კი ჰაშიმის მთელი გვარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკიდებას ნიშნავდა, რაც გაართულებდა ქალაქში მომლოდინეთა
და თავისუფალ ვაჭრობას. მალე მოციქული იძულებულ
ამოაზრეთა ნაწილი, რომელთა რაოდენობაც ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა, მექადან გაეხიზნა. თავდაპირველად 11 მართლმორწმუნე გადასახლდა ეთიოპიაში. ეს მოხდა 615 წელს. შემდეგ კიდევ 90 კაცი წავიდა. მათ შორის იყო ოსმანი, მოციქულის სიძეც, რუქაის ქმარი, რომელმაც თან წაიყვანა მოციქულის ქალიშვილი. მუჰამედს მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ერთგული ბიძა აბუ ტალიბი კი მერყეობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მის დამცველად დარჩა. ისლამზე მოექცა მისი მეორე ბიძაც ჰამზა, რომელმაც შემდგომ გული გაუგმირა თავისი ძმისშვილის შეურაცხმყოფელს და თვითონაც ასევე ერთ-ერთი პირველი დაიღუპა ახალი მოძღვრებისათვის ბრძოლაში. მექელთა წინააღმდეგობა კი იზრდებოდა. ტაიფში მუჰამედი არ მიიღეს და რომ არა ერთი ყურეიშიტის დახმარება, შეიძლებოდა იგი სიცოცხლესაც გამოსალმებოდა. კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა აბუ ტალიბის სიკვდილის შემდეგ. სხვა გზა არ იყო. მუჰამედს გამოსავალი უნდა მოენახა. ის მალე დარწმუნდა, რომ თუ სურდა გადაერჩინა საკუთარი მოძღვრება, თავისი ხალხით მექადან უნდა გაქცეულიყო. მანამდე ის შეხვდა ვაჭრებს იასრიბიდან. მუჰამედმა მათ სიტყვაზე დაყრდნობით იასრიბში რამდენიმე მოციქული გაგზავნა, მორწმუნეებთან ერთად. სწორედ მათ ეწოდათ შემდგომში „მუჰაჯირები“ ანუ „გადასახლებულები“, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ისრიბიდან უნდა ყოფილიყო მოციქულის დედა ამინაც და ადვილი შესაძლებელია იქ ნათესავებიც ჰყოლოდა.

იასრიბის მოსახლეობა ეთნიკურადაც და რელიგიურადაც ჭრელი იყო. აქ მრავლად ცხოვრობდნენ იუდეველებიც და ქრისტიანებიც, რომელთა გავლენით მონოთეიზმის იდეა ცნობილი იყო ადგილობრივი ტომებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ იასრიბი მუდმივად მტრობდა მექას, ადვილი გასაგები იქნება, რომ მუჰამედთან ერთად იასრიბი შეეცდებოდა უფრო მძლავრად დაპირისპირებოდა მექას. ამრიგად, საბოლოოდ, როდესაც მისი მომხრეებიდან მშობლიურ ქალაქში უკვე აღარავინ იყო დარჩენილი, მუჰამედმა შეუმჩნევლად დატოვა მექა აბუ ბექრთან ერთად. ეს მოხდა 622 წელს[1] ანუ მოხდა „ჰიჯრა“ — „გადასახლება“.

1. 622 წლის 16 ივლისი შემდგომში მუსლიმური ერის საწყისი გახდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასრიბში ადგილობრივი მოსახლეობა ერთმანეთს მტრობდა. საჭიროა იყო ამ მტრობის დაძლევა.

მუჰამედმა კარგად გათვალა მოსალოდნელი შედეგები და შეიმუშავა მუსლიმური თემის წესდება; თემში, იგივე უმმაში, უნდა გაერთიანებულიყვნენ ყველანი, განურჩევლად მათი მრწამსისა; ყველა ინარჩუნებდა უფლებას თავის რელიგიურ აღმსარებლობაზე დარჩენილიყო, მაგრამ თუ ერთმანეთის მიმართ რაიმე საკითხზე დავა წარმოიშობოდა, აუცილებლად მოციქულისათვის უნდა მიემართათ. მალე მუჰამედის მხარეზე აღმოჩნდნენ თავის დროზე მექადან პოლიტიკური მოსაზრებით დევნილი ჰანიფებიც. მედინაში თითქმის ჩამოყალიბდა საერთო ინტერესებისა და პატრიოტული სულისკვეთების მქონე გაერთიანება, რომლის ყველა წევრისათვის პირველ ადგილზე იყო თემის ერთიანობისა და ღირსების დაცვა, სადაც მოციქულის რელიგიური იდეები ღვთიურ სიტყვად განიცდებოდა. ასე ჩამოყალიბდა პირველი მუსლიმური გაერთიანება – თემი ანუ უმმა, რომელმაც მომავალში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადრინდელი ისლამის ჩასახვასა და მის გავრცელებაში.

მედინის[1] მუსლიმთა თემი სამი კატეგორიის მორწმუნეთაგან შედგებოდა: მუჰამედის ფანატიკური მომხრეები, რომლებსაც მუმუნინები ეწოდებოდათ, უბრალოდ „მორჩილი" მუსლიმები და მერყევი პირმოთნეები ანუ მუნაფიკუნები. საჭიროების შემთხვევაში მოციქული სამივე კატეგორიის მომხრეებს კარგად იყენებდა. ამასთანავე, ის გრძნობდა, რომ ისლამის სრულყოფილად დასამკვიდრებლად საჭირო იყო მკაცრად რეგლამენტირებული წესები. მან მაინც შეძლო როგორც მედინელებ-

---

ანუ აქედან დაიწყო ისლამური წელთაღრიცხვა. ხოლო რაც შეეხება ჰიჯრის თვესა და რიცხვს, ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს 26 ივლისს, ხოლო სხვები 20 ან 24 სექტემბერს, ზოგიერთი კი საერთოდ არ უთითებს.

1. იასრიბის მცხოვრებნი თავიანთ ადგილს უწოდებდნენ „ქალაქს". სიტყვა „მედინა" არაბულია და დასესხებული უნდა იყოს იუდეველებისაგან. უმმას ხელშეკრულებაში ფიგურირებს იასრიბი. მაგრამ მალე მუსლიმები მიეჩვივნენ ახალ დასახელებას „ქალაქს". თანდათანობით დამკვიდრდა „მედინა"-ს ხმარება. არაბულად მას უწოდებენ „მადინათ ან-ნაბი" ან „მადინათ რასულ. ალაჰ" რაც ნიშნავს „წინასწარმეტყველის ქალაქს" ან „ალაჰის მოციქულის ქალაქს".

იხ. **А. Мюллер.** დასახ. ნაშრ. გვ. 118, 119. ქ.ს.ე. ტ. 6. გვ. 538.

ში, ასევე თავის მომხრეებში დაემკვიდრებინა ლოცვის, მარხვისა და განბანვის სავალდებულო წესები. ასევე მნიშვნელოვანი იყო ალლაჰზე მეჩეთის აშენება.

მუჰამედი თავდაპირველად ებრაელთა მიმხრობას ცდილობდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს არ იყო ადვილი საქმე. თანაც მოციქული ვერ პატიობდა მათ აბუჩად აგდებას ყურანში დაშვებული შეცდომების გამოც, ასევე იმის გამო, რომ სწამდათ, წინსწარმეტყველება მხოლოდ ჩვენი საკუთრებაა, არც იმის მიტევება შეეძლო, რომ ებრაელები ყველაფერს აკეთებდნენ მედინელ ადგილობრივ ტომებში შუღლის ჩამოსაგდებად, რათა ესარგებლათ შექმნილი არეულობით და თავიანთი პოზიციები გაეძაგრებინათ. მათდამი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების ნიშნად მუჰამედმა დაარღვია ჰიჯრამდე მოქმედი საყოველთაოდ მიღებული ჩვეულება, როდესაც ლოცვის დროს მორწმუნენი სახით იერუსალიმისაკენ უნდა ყოფილიყვნენ მიბრუნებულნი და დააწესა სახით მექასაკენ – ქა'ბას-კენ მიბრუნება, რაც იერუსალიმზე ზურგის შექცევას ნიშნავდა. „უგუნურებმა კაცთა შორის იკითხონ: რამ დააშორა ისინი კებლას, რომელსაც უწინ მისდევდნენო?.. უწინდელი კებლა დავაწესეთ წინასწარმეტყველის მიმდევრისა და ზურგის შემაქცევრის გასარჩევად... ცის ყოველ კუთხით სახის შემაქცეველი გიხილეთ... გვწადია, ამიერითგან... საითგანაც გამოხვიდე, სახე წმიდა სალოცავისაკენ მიიქციე. სადაც უნდა იყვნეთ, სახე იმ კუთხით მიიქციეთ, რათა ხალხს თქვენ წინააღმდეგ ცილობის საბაბი აღარ ექნეს, ხოლო არაწმიდების ნუ შეგეშინდებათ: ჩემი გეშინოდესთ..." (ყურ. თ. II - 136, 138, 139, 145). მოციქულმა დაიწყო ებრაელთა დევნა მედინადან. აქამდე მუჰამედი თავისი მოძღვრებისა და მოსეს რჯულის იგივეობას აცხადებდა, ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე იუდეველები, ისევე როგორც ქრისტიანები, ამახინჯებდნენ უფლის მიერ მოსეზე გამოცხადებულს წმიდა წერილს. იგი ამტკიცებდა, რომ ერთი და იგივე იყო იუდეველთა ღმერთი და მუსლიმთა ღმერთი, მაგრამ იუდეველები არ იღებდნენ მათთვის ამ მკრეხელურ აზრებს. აქედან იწყება ყურანშიც კი აშკარად გამოხატული ბრძოლა იუდეველთა წინააღმდეგ. ის ამხელს ისრაელის შვილთა ცოდვებს და მძიმე ციურ სასჯელს უქადის. თუკი 623 წელს შეცვალა კებლა, მალე შეცვალა მსხვერპლის შეწირვის დღეც და დააწესა საყოველთაო მარხვა რამადანის თვეში. მუჰამედი თითქოს ცდილობს თავი დააღწიოს იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავლენას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ დააწესა ერთთვიანი მარხვა, ესეც ქრისტიანობის ძიბაძვი იყო, ისევე როგორც აზანის, ანუ სალოცავად მოწოდების ჩვეულება იუდეველებთან და ქრისტიანებთან.[1] თუმც მათგან განსასხვავებლად შემოიღო ცოცხალი ხმით მორწმუნეთა მოწოდება. ისტორიას შემორჩა პირველი მუეძინის სახელი. ეს იყო აბუ ბექრის მიერ გამოსყიდული ბილალი, რომელსაც ძლიერი და ჟღერადი ხმა ჰქონდა.

მედინადან დევნილმა იუდეველებმა, მათ შორის უძლიერესმა ბანუ კეინოკას გვარმაც, დატოვეს რა თავიანთი ფინიკის პლანტაციები და საცხოვრებლები, რომლებიც მაღალი ქვის გალავანშემორტყმულ გამაგრებულ ციხე-კოშკებად ჰქონდათ ქცეული (რაც უჩვეულო იყო არაბებისათვის), თავი ქალაქ ხაიბარს შეაფარეს. იცოდნენ რა მოციქულისადმი მექელთა მტრული განწყობილება, იუდეველებმა მათთან მოლაპარაკება დაიწყეს, გადაიბირეს მოციქულის მოწინააღმდეგე სხვა ტომებიც და გადაწყვიტეს ერთიანი ძალით დაპირისპირებოდნენ მუსლიმებს. გაერთიანებულ ძალებს ხელმძღვანელობდა აბუ სეფიანი, რომელმაც იერიში მიიტანა მედინაზე და ალყაში მოაქცია, მაგრამ სამი კვირის შემდეგ ალყა თვითონვე მოხსნა. ეს მუჰამედის კიდევ ერთი გამარჯვება იყო, რაც ებრაელების მარტო სამხედრო დამარცხებას როდი ნიშნავდა. მოციქულმა ისინი სამაგალითოდ დასაჯა იმითაც, რომ დააკარგვინა საკუთრების უფლება საკუთარ მიწაზე და კარგა ხანს ამ მიწების მხოლოდ არენდით აღება შეეძლოთ, რაც კარგ შემოსავალს აძლევდა მუსლიმებს.

ამ ლაშქრობაში თავი გამოიჩინა ერთმა სპარსელმა ყოფილმა მონამ სალმანმა, რომელიც ისლამის მიღებისთანავე გამოუსყიდიათ. მან მუჰამედს ქალაქის დაცვის მიზნით ურჩია მედინას წინ ხანდაკის[2] გათხრა, რითაც ხელს შეუშლიდა ქალაქში მტრის შესვლას. არაბებთან მანამდე ასეთი რამ არავის ენახა. ქალაქის მისადგომებთან შემდგარ ბრძოლას ეწოდა „სანგრისათვის ბრძოლა“.

სწორედ ამ დროს, წმიდა თვეში, მოციქულთან შეთანხმების გარეშე, მისმა ხალხმა გაძარცვა მდიდარ მექელთა სავაჭრო ქარავანი და

---

1. იუდეველებთან სალოცავად მოწოდებისათვის გამოიყენებოდა ჩასაბერი საკრავები — საყვირები, ხოლო ქრისტიანებთან — ზარები.

2. ხანდაკი — თხრილი, სანგარი, გაჭრილი ქალაქის დასაცავად.

დიდძალი ქონებაც იგდო ხელთ. მექელთა საყოველთაო რისხვას ხახლ-ვარი არ ჰქონდა. ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია მედინაში. მუჰამედი შეშფოთდა, რადგანაც წმიდა თვის დარღვევას შეიძლებოდა ისლამის საქმისათვის სერიოზული საფრთხე შეექმნა და მან გამოცხადებას მიმართა, რომლის ტექსტსაც ყურანი შემდეგნაირად გვაუწყებს: თუ „გკითხონ წმიდა თვისა, ომისა იმ თვეში, უთხარი მათ: ომი იმ თვეში მძიმე ცოდვაა. ხოლო ღვთის გზას რომ გადაუხვიოთ, იგი და წმიდა სალოცავი არ იწამო, მის გალავანთან გაჰყარო, ვინც შიგ მკვიდრობენ, უფრო მძიმე ცოდვაა. კერპთაყვანისმცემლობის განსაცდელი უარესია, ვიდრე ჩეხა-ჟლეტა“... (ყურ. თ. II–214).

შურისძიების მიზნით მექელებმა იერიში მიიტანეს მუსლიმებზე. ეს ბრძოლა ისტორიაში ცნობილია ბადრის ბრძოლის სახელწოდებით. მექელთა ლაშქარი 950-მდე მეომარს შეადგენდა. მოციქულის მცირერიცხოვანმა (დაახლ. 300 მუსლიმი) რაზმმა გაიმარჯვა, რამაც მას ახალი გამოცხადება შთააგონა, და ამით კიდევ უფრო გაძლიერდა რწმენა, რომ ღმერთი და ანგელოზები იფარავენ: „გამარჯვება გსურდათ, ურჯულოებო! ხოლო გამარჯვება იგი თქვენს წინააღმდეგ მოიქცა. თუ პირველთა მოიშალეთ ჩვენთან ბრძოლა, თქვენთვის უმჯობეს იქმნეს... თქვენი დიდძალი რიცხვი არაფრად გამოგადგესთ, ვინაიდან ღმერთია მორწმუნეებთან“ (ყურ.VIII–19). ეს ამბავი 624 წლის მარტში მოხდა.

მექელები ვერ შეურიგდნენ დამარცხებას. ამიტომ, ერთი წლის თავზე შეკრიბეს 3000 კაციანი ლაშქარი და მედინასაკენ აიღეს გეზი. 625 წელს ბრძოლა გაიმართა ოხოდთან. ალყაში მოქცეულმა მუჰამედმა მძიმე ჭრილობები მიიღო. მუსლიმები დამარცხდნენ. ზარალი ორივე მხრიდან დიდი იყო. მაგრამ მოციქული არ შედრკა. ქალაქიდან სამი მილის მოშორებით მან ბანაკი დასცა და მორწმუნეებში შთაბეჭდილება შექმნა მტერზე დადევნებისა.

626 – 627 წწ. მუჰამედი აწყობს ლაშქრობებს სხვადასხვა მიმართულებით. უმმა უკვე ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა, მართალია ყველა მართლმორწმუნე მზად იყო ყველაფერი გაეღო ისლამის სიძლიერისათვის, მაგრამ ეს საქმეს ვეღარ შველოდა. ღატაკები დახმარების მოლოდინში, მუჰამედის სახლსა და მედინის მეჩეთს ირგვლივ ვერანდის მსგავსად შემორტყმოდნენ, რის გამოც მათ „ვერანდის ად-

ამიანებსაც“ კი უწოდებდნენ[1]. ამ დროს პირველად შემოიღო მუჰამედმა ქონების დაბეგვრა, რაც მორწმუნეთა მხრიდან ღატაკების სასარგებლოდ გარკვეული რაოდენობის მოწყალების გადახდაში გამოიხატებოდა. ცნობილია, რომ ბადრისთან გამარჯვების შემდეგ ნადავლის განაწილებისას მორწმუნენი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მოციქულმა ალაჰს მიმართა და გამოაცხადა ნადავლის 1/5 ალაჰის საკუთრებად, თვითონ მხოლოდ ერთი საგნის არჩევის უფლება დაიტოვა, დანარჩენი თანაბრად ნაწილდებოდა მეომრებზე. მოციქულს ხმალი და თავისი დაუძინებელი მტრის აბუ ჯაჰალის აქლემი აურჩევია. ამით მაგალითი უჩვენებია სხვებისათვის, რათა მცირედით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ისლამის რჯულის მიმღებთა რაოდენობა იზრდებოდა, ისევე, როგორც იზრდებოდა იმ ტომთა რაოდენობა, რომლებიც მუჰამედთან კავშირის შეკვრას ითხოვდნენ, მაგრამ მოციქული მხოლოდ მაშინ იწყებდა მოლაპარაკებას, თუკი ჯერ ისლამს მიიღებდნენ. ცნობილია, რომ 629 წელს მუტას ველზე ბიზანტიასთან ბრძოლაში 3000 კაციანმა მუსლიმთა არმიამ, რომელსაც სარდლობდა მუჰამედის შვილობილი ზეიდი, დიდი შეუპოვრობის მიუხედავად, დაკარგა მუჰამედის უახლოესი ადამიანები: მუჰამედის ბიძაშვილი ჯაფარ-აბუ ტალიბის ვაჟიშვილი, ალის ძმა, აბდალაჰი და სხვები, რომლებიც გმირული სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე. დაიღუპა თვით ზეიდიც, მაგრამ ისლამის დროშა მოწინააღმდეგეს მაინც არ ჩაუგდეს ხელში. თავგამოდებით იბრძოდა ხალიდ იბნ ვალიდიც, რომელსაც მუჰამედისაგან კავალერიის მეთაურობა ჰქონდა ჩაბარებული და ყველაფერი გააკეთა, რათა მოციქულის არმია გადაერჩინა; ეს დიდი გმირობა იყო, რისთვისაც მუჰამედმა მას „ალაჰის მახვილი“ უწოდა და ამ მეტსახელით დარჩა ის ისტორიაში ცნობილი; ხოლო წამებით მოკლულებზე გამოაცხადა, რომ ისინი უკვე სამოთხეში და ალაჰთან იმყოფებოდნენ[2].

აღნიშნულ პერიოდში მუჰამედმა საკმაოდ საინტერესო ნაბიჯი გადადგა, მან მოთხოვნა დაუგზავნა მეზობელი ქვეყნების გამგებლებს: ბიზანტიის

---

1. А. Мюллер. დასახ. ნაშრ. გვ. 112.

2. მუტასთან ბრძოლის შესახებ მეცნიერებში სხვადასხვა აზრია. ერთნი თვლიან, რომ ბიზანტიამ გაიმარჯვა, მეორეთა მიხედვით კი მუჰამედმა. ყოველ შემთხვევაში, მუსლიმთა მხრიდან იმდენად დიდი იყო მსხვერპლი, რომ მუჰამედი მას კარგა ხანს განიცდიდა და ფაქტობრივად დამარცხების ტოლფასად თვლიდა.

იმპერატორ ირაკლის, ეთიოპიის ნეგუსს ალ-აშხამს, სპარსეთის მეფეს, ეგვიპტეში ბიზანტიის იმპერატორის ნაცვალს, იემენის, ომანისა და ხადრამაუთის მმართველებს და ასევე რამდენიმე ტომის მეთაურებს ისლამზე მოქცეულიყვნენ, შეენარჩუნებინათ მშვიდობა და კეთილმეზობლობა მედინასთან. არავინ იცის ბიზანტიის იმპერატორმა, საერთოდ უპასუხა თუ არა მუჰამედს, მაგრამ მოციქულის თავხედობით აღშფოთებულმა სპარსეთის ხელისუფალმა იემენში თავის ნაცვალს შეუთვალა: „ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ იასრიბში გამოჩნდა შეშლილი, რომელიც თავს მოციქულად აცხადებს: შეიპყარ და გამომიგზავნე ან თვითონ, ან მისი თავი". მისგან განსხვავებით, ეგვიპტის მმართველმა თავისი კეთილგანწყობის დასტურად მუჰამედს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა: თეთრი ფაშატი ვირი, თეთრი ჯორი, საუკეთესო მოჯირითე ცხენი, პატიოსანი ქვები და ორი მშვენიერი მხევალი, დები – მარიამი და შირინი.

მუჰამედი მედინაში გადასახლებისთანავე იწყებს მცდელობას, რომ მედინას, როგორც მოციქულის ქალაქს, შეუქმნას განსაკუთრებული ავტორიტეტი და ამით მექას დაუპირისპიროს, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამას ვერ შეძლებდა, თუნდაც იმის გამო, რომ ყველა არაბის ცნობიერებაში მექას სრულიად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ, ამჯობინა, რომ ამ ქალაქს, როგორც ტაძრის (ანუ ქა'ბას) ქალაქსა და ვაჭრობის ცენტრს, განსაკუთრებული რელიგიური დატვირთვა მინიჭებოდა.

628 წელს დასაწყისშივე, ყველასათვის მოულოდნელად, მუჰამედმა გადაწყვიტა 1500-კაციანი მორწმუნის თანხლებით, ყოველგვარი იარაღის გარეშე წმიდა თვეებში მცირე მოლოცვა ჩაეტარებინა მექაში. მექელებს თავზარი დაეცათ. ქალაქის დასაცავად ყურეიშიტებთან გაერთიანდნენ სხვა ტომებიც. მოციქულმა ტაქტიკურად შეიცვალა მიმართულება და შეჩერდა ჰუდეიბიაში, ვერც ერთი მხარე ვერ ბედავდა ბრძოლის დაწყებას. ბოლოს მექელებმა სამკაციანი ჯგუფი აახლეს და შეთანხმდნენ, დაედოთ ხელშეკრულება იმ პირობით, რომ მომავალ წელს ის უფლებას მიიღებდა ჩამოსულიყო მოსალოცად სამი დღით და მექელები მას ქალაქს დაახვედრებდნენ მოსახლეთაგან ცარიელს. მათ შეეძლებოდათ სამი დღე ელოცათ და მშვიდობიანად უკან გაბრუნებულიყვნენ. ეკრძალებოდათ ათი წლის მანძილზე ერთმანეთზე თავდასხმა. ისლამის მიმდევრებმა ისიც კი დათმეს, რომ ხელშეკრულების

ის ადგილები, რომლებიც იწყებოდა მუსლიმური ლოცვის მთავარი ფრაზით „სახელითა ალაჰისა, და მწყალობლისა“ ბოლო-ალათ გამოთქმით: „სახელითა შენითა, ო ღმერთო!“ ამასთანავე, საკვირველი ის იყო, რომ ამ მოლაპარაკებას მუჰამედი საკუთარი სახელით აწარმოებდა და არა როგორც მოციქული. ასე გაფორმდა ჰუდაიბიას ხელშეკრულება, რომელიც მუჰამედის ბრწყინვალე დიპლომატიური გამარჯვება იყო, აღნიშნული ხელშეკრულების ყველაზე დიდი მიღწევა ის იყო, რომ მექამ ფაქტობრივად თავის სწორად აღიარა მუჰამედიც და მედინაც, ეს კი ისლამის აღიარებასაც ნიშნავდა (ხოლო მის თანამებრძოლთა თვალში იყო დაუმსახურებელი მარცხი). ბოლოს მან ბრძანა დაეკლათ სამსხვერპლო პირუტყვი, ლოცვა შეასრულა და მოლოცვა დასრულებულად ჩათვალა. ბევრმა მორწმუნემ ვერცკი გაიგო, თუ როგორ იყო ეს მომლოცველობა, ისინი ხომ არ მისულან არც ერთ წმიდა ადგილზე და არც ბრძოლა გაუმართავთ მოწინააღმდეგისათვის. მაგრამ მაინც დრო იყო საჭირო.

629 წელი. მუჰამედის ახალ გამარჯვებებმა ქ. ხაიბარსა და ფადაკის ოაზისზე დიდი ნადავლი მოიტანა. ფადაკმა უომრად გამოაცხადა კაპიტულაცია და შესთავაზა ყოველწლიურად მთელი მოსავალის ნახევარი. უომრად ხელში ჩაგდებული ქონება უსიტყვოდ მოციქულის საკუთრებად გამოცხადდა. მაგრამ, მან ის ხუთ ნაწილად გაყო: ერთი უბოძა – ალაჰს, მეორე – თვითონ, მესამე – თავისიანებს, ობლებს, ღატაკებს, მგზავრებს, მეოთხე თავის ცოლებს, მეხუთე – მუსლიმებს, რომლებიც დაეხმარნენ უომრად მიეღწია ფადაკის კაპიტულაციისათვის.

ხაიბარი და მისი ნადავლი კი გაყო 1800 ნაწილად. ჰუდაიბიასთან დადებული ფიცის ყველა მონაწილე იღებდა ერთ წილს, ყოველი მხედარი კიდევ ორ წილს. თვით მუჰამედმა კი აირჩია მშვენიერი საფია.

მუჰამედი ჩასაფრებული ელოდებოდა, როდის დაარღვევდნენ მექელები ათწლიან ხელშეკრულებას. მათაც დიდხანს არ დააყოვნეს. იწყება მექასთან საომარი მზადება. ყველა თვლიდა, რომ რამადანის მარხვის გამო ლაშქრობა გადაიდებოდა, მაგრამ შეცდნენ. 10 რამადანს (1 იანვარი 630 წ.) ხადიჯას სიკვდილის მეთერთმეტე წლისთავზე, მოციქული მუსლიმებთან ერთად დაიძრა მექაზე სალაშქროდ. გზაში ყველა ინახავდა მარხვას. 17 რამადანს შეიტყვეს მექელებმა მუჰამედის ლაშქრობის შესახებ. მარცხი გარდაუვალი იყო. ახლა მუჰამედს მექაში უფრო

მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე მტერი. მუჰამედის ბიძამ აბასმა მოახერხა ჩუმად გადასულიყო მედინელებთან და მიეღო ისლამი. მოხუცი ებრაელი სუფიანი კი რამდენიმე წარჩინებულით ეახლა მოციქულს, ასაჩუქრა და მუჰამედის ღვთაებრივი გამოცხადება. აბასმა აგრძნობინა, რომ ახლა უკვე ადვილად შეიძლებოდა შეხებოდნენ მის სიცოცხლეს და ამ შეუდრეკელმა წარმართმა სცნო ისლამის რჯული.

19 რამადანს (11/I 630წ) ყურეიშიტები უბრძოლველად შეხვდნენ მუჰამედს.

დადგა მნიშვნელოვანი მომენტი: საფას მთაზე წარმართი ყურეიშიტები ერთმანეთს ცვლიდნენ სიტყვებით: „ვმოწმობ, რომ არ არს სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა, ვმოწმობ, რომ მუჰამედი მისი წარმოგზავნილია“. მოციქულმა იცნო ჩადრჩამოფარებული ქალი აბუ სუფიანის ცოლიც, რომელმაც ოხოდის ბრძოლაში დაღუპული ისლამზე მოქცეული მუჰამედის ბიძის გვამი შეურაცხყო. ეს ხანდაზმული ქალი ახლა თავდახრილი იდგა მის წინაშე, მაგრამ მოციქულმა მას სულგრძელად უპასუხა: „ძალდატანება სარწმუნოებაში ნუ იქნება. გზა სიმართლისა საკმაოდ გაირჩევა შეცდომაში“ (ყურ.II–257).

მუჰამედმა ბრძანა: არ დაერბიათ და არ გაეძარცვათ ქალაქი, მოეკლათ მხოლოდ ის, ვისაც ხელში იარაღი ექნებოდა. კერპებისაგან გაეწმინდათ ქა'ბა. ტაძარში არ დატოვეს არც ერთი კერპი. მან ტაძრის გასაღები ჩააბარა აბდ ად-დარის გვარს, რომელიც ძველთაგანვე ითვლებოდა სიწმინდეების მცველად, აბასსა და მის მემკვიდრეებს დაუტოვა მომლოცველთა წყლით მომარაგების ფუნქცია. ყურეიშიტებს ჩამოერთვა სხვა დანარჩენი პრივილეგიები. ამრიგად, მან შეიწყალა ყველა, გარდა ორი მოღალატისა, რომელთაც უარეყოთ ისლამი და მექაში გამოქცეულიყვნენ. ხოლო, როდესაც ხუზაიტები მოვიდნენ ყურეიშიტებზე სისხლის ასაღებად, მუჰამედმა მათ გარკვევით უთხრა, რომ მექასა და მისი ოლქის მიწა წმიდა მიწა იყო და ადამიანთა სისხლი ამიერიდან აღარასოდეს უნდა დაღვრილიყო მის მიწაზე.

631 წელს მუჰამედი არმიით სირიისაკენ აიღებს კურსს. ეს იყო ჰიჯრის მე-9 წელიწადი, რომელმაც მშვიდობა მოუტანა არაბებს. მას დიდი ბრძოლები არ გაუმართავს სირიაში. სხვადასხვა გზით დამორჩილებული ტომებიც ზედიზედ ელჩებს უგზავნიდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ. ამრიგად, 631 წელიც მისთვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა და ისტორიაშიც ცნობილი გახდა „ელჩობის წელიწადის“ სახელით.

პირობები თანდათან მომწიფდა და დროც დადგა, რომ მუჰამედს ოფიციალურად ეცნო ქ. მექას განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამისათვის მან გადაწყვიტა მოლოცვა ანუ ჰაჯი ჩაეტარებინა მექაში. ეს კი ნიშნავდა, რომ ის აღიარებდა მექას განსაკუთრებულ რელიგიურ-პოლიტიკურ ფუნქციას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს მოლოცვა, ფაქტობრივად პირველი[1], მოციქულისათვის უკანასკნელიც აღმოჩნდა, რის გამოც მას შემდეგში „გამოსათხოვარიც" კი უწოდეს. მუჰამედმა, რომელსაც თან ახლდა ცხრავე ცოლი, მთელი სერიოზულობით ჩაატარა მექაში, თავისი სიცოცხლის ოცნების ქალაქში პირველად, სრულად საზეიმოდ, საჯაროდ, ყურეიშიტების მონაწილეობით, ისლამის სარწმუნოების მნიშვნელოვანი რიტუალი, რომლის შემდეგაც დაბრუნდა მედინაში. ის უკვე ავადმყოფი იყო. მის მძიმე ფიზიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა პატარა ვაჟიშვილის იბრაჰიმის სიკვდილი, რომელიც მას მარიამისაგან შეეძინა.

მიუხედავად ყველაფრისა, მუჰამედი მაინც გეგმავს დიდ ლაშქრობას ბიზანტიის წინააღმდეგ. სარდალიც კი დანიშნა. ეს იყო სრულიად ახალგაზრდა, ოცი წლის – უსამი, მისი უსაყვარლესი შვილობილის ზეიდის ვაჟი და ამით თითქოს ხარკი მოიხადა ამ უერთგულესი ადამიანის წინაშე, მაგრამ უკმაყოფილონი დატოვა გამოცდილი მებრძოლები.

მოციქულის ჯანმრთელობა სწრაფად უარესდებოდა. მიუხედავად ამისა, მას არ გამოუტოვებია არც ერთი ღვთისმსახურება მეჩეთში და ყოველდღიურად იღებდა მორწმუნეებს, რომლებიც მასთან რჩევისათვის მოდიოდნენ. ასევე აქტიურად განიხილავდა რწმენისა თუ სამხედრო-პოლიტიკის საკითხებს. საბჭოს სხდომებზე ყველას აზრს ისმენდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მარტო გამოჰქონდა და მას ალაჰის გამოცხადების სიტყვებით ადასტურებდა. 29 საფარს (632წ. 27/V) ის მძიმედ დაავადდა ციებ-ცხელებით, რომელმაც რამდენჯერმე გაუმეორა. ძლიერი ტკივილები აწუხებდა მუცლისა და გვერდების არეში. უჭირდა ფეხზე დგომა და პარასკევის ლოცვა აბუ ბექრს

1. ეს მოლოცვა პირველად ითვლება იმიტომ, რომ ამ დროს შევიდა მუჰამედი მექაში და მოილოცა წმინდა ადგილები. პირობითად კი იყო მეორე მოლოცვა. 628 წელს მექელმა არისტოკრატებმა ის ქალაქშიც კი არ შეუშვეს, თუმცა მუჰამედმა ჰაჯი მაინც შესრულებულად ჩათვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავალა. მუჰამედს ყველაზე მეტად აწუხებდა ის, რომ აღარ შეეძლო თავისი ცოლების სახლებში სიარული და ამიტომ მხოლოდ უშასთან რჩებოდა, რადგანაც მისი სახლიდან პირდაპირ გადიოდა მეჩეთში. 12 რაბი I (7 ივნისი) მუჰამედმა მდივანი იხმო, რათა ეკარნახა თავისი საბოლოო სურვილი, მაგრამ ომარმა ყველანაირად შეუშალა მას ხელი, რადგანაც მიაჩნდა, რომ არ უნდა თქმულიყო მოციქულის მიერ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში ისეთი არაფერი, (როდესაც აზრი ხშირად სტოვებდა გონებას), რასაც შეიძლებოდა მომავალში წინააღმდეგობა შეექმნა რწმენის საქმისათვის, რისთვისაც მთელი სიცოცხლე თავდაუზოგავად იბრძოდა მუჰამედი. დილით, 13 რაბი I, მან ითხოვა წამოეყენებინათ ყველას გასაოცრად ლოცვაზე გაყვანა ისურვა. გარეთ, მეჩეთის ეზოში მრავალ მორწმუნეს მოეყარა თავი. ხმა გავრცელებულიყო, მოციქულის გარდაცვალების შესახებ. ამიტომ, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეჩეთში ფარდა გადაიწია და იხილეს ღვთის წარმოგზავნილი. „სიხარულით აღტაცებულებმა ლოცვის შეწყვეტა მოინდომეს, მაგრამ მან ანიშნა, „არ შეეწყვიტათ იგი". ლოცვის დამთავრებისთანავე მუჰამედმა სიტყვით მიმართა მორწმუნეებს: „მე გავიგე, რომ ცნობამ თქვენი მოციქულის სიკვდილის შესახებ შიშით მოგიცვათ. მაგრამ, განა ჩემამდე მუდმივად უცოცხლია თუნდაც ერთ მოციქულს, რაც უფლებას მოგცემდათ გეფიქრათ, რომ მე არასოდეს დაგტოვებდით? ღვთის ნების თანახმად ხდება ყოველივე და ამიტომ გააჩნია თავისი განსაზღვრული დრო, რომელსაც ვერც დააჩქარებ და ვერც გაქცევი, მე ვბრუნდები იმასთან, ვინც აქ მომავლინა. მივდივარ, მაგრამ გიტოვებთ ჩემს უკანასკნელ მცნებას: „გქონდეთ ერთობა, გიყვარდეთ, პატივი ეცით, დაიცავით და წაახალისეთ ერთმანეთი რწმენაში, ნურასოდეს დაუტევებთ მას. იყავით ღვთისმოსავნი. გახსოვდეთ, მხოლოდ მათზეა დამოკიდებული ადამიანების კეთილდღეობა, ხოლო ყველაფერ სხვას მივყავართ დაღუპვამდე... მე მხოლოდ თქვენზე ადრე მივდივარ ამ ქვეყნიდან, მალე თქვენც ჩემს გზაზე წამოხვალთ, სიკვდილი გველოდება ყველას და ნურც ნურავინ შეეცდება, ჩამომაშოროს ის. ჩემი სიცოცხლე ემსახურებოდა თქვენს კეთილდღეობას და მასვე მოემსახურება ჩემი სიკვდილიც." და გაუბრწყინდა სახე. ერთ-ერთი თვითმხილველის სიტყვებით, მას არასოდეს უნახავს მოციქული ისე ლამაზი, როგორც იმ წუთებში. 13 რაბი I (8 ივნისს), შუადღისას, მუჰამედი გარდაიცვალა აიშას ხელზე. მისი უკანასკნელი სიტყვები

იყო: „არა, მაღლები, ჩემი ამხანაგები სამოთხეში არიან“[1]. აიშამ ყველაფერი გააკეთა, რომ სიკვდილის დროს მასთან არ ყოფილიყვნენ. მისი საყვარელი სიძე-ქალიშვილი – ალი და ფატიმა. ამ ქალმა, რომელთანაც მოციქული განქორწინებული იყო სწორედ ალის დაჟინებული მოთხოვნით, პირველად შეძლო ალისთვის ანგარიშის გასწორება, რის გამოც ალიმ დაკარგა მოციქულის მემკვიდრის უფლება.

აბუ ბექრი სიკვდილის წუთებში არ იმყოფებოდა მუჰამედის გვერდით, მაგრამ მალე დაბრუნდა და მისთვის ჩვეული სიდინჯით მიმართა შეშფოთებულ მორწმუნეებს: „ჭეშმარიტად, თუ მუჰამედი არის თქვენი თაყვანისცემის ერთადერთი საგანი, იცოდეთ, რომ ის გარდაიცვალა. მაგრამ, თუ თქვენ ეთაყვანებით და ემსახურებით ღმერთს, მისი სიკვდილი არ შეიძლება. მუჰამედი იყო ღმერთის მხოლოდ მოციქული და დაემორჩილა სიკვდილს. რა გამოდის, რადგანაც გარდაიცვალა, ამიტომ უღალატებთ და უარყოფთ მის მოძღვრებას? გახსოვდეთ, ღმერთისაგან თქვენი განდგომა ავნებს არა მას, არამედ განისჯებით თქვენ მაშინ, როდესაც ზეციური კეთილდღეობა გადმოვა მის ერთგულებზე“.

მუჰამედისა და აბუ ბექრის მიერ წარმოთქმული სიტყვები თვალნათლივ ადასტურებენ ამ ორივე პიროვნების ერთადერთ უზენაეს რელიგიურ იდეას, რომლის განსახორციელებლადაც აღნიშნულ სიტუაციაში აბუ ბექრის ცივი გონება უფრო იყო საჭირო, ვიდრე ომარის აფექტური ემოციები.

გადმოცემით, მუჰამედი გარდაცვლილა თავის დაბადების დღეს, 63 წლის ასაკში. სურნელოვან ზეთებში დამუშავების შემდეგ, გვამი შეახვიეს სამ ნაჭერში, 72 ლოცვა წაიკითხეს და სამი დღე არ დაკრძალეს, რათა ხალხს გამოთხოვება შეძლებოდა. დიდი ბჭობისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველაფერი მაინც აბუ ბექრმა გადაწყვიტა: გამოაცხადა მუჰამედის სიტყვები, რომ მოციქული უნდა დამარხულიყო მისი გარდაცვალების ადგილზე. ასეც მოხდა, მუჰამედმა სამუდამოდ განისვენა აიშას სახლში, თავისი საწოლის ფეხთან გაჭრილ სამარხში.

რამდენიმე შტრიხი მუჰამედის პიროვნების გასაგებად:

ცხოვრების მძიმე წლებმა მუჰამედი ბავშვობიდანვე შეაჩვია ნაკლებად გამოეხატა თავისი შინაგანი განცდები და სრული იზოლაცია

---

1. А. Мюллеръ. დასახ. ნაშრ. გვ. 191

მოეხდინა ოცნებების და აზრების, დაკვირვებებისა და ემოციებისა. ის ადვილად ახერხებდა ხალხმრავლობის დროსაც კი მარტოდ დარჩენილიყო თავის თავთან. გამოთქმა, რომელსაც ხშირად იყენებდა: „ძე ვიყავი ობოლი“ უნდა გავიგოთ მის სულიერ სიმარტოვედაც. ბუნებით ამ გულჩათხრობილი ბავშვისათვის მექაში ერთგვაროვანი მომბეზრებელი ცხოვრების ფონზე, ცის გახსნა იყო მისი გაყოლა ბიძის ქარავნებზე ბიზანტიასა თუ სირიაში, სადაც ეხებოდა სრულიად სხვა ყოფასა და მაღალ კულტურას, განსხვავებულ იდეებს, შეხედულებებს და ცხოვრების წესს. სწორედ აქ ეზიარა ის იუდაიზმისა და ქრისტიანობის მოძღვრებას, რამაც მთლიანად შეცვალა მისი ხასიათი და მომავალში მისი არსებობის არსიც.

ბიოგრაფები ხშირად ხაზს უსვამენ მის შემდეგ თვისებებს: საუკეთესო ხასიათს, პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, სიკეთეს, რაც ქმნიდა მისი პიროვნების სრულყოფილების შთაბეჭდილებას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სისუფთავეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე განუხრელადაც იცავდა. მუდამ დავარცხნილი, მბზინავი, მუქი წაბლისფერი თმები და მთლიანად სხეული სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა, რასაც მისი მოწაფეები თანდაყოლილ სასწაულად მიიჩნევდნენ. სისუფთავისადმი ასეთი ერთგული დამოკიდებულება მარტო გარეგნულ მოწესრიგებაში არ გამოიხატებოდა. მისი აზრით მთავარი შინაგანი სულიერი სისუფთავე იყო. სიმართლე მისი მორალის კრედოს წარმოადგენდა. არ სვამდა ღვინოს, ზომიერი იყო ჭამაშიც. მკაცრად იცავდა მარხვას და სხვებსაც მოუწოდებდა მიებაძათ. არასოდეს თამაშობდა აზარტულ თამაშებს. ყველა ამ თვისებამ მრავალმხრივი ასახვა პოვა ყურანში.

მუჰამედი გარეგნულად მშვიდ ადამიანად გამოიყურებოდა, თუმცა შინაგანი ბუნებით გულფიცხმა, თავისი ეს უარყოფითი თვისება იმდენად დათრგუნა, რომ საკუთარ ოჯახშიც კი, სადაც მის თავისუფლებას არავინ და არაფერი ზღუდავდა, იყო მორცხვი და მომთმენი.

ისტორიული წყაროები და თანამედროვენი მუჰამედის გარეგნობასა და პიროვნულ თვისებებს შემდეგნაირად გადმოგვცემენ: საშუალო სიმაღლის, სწორი აღნაგობის, დაკუნთული, ფართო მკერდიანი, დიდთავა და მაღალშუბლა. მეჩხერი და უსწორმასწორო თეთრი ქათქათა კბილები, მხრებზე დაშვებული მბზინვარე, მუქი თმა და გრძელი, ხშირი წვერი მის გარეგნობას უჩვეულო იერს აძლევდა. ვარდისფერკანიან სახეზე, რაც იშვიათია არაბებთან, შინაგანი მღელვარების დროს სხივმოსილება

ეფინებოდა. მოწაფეები ამას მოციქულობის შარავანდედად წარმოიდ-
გენდნენ. მეტყველებდა აუჩქარებლად და მშვიდი ტონით, ერთგულ-
ხუმრობდა; მისი ქცევა ყოველთვის იყო ღირსებით აღსავსე.

მუჰამედი ფლობდა საუკეთესო გონებრივ მონაცემებს: გამჭრიახობა, მდგრადი მეხსიერება, ცოცხალი წარმოსახვა და დროის მცირე მონაკვეთშიც კი გენიალური გამომგონებლობა მის პიროვნებას ბევრ დადებით ნიშანს მატებდა. ის, რაც აღზრდით ვერ მიიღო, განუწყვეტელი გონებრივი დაკვირვებით შეიძინა. აქ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ რელიგიურ სისტემებს, რომლებთანაც მას უშუალო შეხება ჰქონდა არაბეთში, სირიასა თუ პალესტინაში. მისი ჩვეულებრივი საუბარიც კი გამოირჩეოდა დამრიგებლური ტონით. მჭერმეტყველი არ იყო, მაგრამ აღფრთოვანების დროს სიტყვამზეობდა, რასაც მეტ გამომსახველობას ანიჭებდა მისი მუსიკალურად ჟღერადი ხმა.

ბუნებით კაცთმოყვარე მუჰამედი დიდ სითბოს ავლენდა ცოლისა და შვილების მიმართ. მისი დამოკიდებულება ხადიჯასადმი არ იყო მხოლოდ ცოლ-ქმრის ურთიერთობა. ეს იყო განსხვავებულად ამაღლებული ორივე მხრიდან. ის, რაც მუჰამედის დანარჩენი ცოლებისთვის შემდგომში ჩვეულებრივად ითვლებოდა, ხადიჯასათვის იყო არაჩვეულებრივი, ამას ისიც ადასტურებს, რომ ხადიჯას არასოდეს შეპარვია ეჭვი იმის ჭეშმარიტებაში, რასაც ქმარი ქადაგებდა. მას ღრმად სწამდა მისი ღვთაებრივი მისიისა და მთელი სიცოცხლე იცავდა კიდეც ქმრის იდეებს. არაბები ხადიჯას „ისლამის დედას“ ეძახდნენ და ამით გამოხატავდნენ მოკრძალებას ამ კეთილშობილი მანდილოსნისადმი.

სიმდიდრისა და ფუფუნების მიმართ მუჰამედს ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. თვით მაშინაც კი, როდესაც შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა, ვერ იტანდა გარეგნულ ბრწყინვალებას, სამოსად ხმარობდა ზოგჯერ შალის ქსოვილს, უმეტესად კი — იემენის ბამბის ქსოვილისაგან დამზადებულს, არცთუ იშვიათად გაცრეცილ და დაკერებულ ტანსაცმელს. თავზე იხურავდა ჩალმას და ამით ცდილობდა გარეგნულად ანგელოზებს დამსგავსებოდა, რომლებიც მისივე სიტყვებით ჩალმას ატარებდნენ. კრძალავდა აბერშუმის წითელი ფერის კაბის ჩაცმას და ოქროს ბეჭდებს. თვითონ ეკეთა ბეჭედდასმული ვერცხლის რგოლი წარწერით: „მუჰამედი, ალაჰის მოციქული“, ეს არაბული წარწერა ყოველთვის ხელისგულს ეხებოდა. ასევე მიიჩნევ-

და, რომ ზედმეტი საჭმელ-სასმელი ადუნებდა და კლავდა გულს. დიდ პატივს მიაგებდა შრომას. მისი სახლის კარები ყოველთვის ღია იყო ღატაკი მუსლიმებისათვის, რომლებსაც სიამოვნებით იწვევდა ტრაპეზზე. ამ დროს მისი ქცევა იყო სრულიად ბუნებრივი და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ქონებრივ ცენზს. ის ხშირად უნახავთ ბაზრობებზე თუ როგორ ვაჭრობდა, რის გამოც დასცინოდნენ კიდეც მექელი არისტოკრატები, როგორც „ღმერთის გამოგზავნილს".

მუჰამედს „ღვთაებრივი მისიის" მიუხედავად წმიდა ადამიანური სისუსტეებიც გააჩნდა, რაც ყველაზე მეტად ქალებისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებაში ვლინდებოდა. მას მიეწერება სიტყვები: „ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა ქალები და კეთილსურნელება, მაგრამ ჭეშმარიტ ნეტარებას ვპოვებდი მხოლოდ ლოცვაში". მას 11 ცოლი ჰყავდა. აქედან მხოლოდ ერთი იყო ხარჭა. მოციქულს არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო ლამაზი ქალისადმი. იმასაც კი ამბობენ, რომ ლამაზ ქალთან თუ მოხვდებოდა, მუჰამედი განუწყვეტლივ შუბლს ისრესდა და თმებს ისწორებდა, თავი რომ მოეწონებინაო მისთვის. სიკვდილის დროს მისი ცხედარი ცხრა ცოლმა დაიტირა. ორი კი უკვე გარდაცვლილი იყო. თუმცა მან ოთხი ცოლის ყოლის უფლება დააკანონა, მაგრამ პირადად, მრავალჯერ იქორწინა. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი ამბობს, რომ მუჰამედს, როგორც გამონაკლისს ადამიანებს შორის, სურდა თავისი ხალხისათვის მოციქულების თაობა მოემრავლებინა. მაგრამ ვერ განახორციელა: მის მრავალ შვილთაგან მხოლოდ ფატიმა იყო მამამისის სიკვდილის მომსწრე, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა, სიკვდილის წინ ითხოვდა მამაჩემის გვერდით დამმარხეთო, მაგრამ არ შეუსრულეს. მოციქულის გვერდით მხოლოდ აბუ ბექრი და ომარი დაიკრძალნენ, ხოლო შვილიშვილებიდან მხოლოდ ფატიმას უფროსმა ვაჟმა ჰასანმა დაიკავა ხალიფას ტახტი, ისიც მცირე ხნით.[1]

არაბებში მრავალცოლიანობა სირცხვილად არ ითვლებოდა, მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ მუჰამედზე, როგორც ღმერთის მოციქულზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირადი ქორწინების საკითხებშიც კი მას რამდენჯერმე მოუხდა ალაჰის შეწუხება გადაწყვეტილების მისაღებად. ლამაზი ქალის დაუფლებისათვის ის არ ერიდებოდა არც მცირე

1. ჰასანი ფაქტობრივად არც ყოფილა ხალიფა, რადგანაც ტახტზე უარი განაცხადა. იხ. გვ. 38, 39

ასაკს და არც ნათესაურ კავშირებს; მისი ცოლების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ხადიჯა – ორჯერ დაქვრივებული, მდიდარი, ლამაზი 40 წლის ქალი

2. სავდა – 30 წლის ქვრივი, მუჰამედი მასზედ დაქორწინდა სიბრალულის გამო, რადგანაც იგი იყო ღარიბი, შეუხედავი. მალე განქორწინება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

3. აიშა – 7-8 წლის გოგონა იყო, როდესაც დანიშნა მუჰამედმა. 11 წლის ასაკში ცოლად შეირთო. ამ დროს თვითონ 50 წლისა იყო. შემდეგ განქორწინდა იძულების გამო, მაგრამ ბოლომდე გამორჩევით უყვარდა და მაინც ცხოვრობდა მასთან. ქორწილზე აჩუქა 50 დირჰემი; აიშამ მზითევში თურმე სათამაშოებიც მიიტანა და შემდეგ ხშირად ამბობდა, რომ მის ბავშვურ თამაშებში მუჰამედიც აქტიურად მონაწილეობდაო.

აიშა, მოციქულის სიკვდილის დროს, 18 წლისა იყო. მან იცოცხლა დიდხანს და მშფოთვარედ. მონაწილეობდა ოსმანის წინააღმდეგ შეთქმულებაში და მთელი ცხოვრება ებრძოდა ალის. ცნობილი იყო მისი აქტიური მონაწილეობა „აქლემების ბრძოლაში" აზ-ზუბაირის ლაშქარში ალის დასამარცხებლად. ის მოუწოდებდა აზ-ზუბაირის მომხრეებს ებრძოლათ სიკვდილამდე. სამოცდაათი მეომარი დაეცა ბრძოლის ველზე მისი დაცვისათვის, აიშა ტყვედ იგდო ალიმ და გაგზავნა თავის სახლში, მედინაში.

დიდი იყო ამ ქალის დამსახურება მუჰამედის მოქმედებებისა და სიტყვების – ჰასიდების შეკრებაში. ცნობილია, რომ 1200 ჰასიდი აიშას მიერ იყო მონათხრობი და დიდადაც ფასობდა როგორც მორწმუნეებში, ისე მაღალ სასულიერო თუ საერო ხელისუფალთა შორის.

4. ხაფსა – 18 წლის, ომარის ქალიშვილი – ულამაზესი, მაგრამ მძიმე ხასიათისა იყო. ხაფსა კარგად ახერხებდა მოციქულის ჰარამხანაში ალიაქოთის გამოწვევას. მიუხედავად ყველაფრისა, ქმარი დიდად ენდობოდა და სწორედ მას დაუტოვა ის სკივრი, რომელშიც ინახებოდა წერილობით ფიქსირებული ყურანის გამოცხადებები.

5. ჰინდა – 25 წლის, ქვრივი, ულამაზესი, ყურეიშიტი, მუსლიმი, ის უარს ამბობდა გათხოვებაზე, მაგრამ საკუთარმა ვაჟიშვილმა უმაჭანკლა და ეს ქორწინება შედგა.

6. ზეინაბი – 30 წლის, კუზაიმის ქალიშვილი, ქვრივი. მაგრამ ქორწინებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

7. ბარა, იგივე ჯუვარია, – ულამაზესი, ტყვედ ჩაიგდო ერთი ლამაზთაგან. დროს, მუსტალიკების ყველზე გავლენიანი შეიხის ქალიშვილი გაგ- ოისყიდა და ცოლად მოიყვანა. ამ ქორწინებას პოლიტიკური მნიშ- ვნელობაც ჰქონდა.

8. საფია – 17 წლის, ულამაზესი, ბრძოლის დროს შენიშნა და თავისი მოსასხამი გადააფარა, რათა ყველას ეცნო მისი რჩეული რომ იყო.

საფიამ კი მუჰამედის შემდეგ 50 წელი იცოცხლა და საკმაოდ გაზარდა თავისი ქონება.

9. უმ ჰაბიბა (უმ-სალამი) – ქვრივი, ლამაზი და ახალგაზრდა, აბუ სუფიანის ქალიშვილი. ამ ქორწინებამ მუჰამედს საშუალება მისცა დანათესავებოდა ომეიადების ძლიერ საგვარეულოს.

10. ზაინაბი – 38 წლის, ულამაზესი, მუჰამედის შვილობილის – ზეიდის ცოლი. მუჰამედის თხოვნით ზეიდი განქორწინდა, ხოლო მო- ციქულს დასჭირდა გამოცხადება, რათა ამ ქორწინებისათვის უზნეო- ბის ელფერი მოეხსნა.

ზაინაბმა მუჰამედის შემდეგ რვა წელი იცოცხლა. თორმეტი ათასი დირჰემი, რომელიც ხალიფასაგან მიიღო, ღარიბებს დაურიგა.

11. მეიმუნი – ასაკოვანი, ქვრივი, მუჰამედის ბიძის აბასის რძალი, რომელიც მის სახლშივე ცხოვრობდა.

მარიამი[1] – კოპტი, ულამაზესი, ეგვიპტიდან მიიღო საჩუქრად დასთან – შირინთან ერთად. ხარჭა. რადგანაც ყურანი არ იძლეოდა უფლებას დები ერთდროულად ჰყოლოდა ცოლად, შირინი გააჩუქა. სწორედ მარიამისაგან შეეძინა უკანასკნელი ვაჟიშვილი იბრაჰიმი, რომელიც მოციქულის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

ასეთია იმ ქალების არასრული სია, რომელთა სახელებიც როგორც მოციქულის ცოლებისა, დღემდე შემოგვინახა ისტორიამ.

მუჰამედს თუმც დიდი ქონება არ დაუტოვებია, მაგრამ უზრუნვე- ლყო თავისი ცოლები მდიდარი მიწებით, ხალიფები კი შემდგომში მათ დიდ პენსიებსაც უხდიდნენ, კვლავ დაქორწინება ეკრძალებოდათ, სა- მაგიეროდ, წმიდანებად აღიარებდნენ. დიდად ფასობდა მათი მონათხრობები მუჰამედზე და მოსამართლეები და ღვთისმეტყველები რჩევასაც ეკითხ-

---

1. მარიამი რადგანაც ხარჭა იყო, მუჰამედი ოფიციალურად არ დაქორ- წინებულა მასზე, მაგრამ ცოლად მიიჩნევდა, იგი ხომ მისი უკანასკნელი ვაჟიშვილის დედა იყო.

ებოდნენ. სიკვდილით არ სჯიდნენ, თუნდაც სისხლიან პოლიტიკურ ინტრიგებში ყოფილიყვნენ გარეულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ვინ და როგორი პიროვნება იყო მუჰამედი: მოციქული, პოლიტიკოსი, სარდალი, დიპლომატი თუ ჩვეულებრივი მოკვდავი?! მოვისმინოთ მისი პიროვნების შეფასება ცნობილი ადამიანის მიერ:

არაბებს „ცრუ წინასწარმეტყველი გამოუჩნდათ, რომელსაც სახელად მუჰამედი ერქვა. ეს კაცი შემთხვევით გაეცნო შინაარსს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისა და, ასე შემთხვევით, თითქოს არიოზის მწვალებლობის მიმდევარ მონაზონსაც გასაუბრებია და ამ ცრუ სწავლებასთან მისადაგებით, აგრეთვე ძველი და ახალი აღთქმების თვითნებური გამოყენებით, შეუდგენია კიდეც თავისი საკუთარი მწვალებლობა. მუჰამედმა ყალბი ღვთისმოშიშობისა და მოჩვენებითი კეთილმოსურნეობის წყალობით ადამიანთა კეთილგანწყობა მოიპოვა და ცრუდ დაიწყო იმის მტკიცება, თითქოს მას ზეგარდმო ღვთისაგან მიენიჭა წერილი. დაწერა რა თავის წიგნში რაღაც ამბები და აზრები, რომლებიც ჩვენთვის სასაცილო თუა, მან თავის ხალხს გადასცა იგი, როგორც დიდი სიწმინდე, ღირსი თაყვანისცემისა და ყველგან და ყველაფერში სახელმძღვანელოდ გამოყენებისა“.[1]

წმ. იოანე დამასკელი

„თუ ვინმესთვის მოციქულის სახელს აქვს რაიმე მნიშვნელობა არა წმინდა ისტორიული, არამედ რაიმე თეოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, მაშინ საკითხის ამგვარად დაყენების შემთხვევაში მის მნიშვნელობაზე თავის მტვრევა სრულიადაც არ არის საჭირო. ეს იმიტომ, რომ დოგმატიკა მაშინვე გამოდის წინა პლანზე და უპასუხებს მუსლიმს დადებითად და მართლმორწმუნე იუდეველს ან ქრისტიანს – უარყოფითად.“[1]

მუჰამედის ბიოგრაფი

მუჰამედი „აკეთებდა ყველაფერს ოსტატურად გათვლილი, ღრმა პოლიტიკური მანევრებით. მას არ აღელვებს არც ენებები და არც წინასწარ შექმნილი ცუდი აზრი. ის გასაოცარი ცივი სიმშვიდით განსჯის საშუალებებს: მთელი სისასტიკით ახშობს საშიშ მოძრაობებს; ამასთანავე, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ოქროს ხიდი გასდოს

1. წმ. იოანე დამასკელი. მუჰამედის მიმდევართა შესახებ. იხ. ჟურნ. „წყარო“. თბ. 1994. №25. გვ. 11-12.

დამთმობ მოწინააღმდეგესთან, ვითომდა წინააღმდეგობის შთაბეჭდილებით. მისი ხელოვნება თავის სასარგებლოდ განეწყო და უზომოდ ლუსტრა ილებინა მოწინააღმდეგეთა ძალები, ისევე, როგორც მისწრაფება, ეთამაშა გულმოწყალის როლი, გვაგონებს რომაელების ვერაგულად ეშმაკ პოლიტიკას"[2].

ა. მიულერი

„მუჰამედი ვერ აკმაყოფილებს მისი, როგორც წინასწარმეტყველის მიმართ წაყენებულ ვერც ერთ მოთხოვნას. იგი არა თუ ეთანხმება მოსეს რჯულსა და ძველ აღთქმას, არამედ პირდაპირ ილაშქრებს ახალი აღთქმის ძირითადი არსის წინააღმდეგ... მუჰამედი ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც მოიმოქმედა ღმერთმა წინამორბედ წინასწარმეტყველთა მეოხებით.

ყურანში არსად ჩანს ღვთაებრივი ნიშნები და სასწაულები, რომლებიც დაამოწმებდნენ, რომ მუჰამედის სიტყვები მართლაც უფლისაგან მოდის... მუჰამედის პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ იგი ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველია,' უსაფუძვლოა...

...მუაჰმედმა თავისი საკუთარი რჯული მოიგონა, იმის მაგივრად, რომ მოსეს რჯულს დაყრდნობოდა, რომლის აღსასრულებლადაც მოვიდა ქრისტე. გარდა ამისა, იგი არწმუნებდა ადამიანებს, რომ მათი საუკუნო ცხოვრება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეასრულებდნენ ისინი მის სიტყვას.

...ყურანში...ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც წინასწარმეტყველებას, ვერც სასწაულს ან ღვთაებრივ დამოწმებას ამ ეგრეთ წოდებული „გამოცხადებისა."

ასე რომ, არ არსებობს არავითარი საფუძველი მუჰამედის ბიბლიურ წინასწარმეტყველთა რიგში ჩაყენებისა"[3].

დონ მაკ-კური

როგორც ვხედავთ, მუჰამედის პიროვნების გაგების საკითხი დღემდე არაერთგვაროვნად განიხილება. მის წინაშე თვით წყაროებიც ბევრს სცოდავენ. ისინი ისეთ მოქმედებებს მიაწერდნენ, რომლებიც საერთოდ არ ესადაგებოდა სინამდვილეს, ხშირად მატყუარადაც იხსენიებდნენ.

---

1. А. Мюллер. დასახ. ნაშრ. გვ. 62.

2. იქვე, გვ. 155

3. დონ მაკ-კური. აბრაამის დაკარგული შთამომავლობის მოძიება. თბ. 1994. გვ. 324-325

ამის შესახებ ყურანშიც არის გაკვრით მინიშნებული. მაგრამ გაუგებარია, რა მიზნის მისაღწევად სჭირდებოდა მას ტყუილი. ... დრეს ვიგულისხმებთ, საეჭვოა, რადგანაც 25 წლის ასაკში, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცმა, ხადიჯაზე ქორწინებით საკმაოდ დიდი ქონება შეიძინა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მექადან მედინაში, ჰიჯრას დროს, მას არაფერი წაუღია. თუ გვარიშვილობისაკენ ისწაფვოდა და ამისთვის არაფერს ერიდებოდა, ნაკლებად დასაჯერებელია, რადგანაც წარმომავლობით ისედაც წარჩინებულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ცნობილია, რომ, როდესაც მუჰამედი თავისი რელიგიური მოძღვრებით მექას არისტოკრატიის პირისპირ აღმოჩნდა, ვერავინ ბედავდა მასთან ანგარიშწორებას ავტორიტეტული წარმომავლობის გამო, რადგანაც არაბული ტრადიციის თანახმად, ეს ნიშნავდა ყურეიშიტების მთელი საგვარეულოს ამბოხს თავისი სისხლისა და ხორცის დასაცავად, რაც არ იყო იოლი საქმე.

მაშასადამე, რჩება ერთადერთი – რელიგიური მოტივი, რასაც ადასტურებს მისი სულიერი მდგომარეობა: ხშირად აღტაცებული და მეოცნებე, ხშირად მელანქოლიური, განმარტოებით მარხულობდა, ლოცულობდა, ფიქრობდა. ამ დროს მას ეუფლებოდა განცდა, რომ, როგორც მოციქულს, უზენაესისაგან ეუწყებოდა ხოლმე გამოცხადება ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც უადვილებდა გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ისლამის მკვლევარის ვაშინგტონ ირვინგის აზრი, რომელიც ნაწილობრივ გადმოვეცით, მაგრამ დასკვნის სახითაც უნდა მივუთითოთ: „ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში სჯეროდა სიზმრის თუ მოჩვენების ნამდვილობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც მისი დაეჭვება დაძლეულ იქნა თავგამოდებული და მიმნდობი ხადიჯასა და განსწავლული, მაგრამ ეშმაკი ვარაკას[1] მეშვეობით“[2].

თუ ერთმანეთს შევადარებთ მუჰამედის ცხოვრების მექასა და მედინას პერიოდებს, მათ შორის დიდ სხვაობას აღმოვაჩენთ როგორც წმინდა ადამიანური, ისე მისი რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეობის თვალსაზრისით. მექაში მორიდებული, მომთმენი და უპრეტენზიო მუჰამედი, მედინაში გახდა შემართული და პატივმოყვარე.

---

1. ვარაკა იყო ხადიჯას ნათესავი, განათლებული, მაგრამ ამასთანავე ძალზე გაქნილი პიროვნება.

2. Вашингтон Ирвинг. Жизнь Магомета. С-П. 1990. გვ. 195.

ამასთანავე, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი იყო მისი ქადაგება, შეგონება და მოქმედება. ზოგჯერ მისი პირადული მდგომარეობა, იმდენად ეწინააღმდეგებოდა გამოცხადებებს, რომ იძულებული ხდებოდა გაძართლების მიზნით ისევ გამოცხადებისათვის მიემართა. მაგალითად: აიშასა და ზეიდის ცოლთან დამოკიდებულების საკითხში.[1]

მუჰამედის პიროვნების დახასიათებისას მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ პოეზიისა და პოეტებისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებაზეც. ეს ორი მიზეზით შეიძლებოდა ახსნილიყო: ერთი ის, რომ თვითონ არ იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული და არც არასდროს უცდია ბედი პოეზიასა და მჭევრმეტყველებაში, ხოლო მეორე — ის, რომ ხადიჯაზე ქორწინების შემდეგ, ხშირად დასცინოდნენ როგორც თანატოლები, ისე ცნობილი პოეტები, რომლებიც ხმამაღლა უგალობდნენ თავისუფალ სიყვარულს, ქალს, სილამაზეს, ახალგაზრდობას და არა 40 წლის ორჯერ დაქვრივებულ მანდილოსანს. მიუხედავად აღნიშნულისა, მუჰამედმა მაინც სათანადო პატივი მიაგო პოეზიას. იმ დროს ცნობილი წარმართი პოეტი ქაბა იბნ ზუჰაირი მოციქულისა და ისლამზე მოქცეული თავისი ძმის მიმართ სატირული ლექსების გამო სასიკვდილოდ შეაჩვენეს. სიცოცხლის გადასარჩენად პოეტი, საკუთარი რისკის ფასად, გადაცმული შეიპარა მეჩეთში იმ დროს, როდესაც მუჰამედი მორწმუნეებს ესაუბრებოდა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად შესძახა: „მოციქულო! აქ, შენს სიახლოვეს იმყოფება ქაბა იბნ ზუჰაირი და შეწყალებას გთხოვს, როგორც მონანიე მორწმუნე, მიიღებ შენ მის თხოვნას, თუკი მე მოგიყვან მას?“ მუჰამედი დათანხმებულა და პოეტს მაშინვე უპასუხია: „ის შენს წინაშეა!“ მაგრამ, ზუჰაირის თავხედობითა და ტყუილებით აღშფოთებულ ერთ-ერთ ანსარს[2] ის-ის იყო უნდა მოეკლა პოეტი, რომ მუჰამედს ხელის აქნევით დარტყმა აუცილებია მისთვის, რაც შეწყალებასაც ნიშნავდა. მადლობის ნიშნად ქაბა იბნ ზუჰაირმა ექსპრომტად დიდებული ხოტბა შეასხა თურმე მოციქულს. მისი მოსმენით მოციქული იმდენად აღფრთოვანებულა,

---

1. მუჰამედი იძულებული იყო თავისი უსაყვარლესი ცოლის აიშას მიერ ჩადენილი შეცდომისა გამო და იმის გამო, ვიდრე ალის იძულებული მოთხოვნით გაეყრებოდა მეუღლეს, რამდენჯერმე გამოცხადებისთვის მიემართა. ასევე იყო თავისი შვილობილის ზეიდის ცოლზე ქორწინების წინაც. უხერხულობის მოსახსნელად მან კვლავ გამოცხადებებს მიმართა.

2. ანსარი — „თანაშემწეები“, იყვნენ მუჰამედის მედინელი მომხრეები.

რომ საკუთარი მწვანე მანტია, რომელსაც მუდამ თან ატარებდა, მოუხ-
სნია და მისთვის მხრებზე მოუსხამს. ეს ძვირფასი საჩუქარი [illegible]
სიკვდილამდე სათუთად შეუნახავს და მაშინაც კი არ გაუცია, რომ-
საც ხალიფა 10000 დირჰემს სთავაზობდა. მხოლოდ სიკვდილის შემ-
დეგ, მის მემკვიდრეებს მიუყიდიათ მოსასხამი ხალიფასათვის უკვე
20000 დირჰემად. თურმე ხალიფები მას საგანგებო საზეიმო შემთხ-
ვევების დროს ისხამდნენ მხრებზე. ის კარგა ხანს ინახებოდა დამას-
კოში, შემდეგ ბაღდადში, ვიდრე ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილს მხრებიდან
არ მოუგლეჯია ის ხალიფასათვის 1258 წელს და დაუწვავს.

მუჰამედი მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის მანძილზე
პირადი მაგალითი იყო ახლობლების, მეგობრებისა და მორწმუნეები-
სათვის. მისი პიროვნების შეფასებისას უნდა გვახსოვდეს, რომ უპ-
ირველეს ყოვლისა, ის იყო ღრმად რელიგიური ადამიანი, რომელსაც
არასოდეს შეჰპარვია ეჭვი თავისი რწმენის ჭეშმარიტებაში. იგი რე-
ალობად აღიქვამდა და განიცდიდა ღმერთის მიერ მისი მოციქულად
მოვლენის მისიას, ერთი წუთითაც კი არ დაეჭვებულა მასში. უფრო
მეტიც, მარტო თვითონ კი არ იყო შეპყრობილი ამ განწყობით, იგივე
დაუფლებოდა მის უახლოეს ადამიანებსაც — ხადიჯას, ალის, ზეიდს,
აბუ ბექრს; ისინი არასოდეს დაეჭვებულან მუჰამედის აზრების ჭეშ-
მარიტებაში და სიკვდილის ბოლომდე თავგამოდებით იცავდნენ ჯერ
მას, როგორც ალაჰის მოციქულს, ხოლო შემდეგ მის იდეას. ის ფაქტი,
რომ მას არც სიმდიდრე აინტერესებდა და გარდაცვალების შემდეგაც
ბევრი არაფერი დაუტოვებია, იმის დასტური იყო, რომ მიწიერი კეთილ-
დღეობა მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა — ალაჰის რწმენის ფონზე.
ასევე იყო სამხედრო წარმატებებიც, რომლებსაც თვით მეომარ მორწ-
მუნე მუსლიმთა უმეტესობა განიცდიდა, როგორც ღვთაებრივი სა-
მართლიანობისათვის თავდადებას. ამიტომ, უფრო სწორი იქნება თუ
ვიტყვით, რომ მუჰამედის მოღვაწეობაში მიზანი ამართლებდა საშუ-
ალებას. მიზანი იყო რელიგიური იდეა, ხოლო ყველაფერი სხვა —
სიმდიდრე, ომები, პოლიტიკური ძალაუფლება, არცთუ იშვიათად მოჩვენები-
თი გულმოწყალება და ტყუილიც კი გაიგებოდა და გამოიყენებოდა
მიზნის მიღწევის საშუალებად.

ისლამის სარწმუნოებრივი მოძღვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...მესია, იესო, მარიამის ძე, მოციქულია ღვთისა და მისი სიტყვა, რომელიც მარიამს შთაუგდო, ღვთისაგან მომავალი სულია. მაშ ღმერთი და მისი მოციქულები იწამეთ, და ნუღარ იტყვით, სამება არისო. თავი დაანებეთ... ვინაიდან ღმერთი ერთი არს. დიდება მას; როგორ ეყოლებოდა ძე?"

ყურანი, IV, 169.

„...ესენი კი გმიმენ იმას, რაც არ იციან, სოლო რაც მუნიმრივად იციან, როგორც უგუნურმა პიტუცყეიმმა, იმით ისარგებლიან თავს. ვაი მათ, რადგან კაენის გზით მიდიან. საგლეურისათვის აჰყენენ მაღამის ცდომილებას და ჯიუტიმით იოუპეიმიან, როგორც ჯობასი".

იუდა მოციქულის წერილი, 10, 11.

„ სთქვი: ღმერთი ერთი არს. ღმერთს მიმართავს გაჭირვების დროს ყოველი სულდგმული. არ უშობია, არც შობილა. სწორი არა ჰყავს რაშიაც უნდა იყოს" (ყურ.CXII,1-4). ეს ფრაზა არის ისლამის ქვაკუთხედი და გამოხატავს მის მთავარ დოგმატს ალაჰის, როგორც ღმერთის ერთადერთობისა და უზენაესობის შესახებ.

ზოგიერთი მკვლევარი[1] თვლის, რომ ამ სურით დასტურდება ალაჰის დაპირისპირება ქრისტეს ავტორიტეტთან. აქ აშკარად არის გამოხატული მონოთეიზმის იდეა, რომელიც მუჰამედმა, თავისი ხალხისათვის მარტივად და გასაგებად გამოხატა. მისი ღმერთი არ თავსდება ეროვნული ცნობიერების ჩარჩოებში (როგორც, მაგალითად, მოსეს რჯული), რაც საერთოდ გაუგებარი იქნებოდა მაშინდელი არაბებისათვის და არც ღმერთის ორბუნებიანობასა და სამპიროვნებას უკეთებს აქცენტს, რომლის არსიც გაუგებარი იყო თვით მუჰამედისათვისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ხალხზე.

ყურანის ღვთიური იდეები არაბებისათვის მიუწვდომელი დარჩებო-

---

1. И. Крывелев. История религии. т. 2. გვ. 172.

და, ალაჰს რომ არ გამოეცხადებინა ისინი მუჰამედისათვის მთავარ ანგელოზ ჯიბრაილის მეშვეობით. მექის პერიოდის სურებში ... ად გარკვევით იკითხება, რომ მუჰამედი „მხოლოდ ყურანის საუწყებლად და გასაფრთხილებლად იყო საჭირო, ხოლო მოციქულის ფუნქცია გვიან მიეწერა, რომელიც სავალდებულო ფორმულირებით ჩამოყალიბდა ისლამში: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი მოციქულია ალაჰის“.[1]

სამყაროს ნატურფილოსოფია და დედამიწის ბინადართა შექმნა ყურანში მარტივად არის გადმოცემული. აქ იმდენად აშკარაა ბიბლიის გავლენა, რომ თვით ყურანშიც კი შეუძლებელი აღმოჩნდა ამის დაფარვა. ამიტომ, მიმართა რა წერილის ხალხს (იგულისხმება იუდეველები და ქრისტიანები – რ.წ.), უთხრა, რომ: „ჩვენა გვწამს წიგნები, ჩვენდა მოვლინებული, ისინიც აგრეთვე, თქვენ რომ მოგევლინათ. ჩვენი ღმერთი და თქვენი ღმერთი ერთი და იგივეა და სრულიადაც მივნდობილვართ მის ნებასა“ (ყურ.XXIX-45).

ალაჰი გამორჩეულია ანგელოზებთან და ეშმაკეულ ძალებთან დაპირისპირებაში. მას ექვემდებარება ყოველივე: „ზეცით ჩამოვდივართ მხოლოდ შენის უფლის ბრძანებით. მარტო მას ეკუთვნის, რაცაა ჩვენ წინ და ჩვენს უკან, და ისიც, რაცაა მათ ორთავ შუა... განა იცნობ სხვა რასმე ამავე სახელიანსა?“ (ყურ.XIX-65,66). აღიარებულია ოთხი მთავარანგელოზი: ჯიბრაილი, მიქაელი, ისრაფილი და აზრაილი (აქაც ქრისტიანობის გავლენაა). არ შეიძლება თაყვანისცემა არც ანგელოზების, არც ჯინების, არც წინასწარმეტყველების: „ღმერთი გამცნებსთ, რათა მეუფედ არც ანგელოზები მიიჩნიოთ, არც წინასწარმეტყველები. განა გიბრძანებსთ ურწმუნოდ გახდეთ მას შემდეგ, რაკი გადაგიწყვეტიათ, მინდობილ (მუსლიმი) იყვნეთ ღვთის ნებისა“ (ყურ.III-74).

ალაჰის რწმენის საპირისპიროდ ყურანში გადმოცემულია აგრეთვე დემონების ზემოქმედება ადამიანებზე; ყურანის მეორე სურაში დასახელებულია ორი დაცემული ანგელოზიც – ჰარუტა და მარუტა, რომლებიც თავიანთ ხელოვნებას ისე არავის ასწავლიდნენ, არ ეთქვათ: „გამომცდელ ვართ, გაურჯულოებას უფრთხილდი“. ხალხი მათგან ცოლ-ქმრის გაყრის ღონეს სწავლობდა. ხოლო ანგელოზები ბოროტს

---

1. არაბულად ისლამური რწმენის სავალდებულო დოგმა შემდეგნაირად გამოითქმის: „ლა ილაჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამმადუნ რასულუ ლლაჰ“

არავის უშვრებოდნენ ღვთის ნებადაურთველად: თუმცა ხალხი ჰსწავლობდა, რაც ავნებდა და არა მას, რაც არგებდა და ისიც იცოდა, რომ იმ ხელოვნების მყიდველი მომავალს ცხოვრებას ვერ ეზიარებოდა, თავი უღირალ ფასად გაიცეს. ეჰ! ნეტა ჰსცოდნოდათ" (ყურ.II-96). ამ აიათში ყურადსაღებია ერთი ფრაზა: რომ ანგელოზები ბოროტს მხოლოდ ღმერთის დასტურით სჩადიოდნენ. აქ არ არის ლაპარაკი, რომ ადამიანი ღმერთისაგან მიიღებდა იმას, რასაც, ვთქვათ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში დაიმსახურებდა. ხომ არ გამოდის, რომ ღმერთი ბოროტსაც იტევდა, რაც სრულიად საპირისპიროა ქრისტიანობის.

ყურანში ალაჰი მრავალგვარი ეპითეტით ფიგურირებს, რომლებიც, ამასთანავე, არის მისი სახელებიც. მაგ., „ყოვლისშემძლე, ერთიანი, სამსჯავრო დღის გამკითხავი, ყოვლისმცოდნე, პირველი, მომთხოვნი, შემოქმედი, დამსჯელი" და ა.შ.

მუსლიმის წარმოდგენაში ადამიანი თავდაპირველად მსგავსებით ალაჰს უახლოვდებოდა, მაგრამ შემდეგ განვითარდა აზრი, რომ ქვეყნად არ არსებობს არც სულიერი არსება და არც უსულო საგანი, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა ალაჰის შედარება; ის არის თვალით უხილავი და შეუცნობადი, მაგრამ, ამასთანავე, მყოფი ყველგან, ყველაფერში და ყოველთვის. თუმც ალაჰში სჭარბობს გულმოწყალება, მაგრამ ამავე დროს ის არის სასტიკიც და მომთხოვნიც. ალაჰის მიერ ადამიანის შექმნა არის მისი ძლიერებისა და კეთილგონიერების გამოხატულება, მაგრამ საკუთარი თავისაგან განსხვავებით, ადამიანები შექმნა ნაკლოვანი ბუნებით: მოკვდავნი, სუსტები, დაუდეგარნი, წინდაუხედავნი, უმადურები. სწორედ ამიტომ, ანგელოზები ადამიანის შემწენი არიან და მათ თავიანთი ფუნქციები გააჩნიათ: ჯიბრაილი არის ალაჰის ნების გადმომცემი; ისრაფილმა საყვირზე ჩაბერვით უნდა აუწყოს საშინელი სამსჯავროს შესახებ; მიქაელს ევალება სამყაროზე ზედამხედველობა, ხოლო აზრაილი სიკვდილის მთავარანგელოზია. ორი ანგელოზი მუდმივად არიან ყველა ადამიანთან და იმახსოვრებენ მათ საქმეებსა და ქცევებს. საფლავებს ორი ანგელოზი იცავდა ნაკირი და მუნკარი, ხოლო რიდვანს სამოთხის მცველის ფუნქცია ეკისრა.

ჯინები, დემონები მოქმედებდნენ მიწაზე, ხოლო ზევით მხოლოდ მეშვიდე ცამდე აღწევდნენ. ადამიანებისათვის მოჰქონდათ ბოროტება და იდევნებოდნენ.

ისლამში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოძღვრებას საშინელი

სამსჯავროსა და სამყაროს აღსასრულის შესახებ. ყურანში გარკვევით არის ჩამოთვლილი ამ მოვლენის წინა ნიშნები (აქაც ქრისტიანობის გავლენაა): ცხადია, რადგანაც არის მოძღვრებაში ჯოჯოხეთი, მაშასადამე იქ მოხვედრაც განპირობებული უნდა იყოს ამქვეყნიური ისეთი ცოდვების გამო, რომელთა მონანიებაც არ ხდება. ასეთები არიან ის ადამიანები „ვისაც ღმერთი დააბნევს, მფარველი ვერავითარი ჰპოოს, მას გარდა, აღდგომის დღეს, ყველა პირქვე დამხობილი შევკრიბოთ, ბრმები, მუნჯები და ყრუები. ჯანაბა ექმნესთ საცხოვრებლად; ცეცხლი შეუკეთოთ ყოველთვის, ჩაჰქრეს თუ არა.“ „ასეთი ექმნესთ ჯილდო მის გამო, რომ სასწაულები არ იწამეს“ (ყურ.XVII-99,100). ცნობილია, რომ მუჰამედს სთხოვდნენ მოეხდინა სასწაულები, რათა ეწამათ მისი მოციქულობის ჭეშმარიტება, მაგრამ ყურანში არ არის აღწერილი მის მიერ ჩადენილი არც ერთი სასწაული. აღსანიშნავია, რომ სამოთხეც და ჯოჯოხეთიც ყურანში აღწერილია არაბეთის გეოგრაფიისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. მაგ., რაც ენატრებოდათ – წყალი, სიგრილე, სიმწვანე, გემრიელი და ბევრი საჭმელი, მდიდრული ტანსაცმელი, ცოლ-ქმარი ერთად (მაგრამ ქმარი რომელ ცოლთან უნდა ყოფილიყო ეს გაურკვეველია); ან, რაც არ უნდოდათ – ქვის გრიგალები, საშინელი პაპანაქება, ოხშივარი და ა.შ.

ისლამში მეორედ მოსვლის წინასწარ ნიშნად გამოცხადებულია შემდეგი: მექას ტაძრის გაქრობა, უსინდისობის საყოველთაო გავრცელება, წმიდა წიგნის დავიწყება და მესიის – ამუ მაჰდის[1] მოსვლა, რომელმაც უნდა იხსნას ქვეყანა. ანტიქრისტეს ანუ დაჯალის მოღვაწეობა ამქვეყნად 40 დღეს მოიცავს. ამ დროს მოისპობა ან გაუდაბურდება მიწა, მაგრამ შემდეგ ზეციდან მარიამის ძე იესო ქრისტე მოევლინება წმიდა მიწას, მოკლავს ანტიქრისტეს და მოილოცავს იერუსალიმს. შემდეგ 40 წელი საყოველთაო მშვიდობა დამკვიდრდება დედამიწაზე.

მეორე ნიშანია მთავარანგელოზ ისრაფილის საყვირის ხმები. პირველ ხმაზე მოხდება ადამიანების საყოველთაო სასოწარკვეთა, მეორე ხმაზე საყოველთაო სიკვდილი, შემდეგ უნდა განვლოს 40 წელმა, იყოს კოკისპირული წვიმები და მერე საყვირის მესამე ხმა ამცნობს აღდგო-

---

1. მაჰდი – (არაბ. ჭეშმარიტი გზით წაყვანილი), მუსლიმთა მესია, მხსნელი. შიიტებთან მაჰდი ივივე ფარული იმამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას და იერუსალიმში შეკრებას სამსჯავროსათვის. აქ ყველა სული თაოდ უნდა წარსდგეს ალაჰის წინაშე წიგნებით ხელში, სადაც დაწერილ იქნება მათი ცოდვა-მადლი. ღმერთი მათ განსჯის და გაივლიან ბეწვის ხიდზე. ცოდვილებს მუჰამედი უშუამდგომლებს ალაჰის წინაშე. შემდეგი საფეხურია ჯოჯოხეთი, რომელიც 7 წრისაგან შედგება და ბოლოს სამოთხე 8 წრისაგან, რომლის იქითაც ალაჰის ტახტია.

ჭეშმარიტი მუსლიმისათვის ზემოაღნიშნული მისაღებია ყოველგვარი დაეჭვების გარეშე. ამის შესაბამისად ისლამი შედგება რწმენისაგან, რასაც ეწოდება იმანი და პრაქტიკული მოქმედებებისაგან, ანუ ად დინისაგან.

იმანის ანუ მუსლიმური რწმენის დოგმების: რწმენის შინაგანი მიღება, სიტყვიერი აღსარება და კეთილი საქმეების კეთების გარდა, იმანში შედის აგრეთვე ბედისწერის უკრიტიკოდ მიღება, რომელიც ალაჰის მიერ არის წინასწარგანსაზღვრული და მისი აღსრულება გარდაუვალია; წმინდა წიგნი ანუ ისლამის წმ. წერილი. იმის გამო, რომ ასეთი წიგნები მუჰამედამდეც არსებობდა და ღმერთისაგან არის ნაბოძები, ისლამი მათ სცნობს. ეს წიგნებია: მოსეს კანონი ანუ თავრათი, დავითის ფსალმუნები ანუ ზაბური, იესოს სახარებები ანუ ინჯილი და მუჰამედის ყურანი.

ისლამი თვლის, რომ თუმც ღმერთმა იუდეველებს და ქრისტიანებს გადასცა წმინდა წიგნები, მაგრამ მათ დაამახინჯეს ისინი, გადაუხვიეს ღვთის სიტყვას, რის გამოც მუსლიმებს ეკრძალებათ მათთან ურთიერთობა.

წინასწარმეტყველები ანგელოზებზე მაღლა დგანან, რადგანაც არიან ამქვეყნად ღმერთის გამოცხადების მქადაგებელნი და მისი გამოგზავნილები. ისინი ბევრნი არიან, ათასობითაც კი, მაგრამ მთავარი წინასწარმეტყველები ანუ პირველხარისხოვნები არიან: ადამი, ნოე (ნუხ), აბრაამი (იბრაჰიმი), მოსე (მუსა), იესო (ისა) და მუჰამედი. იესო უარყოფილია როგორც ძე ღვთისა, ხოლო მუჰამედი გამოცხადებულია წინასწარმეტყველთა ბეჭდად, რომლის შემდეგაც აღარ მოხდება მოციქულის მოვლინება. მეორეხარისხოვან წინასწარმეტყველებად ისლამი სცნობს: დავითს, იაკობს, იოსებს და იობს. წინასწარმეტყველები ითვლებიან წმინდანებად, ასევე სასწაულმოქმედებად. მუჰამედის ყველაზე დიდი სასწაული იყო ყურანის გამოცხადება; მთვარის გასკდომაც, რომელიც ურჯულოებმა თვალთმაქცობად მიიღეს (ყურ.LIV-1,2).

რაც შეეხება მუსლიმური პრაქტიკის, ანუ მოქმედებების საფუძ-ლებს, შემდეგია: 1. შაჰადა ანუ დამოწმება: **„მე ვადასტურებ, რომ არ არის სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედი არის მისი მოციქული“**. 2. რიტუალური ლოცვები ანუ სალათი, 3. სარიტუალო მოწყ-ალების გაღება ანუ ზაქათი, რომელსაც სურვილისამებრ შეიძლება დაემატოს ნებაყოფლობითი წყალობა ანუ სადაკა, 4. საუმი ანუ რა-მადანის თვის მარხვა, 5. მოლოცვა მექაში ანუ ჰაჯი.

შაჰადა ფაქტობრივად ნიშნავს იყო მუსლიმი; ის უნდა გამ-ოითქმებოდეს სრული შთაგონებითა და დარწმუნებით, რასაც ეწოდება ნიია. რწმენის ეს სიმბოლო გარდა იმისა, რომ მარტივია, ამასთანავე ადვილად დასამახსოვრებელიც არის. მისი ხშირი გამეორება ნიშნავს მის აღიარებასაც, რაც თავისთავად წარმოადგენს პიროვნების მუსლი-მობის დადასტურებასაც. ეს კი ისლამურ რწმენაში არის ყველაზე სწორი გზა სამოთხისაკენ.

ლოცვა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისლამის დოგმებში, ამას ადასტურებს დღეში 5-ჯერ მისი შესრულება. ლოცვა არის ალაჰის მოგონება „მე ვარ ღმერთი, არა არს სხვა ღმერთი ჩემსა თვინიერ. მაშ თაყვანი მეც და ლოცვა ჰყავ ჩემდა მოსაგონებლად“ (ყურ.XX-14), და რადგანაც ადამიანს ღმერთი ყოველთვის სჭირდება, ამიტომ მუდმივად უნდა იყოს მასთან. ლოცვა სწორედ ამის გამოხატულებაა. ლოცვის დროს ადამიანი წმიდა მდგომარეობაშია არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭირო ა ლოცვის წინ განბანვა, რაც ფაქტობრივად განწმენდას ნიშნავს. განბანვის წესთან დაკავშირებით მუჰამედს მიეწერა სიტყვები: „სისუფთავე რწმენის ნახ-ევარია“. ამიტომაც, განბანვის წესის დაცვა სავალდებულოდ ცხადდ-ებოდა. ჩვეულებრივი წყლით განბანვას ერქვა ვუდუ, ხოლო თუ წყალს სუფთა წმიდა სილა ცვლიდა – ტაიამუმი ანუ გასუფთავება რაიმე ფხვიერით. ამასთან დაკავშირებით ყურანი პირდაპირ მოუწოდებს: „ძორ-წმუნენო! როცა ლოცვისთვის ემზადებოდეთ, პირისახე დაიბანეთ და ხელებიც იდაყვამდე, თავი შეიწმინდეთ და ფეხებიც ქუსლებამდე. თავი გაისუფთავეთ თქვენ ცოლებთან დაწოლის შემდეგ; ხოლო როცა ავად, ანუ გზად იქმნეთ, როცა ბუნებრივი საჭიროება აგესრულებინოთ და როცა ქალს მიჰკარებოდეთ, თუ წყალი ვერ იშოოთ, პირისახე და ხელები შეიწმინდეთ წვრილისა და წმინდა სილით. ღმერთს როდი ნებავს, ვითარიმე მოვალეობა დაგაკისროთ; მაგრამ კი ჰსწადია, წმიდა

გყოსთ და თავისი კეთილმოქმედება თავამდე მოჰყაროს, რათა დამნახავ იყვნეთ" (ყურ. V-8,9). ყურანი ასევე კრძალავს არაფხიზელ მდგომარეობაში ლოცვას, რადგანაც ამ დროს ადამიანი არ არის გაცნობიერებული: „მორწმუნენო" ნუ ილოცავთ, როცა მთვრალ იყვნეთ: მოიცადეთ, ვიდრე წარმოსათქმელ სიტყვებს გაიგებდეთ" (ყურ.IV-46). ლოცვის დროს მორწმუნეს ლოცვისათვის განკუთვნილი სპეციალური პატარა ხალიჩა უნდა გაეშალა, ხოლო თუ არ ჰქონდა, მაშინ წრე უნდა შემოეხაზა და შიგ ჩამდგარიყო. ის ხალიჩა, ის წრე, რომელზედაც იდგა, ლოცვის მომენტში გარე სამყაროსაგან გამოყოფილ წმიდა ადგილად ითვლებოდა.

ლოცვის ჟამის დაცვა სავალდებულო იყო. ამასთანავე „... თუ რისამე შიში გქონდესთ, შეგიძლიათ ილოცოთ ფეხზე დგომით, ანუ ცხენზე ყოფნით, როცა არა გიშავდესთ რა, ღმერთი ხელახლა მოიგონეთ..." (ყურ.II.239,240).

მუსლიმები ლოცვებს ორ ჯგუფად ყოფენ: პირველხარისხოვანი ანუ კანონიკური სავალდებულო ლოცვები და მეორეხარისხოვანი, რომელთა შესრულებაც არ არის აუცილებელი და დამოკიდებულია მორწმუნის სურვილზე. თავდაპირველად ლოცვების რაოდენობა 50-ს შეადგენდა, შემდეგ – 10-ს და ბოლოს ალაჰი და მუჰამედი 5-ჯერად ლოცვაზე შეჩერებულან. ამის შესახებ მოთხრობილია კენტავრის მსგავსი არსებით – ბურაკით, ალაჰთან ღამით მუჰამედის წამიერი მოგზაურობის აღწერაში.

ლოცვის შესრულება არ არის აუცილებელი მეჩეთში. შეიძლება სახლშიც, ჰაერზედაც. არ შეიძლება ლოცვა სასაფლაოებსა და უსუფთაო ადგილებზე, სასაკლაოებზე. ლოცვის დროს სახე აუცილებლად უნდა მიაპყრო მექასაკენ (კებლა). არ არის საჭირო ლოცვის წარმოთქმა ხმამაღლა, ყვირილით, ან ჩურჩულით. მათ შორის საშუალო უნდა მოინახოს (ყურ.XVII-110). ხუთივე ლოცვას აქვს თავისი სახელი და შესრულების დრო; ცისკრის ლოცვა – სალათ ას-სუბჰი, შუადღისა – სალათ აზ-ზუჰრი, შუადღის შემდეგ, საღამოს წინ, მზის ჩასვლამდე – სალათ ალ-ასრი, მზის ჩასვლის შემდეგ სალათ ალ მაღრიბი და ღამით – ძილის წინ – სალათ ალ იშა. ლოცვის დროს აუცილებლად წარმოითქმება ყურანის პირველი სურა, რომელიც მოკლეა და ეწოდება გამხსნელი ანუ ფათიჰა. ლოცვის დროს მორწმუნე რამდენჯერმე იცვლის სხეულის მდგომარეობას და აქაც. ყველაფერს თავისი მნიშ-

ვნელობა აქვს. მუსლიმისთვის ლოცვა არის ვალდებულება და აუცილებლობა. ლოცვებისაგან თავისუფლდებიან ავადმყოფები, მაგრამ ისინი ვალში რჩებიან ალაჰის მიმართ, რაც შემდეგ უნდა ანაზღაურდეს.

კანონიკური ლოცვის შესრულება სასურველია, ეს განსაკუთრებით ეხება პარასკევის ლოცვას მეჩეთში, მორწმუნეთა თვალწინ. დგებიან მწკრივებად, ქალები უკან. ასეთ ლოცვას ეწოდება ჯამა, მას ხელმძღვანელობს იმამი[1]. იმის გამო, რომ იმამი ყველასთან ვერ მივა შინ, მორწმუნენი უნდა მივიდნენ მეჩეთში. პარასკევის ლოცვა სრულდება შუადღისას.

შიიზმი, ჯგუფური ლოცვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ძალის მქონე, თუ 40 მორწმუნე მაინც იქნებოდა, ისიც მამაკაცები, რადგანაც ქალები სათვალავში არ ითვლებოდნენ. მეჩეთში ამაღლებული ადგილიდან ყურანის სპეციალური წამკითხველები ყველასათვის გასაგონად კითხულობენ ტექსტს. ტექსტის ოსტატურად კითხვას იმთავითვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ხმის ინტონაციას შეეძლო ფრაზის მნიშვნელობაც კი შეეცვალა. თუ გავითვალისწინებთ მეშვიდე საუკუნის არაბების განვითარების დონეს, მაშინ გასაგები უნდა იყოს, რომ ყურანის წამკითხავის ფუნქცია ამ პიროვნებას გარკვეულ პრივილეგიას ანიჭებდა.

მუეძინი (აზანი) სალოცავად მოუწოდებდა ნახევრად სიმღერით, შემდეგი ტექსტით: **„ალაჰი უდიდესია“ – ვმოწმობ, რომ არ არის ღვთაება, გარდა ალაჰისა! ვმოწმობ, რომ მუჰამედი მოციქულია ალაჰის! მოდით ლოცვაზე! მოდით ხსნისათვის“ – ალაჰი უდიდესია! არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა!“** – ეს მოწოდება მეორდება მრავალჯერ. შიიტებთან ემატება ერთი ფრაზა: **„წადით, საქმეთაგან უკეთესისაკენ!“** ლოცვების დროს პერიოდულად წარმოითქმის სიტყვები: **„აქბარ ალაჰი“ („ღმერთი დიადია!“).**

მიცვალებულზე ლოცვის შესრულება სავალდებულოა. იკითხება ოთხი ლოცვა ხელაპყრობით. მიცვალებულს მარხავდნენ სუდარით.

მეორეხარისხოვანი ლოცვები შეიძლებოდა შესრულებულიყო ქორწინების დროს, ბავშვის დაბადების გამო, სხვა პირად თუ სამეურნეო

---

1. იმამი – (არაბ. – წინ მდგომი). მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი, მაჰმადიანური სახელმწიფოს საერო და სასულიერო მეთაური, მეჩეთში საერთო ლოცვის ხელმძღვანელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმეებთან დაკავშირებით და არ საჭიროებდნენ რაიმე ოფიციალური წესის აღსრულებას მეჩეთში.

მოწყალება ანუ „ზაქათი" ყურანში იხმარება განწმენდის მნიშვნელობით, „სრულს ღვთისნიერებას მისწვდეთ მხოლოდ მაშინ, როცა სამოწყალო გაიღოთ მისგან, რაც ყველაზე უფრო გეძვირფასებათ. რაც გასცეთ, ღმერთმა შეიტყოს" (ყურ.III-86). ალაჰს „არ უყვარან იგინი, რომელნიც ძუნწობენ და რომელნიც სხვებს სიძუნწეს ურჩევენ და მზრუნველობით მალავენ მას, რაც ღმერთს მათთვის მიუნიჭებია თავისის წყალობის მოქმედებით. ურჯულოთათვის საზიზღარი სასჯელი გვაქვს გამზადებული. არ უყვარან იგინი, რომელნიც მოწყალებას საჩვენებლად გაიღებენ და რომელთაც სრულიად და უკანასკნელი დღე არა ჰსწამთ" (ყურ.IV-41,42). „ზაქათი" დასაწყისში მოწყალების სახით გაიცემოდა და შეეხებოდა ყველა მუსლიმს, ვისაც რაიმე საკუთრება გააჩნდა. ბოლოს მან სავალდებულო გადასახდის სახე მიიღო და განისაზღვრებოდა საერთო შემოსავლის, ან ქონების 1/10-ით. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იყო ზაქათის გასაღებად ქონების მინიმუმი: მესაქონლეს უნდა ჰყოლებოდა 5 აქლემი, ან 30 მსხვილფეხა, ან 40 ცხვარ-თხა, ხოლო ხელოსნებსა და ვაჭრებს ხუთი უნცია ვერცხლი მაინც. მძიმე შრომით შეძენილი ქონების შემთხვევაში წყალობა შეიძლებოდა შემცირებულიყო 1/20-მდე.

მოწყალება განკუთვნილი იყო ღატაკებისათვის და თავიდან ნატურის სახით გაიცემოდა, შემდეგ ფულით. რაც შეეხება სადაკას ანუ ნებაყოფლობით მოწყალების გაღებას, ცხადია მისი რაოდენობა წინასწარ არ განისაზღვრებოდა და გამღების სურვილზე იყო დამოკიდებული. უძრავი ქონებიდან აღებული მოწყალება თავდაპირველად საკულტო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას ხმარდებოდა, მოგვიანებით კი საგანმანათლებლო და სამედიცინო კერების დაარსებასა და შენახვას. ამან დიდი როლი შეასრულა ისლამური კულტურის განვითარებაში.

მარხვა ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. მეცნიერთა ვარაუდით მას შეიძლება წარმოშობის ორი წყარო ჰქონდეს. არაბეთის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, როდესაც არაბები პაპანაქება სიცხეში დღის განმავლობაში ერთი თვე შეზღუდულად ღებულობდნენ საჭმელს, და ისლამის აღმოცენების შემდეგ შემორჩა როგორც ტრადიცია, ხოლო მეორე ვერსიით, მარხვის წესი პირველ მუსლიმებს შეხა-

ძლოა ებრაელებისა და ქრისტიანებისაგან დაესესხებინათ. ყურანი მარხვის შესახებ მხოლოდ გაკვრით მიგვანიშნებს. მე-19 სურის რამდენიმე აიათში მოთხრობილია მარიამის სხეულში ბავშვის ჩასახვის შესახებ და უფალი არიგებს მარიამს, რომელსაც იმ დღეს თუ შეხვდება ადამიანი, უნდა უთხრას: „მე მწყალობელს მივეც აღთქმა მარხვისა და დღეს არ დაველაპარაკები ადამიანს"[1] (ყურ.XIX-27). იმ აზრს არავინ უარყოფს, რომ მუჰამედს ებრაელების მიბაძვით უნდა დაეწესებინა ე.წ. აშურის მარხვა, ანუ მეათე დღის მარხვა, რომელიც მოიცავდა დროის მონაკვეთს ერთი დღის მზის ჩასვლიდან მეორე დღის მზის ჩასვლამდე. მაგრამ მას შემდეგ, რაც მუჰამედი დაუპირისპირდა იუდეველებს, დააწესა ერთთვიანი მარხვა რამადანში და აშურა დავიწყებას მიეცა. ისლამის მქადაგებლისაგან ყველაფერი კეთდებოდა, რათა თავისი შექმნილი მოძღვრება თანდათანობით გაეწმინდა სხვა რელიგიების გავლენისაგან და დაეფუძნებინა ის იმ ტრადიციულ წესჩვეულებებზე, რომლებიც უფრო ახლო იყვნენ არაბების რწმენა-წარმოდგენებთან.

რამადანის თვის მარხვა საყოველთაო სავადებულო მარხვად ითვლება ისლამში. მისი დაწყება ცხადდება ოფიციალურად. მორწმუნემ ახალი მთვარის გამოჩენისას, მოწმის ან ყადის თანხმობით სიტყვიერად უნდა დაადასტუროს (ნიია), რომ იწყებს მარხვას. მარხვა იკრძალება შაბათს ებრაელების წმიდა დღეს და კვირას ქრისტიანების აღდგომის დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის მკაცრი მარხვა მთელი თვის მანძილზე, მორწმუნეს მაინც ეძლევა უფლება ღამით მიიღოს მსუბუქი საკვები ანუ ფათური და სითხე, რითაც ფაქტობრივად არღვევს მარხვას (ამის უფლებას იძლევა ისლამი), მაგრამ გარიჟრაჟზე ისევ ხდება მისი განახლება, რომლის წინაც იღებს ე.წ. „საჭმელს ალიონზე", რასაც ეწოდება საჰური. ისლამი დაუნდობელია იმის მიმართ, ვინც თავს აარიდებს მარხვას. ასეთი ადამიანი შესაძლოა ციხეშიც კი მოხვედრილიყო. მარხვისაგან თავისუფლდებიან ავადმყოფები და ბავშვები, მაგრამ ავადმყოფმა გამოჯანმრთელების შემდეგ

---

1. ყურანის ქართულ თარგმანში ეს ადგილი ბუნდოვანია: „უთხარი ყრმა შევწირე მოწყალესა; დღეს არა კაცს ველაპარაკები" (ყურ.19,27); ხოლო ი. კრაჩკოვსკის მიერ რუსულად თარგმნილ ყურანში აღნიშნული აიათი უფრო გასაგებია:"Я дала Милостивому обет поста и не буду говорить сегодня с человеком" აღნიშნული მიზეზის გამო საჭიროდ მივიჩნიეთ ეს აიათი რუსული ტექსტიდან ჩვენ თვითონ გვეთარგმნა. (რ.წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შეავსოს გამოტოვებული დღეები.

მარხვის მთელი თვის მანძილზე 5 ლოცვას ემატება ერთი ლოცვა 20 რაქათით. მას ასრულებს იმამი საღამოს. მარხვა მთლიანად მთავრდება შავალის თვის პირველ დღეს და აღინიშნება ე.წ. „მცირე დღესასწაულით – ალ-იდ ას-საღირ-ით" (იგივე ქუჩუკ ბაირამით), რომელსაც თან ახლავს საყოველთაო ზეიმი. მარხვის დამთავრების წინ ოჯახის ყველა წევრმა უნდა გასცეს წყალობა.

მოლოცვა ანუ ჰაჯი არ არის მორწმუნისათვის ყოველწლიურად სავალდებულო შესასრულებელი მოთხოვნა ისლამში, მაგრამ აუცილებელი არის ყველა ჯანმრთელი მუსლიმისათვის სიცოცხლეში ერთხელ მაინც ეწვიოს მექას ქა'ბას ტაძარსა და წმიდა ადგილებს მოსანახულებლად: „ცხად საკვირველ-მოქმედების კვალი იხილოთ იქა. აბრაამის სადგურია იქა. ვინც მის გალავანში შედის, დაფარულ არის ყოველისავე შიშისაგან. იქაურობის მოლოცვა მოვალეობაა ღვთის მიმართ ყველასათვის, ვისაც კი მისი მოხდა შეუძლია" (ყურ.III-91). მოლოცვის თვეები ერთმანეთის მიყოლებით იყო: ზუ'ლ კა-და, ზუ'ლ-ჰიჯა და მუჰარემი. ისინი წმიდა თვეებად ცხადდებოდა და ამ დროს არაბეთის მთელ ტერიტორიაზე ვაჭართა ქარავნებს თავისუფლად შეეძლოთ მიმოსვლა, წყდებოდა თავდასხმები, შურისძიება; ხოლო ბაზრობები მექასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ამ ქალაქს არაბეთის სავაჭრო ცენტრად ხდიდა, რელიგიურობის თვალსაზრისით კი ისლამის ცენტრად აყალიბებდა. ამიტომაც მუჰამედის დამოკიდებულება მექას მიმართ იყო სრულიად მოფიქრებულად გააზრებული. ის ვინც წასვლას ვერ მოახერხებდა, შეეძლო გაეგზავნა ან სხვა, ან შესაწირავი. თავს მაშინ გადაიპარსავდნენ, როდესაც შესაწირავი იმ წმიდა ადგილს მიაღწევდა, სადაც უნდა შეწირულიყო. ხოლო თუ მორწმუნეს ავადმყოფობის გამო მანამდე მოუხდებოდა თმის გადაპარსვა, მაშინ უნდა დაჯერებულიყო მარხულობას, მოწყალებას და შესაწირავს (ყურ. II-192). ცნობილია, რომ მუჰამედმა თავისი მეორე და ბოლო მოლოცვის დროს მექაში შეკრებილი თემის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში საბოლოოდ განსაზღვრა თვეები. წელიწადი დაყო მთვარის 12 თვედ და შეცვალა მზის წელიწადი. კალენდრის საკითხში მუჰამედის უვიცობამ შემდგომში მთელი რიგი უხერხულობები გამოიწვია. მუსლიმური წელი გრიგორის კალენდართან (რომლითაც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ) შედარებით 100 წელიწადში 3 წელიწადს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა სხვაობას.[1]

პილიგრიმებისათვის მექაში წმიდა ადგილები იყო ქა'ბას ტაძარი, მაკამ იბრაჰიმი[2], ზემზემის ჭა, საფასა და მერვას გორაკები, მინას ველი[3]. მოლოცვის ტრადიცია დაცულია დღემდე და მთელი მსოფლიოს მუსლიმებისათვის სავალდებულო წესად ითვლება.

ქა'ბას ტაძარი ქ. მექაში, ქალაქში, რომელსაც „მსოფლიოს ჭიპს" უწოდებენ, დღემდე მოლოცვის ძირითადი ობიექტია. გარეგნობით ის კუბის ფორმის არის და სახელწოდებაც აქედან მოდის. თუმც შიგნით სწორკუთხედია. ზომით 10×12 მ, სიმაღლით 15 მ. აგებულია ადგილობრივი მთების ნაცრისფერი ქვისაგან. მარმარილოს ფუნდამენტი 25 სმ. სიმაღლისაა. იმის მიხედვით რომელი ქვეყნისაკენ არის მიმართული ტაძრის კუთხე, ის სახელი ეწოდება. მაგ: იემენის, ერაყის, სირიის და მეოთხე კუთხეს ეწოდება „შავი". ტაძარს გარედან გადაფარებული აქვს ქისვა ანუ შავი ფარჩა. ყოველწლიურად ეგვიპტეში დამზადებული ეს ახალი ქსოვილი რამდენიმე დღით ადრე ჩამოაქვს ქარავანს მექაში და პილიგრიმების ჩამოსვლამდე ტაძრის შავი საბურველი იცვლება თეთრით. მომლოცველებსაც აცვიათ თეთრი სამოსელი, რასაც ეწოდება იჰრამი. წმიდა თვის დამთავრების შემდეგ ქა'ბას ისევ ახალი შავი ქსოვილით ფარავენ, ხოლო ძველს ჭრიან და მომლოცველებში ყიდიან. მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე დაყენებულ კარებში შესვლა ხდება მიდგმული ხის კიბით. ტაძრის სახურავი ეყრდნობა ხის სამ სვეტს. შიგნით არ არის არავითარი ავეჯი. ძირს დაფენილია მარმარილოს ფილები. ეზოდან ტაძრამდე გათელილ გზას ეწოდება მატაფი, რომლითაც ტაძართან მიდიან. მორწმუნეები აქ ხედავენ „იბრაჰიმის ადგილს"; აქვეა მცირე მიმბარი ანუ თეთრი მარმარილოსაგან გაკეთებული კათედრა.[4]

---

1. მუსლიმურ კალენდარში თვეების თანამიმდევრობა შემდეგია: 1. მუჰარემი, 2. საფარი, 3. რაბი I, 4. რაბი II, 5. ჯუმადა I, 6. ჯუმადა II. 7. რაჯაბი, 8. შა'ბანი, 9. რამადანი, 10. შავალი, 11. ზუ'ლ კა-და, 12. ზუ'ლ-ჰიჯა.

2. მაკამ იბრაჰიმი – ადგილი, სადაც აბრაამი (იბრაჰიმი) და ისმაელი კირხნარს ამზადებდნენ ქა'ბას ტაძრისათვის.

3. საფასა და მერვას გორაკები ქა'ბას ტაძართან ახლომდებარეა, სადაც რამდენჯერმე სირბილით უნდა ავიდნენ და ჩამოვიდნენ მორწმუნენი. მინას ველზედაც გადიან მომლოცველები. აქ იმართება პროცესია.

4. იხ. დაწვრილებით. А. Массэ. Ислам. გვ. 121,122.

ისლამს, ისევე როგორც ყველა რელიგიას, თავისი კომუნიკაციური ფუნქცია გააჩნია, რასაც ის საკმაოდ ორგანიზებულად ახორციელებს სალოცავი ადგილების – მეჩეთების მეშვეობით. (სიტყვა „მეჩეთ"-ი არაბულად მასჯიდ – მუსლიმთა სამლოცველო სახლი). მუსლიმებისათვის მეჩეთი თითქმის იგივეა, რაც სახლი. მისი კარები მუდმივად ღია უნდა ყოფილიყო, რათა ნებისმიერ დროს შეძლებოდა მორწმუნეს, მათ შორის უსახლკაროს, შესულიყო, თუნდაც ღამის გასათევად. თავიდანვე ჯერ წარმართი არაბებისათვის, ხოლო შემდეგ თვით მუჰამედისათვისაც ასეთ სახლად განიცდებოდა ქა'ბა. ფაქტობრივად ის იყო პირველი მეჩეთი. ყურანში გარკვევით იკითხება, რომ „ღმერთმა ქა'ბა გადააქცია წმინდა სახლად, რომელიც კაცთათვის სადგურად დანიშნა" (ყურ.V-98). ცნობილია, რომ მუჰამედმა მედინაში ააშენა მეჩეთი. ფაქტობრივად ეს იყო პირველი ისლამური ნაგებობა, რომელშიც მუჰამედი ლოცულობდა და რომლის ირგვლივაც თავისი ცოლების სახლები იყო განლაგებული.

მექა ითვლება წმიდა ქალაქად და კატეგორიულად იკრძალება იქიდან თუნდაც ერთი პეშვი მიწის გატანა. მომლოცველი მექაში შესვლამდე განიბანება და ეკურთხება. ამას ეწოდება იჰრამი. ტანზეც იცვამს სპეციალურ თეთრ ტანსაცმელს, აუცილებლად უნაკეროს, რომელსაც ასევე ეწოდებოდა იჰრამი. პილიგრიმი დადის თავშიშველი, ფეხზე სანდლებით. ქალები მთლიანად ჩადრში არიან გახვეულები. იჰრამის წმიდა მდგომარეობის დროს იკრძალება სქესობრივი ურთიერთობა, ნაყოფის მოწყვეტა, სისხლისღვრა, ნადირობა. ქ. მექას თუკი ადრე რელიგიური და საკაჭრო-ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა, დღეს გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაემატა პოლიტიკურიც, მსოფლიოს მუსლიმთა გაძაერთიანებლის მისიაც.

ზემოაღნიშნული ნორმების გარდა ისლამი ასევე მკაცრად ითხოვს ზოგიერთი სხვა აკრძალვების დაცვასაც. ეს შეეხება საჭმელ-სასმელსაც. ყურანში გარკვევით წერია, რომ „...ღვინო, მორინი, ბუტები და ისრით მკითხაობა საატანას მოგონილი სისაძაგლეა; ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ. საატანას ჰსწადია, სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ და თავსაც გაუფრთხილდით" (ყურ.V-92,93). მუსლიმთა კვების რაციონიდან ღორის ხორცის საერთოდ

ამოღებას, ისევე, როგორც წინადაცვეთას, ზოგიერთი მკვლევარი იუდაიზმის გავლენად მიიჩნევს. თუკი ებრაელები მას ბავშვის დაბადებიდან მერვე დღეს ასრულებენ, მუსლიმები 7-10 წლის ასაკში აღასრულებენ. ებრაელებთან მას ღმერთის მიერ ამ ხალხის გამორჩეულობის დანიშნულება აქვს, ხოლო მუსლიმებთან აბრაამის ნათესაობასთან კავშირისა. თვით ყურანი ამ ფაქტის შესახებ არაფერს ამბობს.

ყურანი
სუნა და ჰადისები

„...ყურანი ჩვენი მოვლინებულია ნამდვილად. გადმოსულია ნამდვილად; შენ, მუჰამმად, მოგვივლენიხარ მხოლოდ საუწყებლად და გასაფრთხილებლად. ყურანი დავყავი კარებად, რათა ხალხს უკითხო ცოტ-ცოტად! ჩვენი მოვლინებულია ნამდვილად“.

ყურანი. XVII–106,107

„ეთქვა მათ: „გადით მთელ ქვეყანაზე და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ ნასწავლა. ვინც იწამებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო, ვინც არ იწამებს, მსჯავრდადებული იქნება“.

მარკოზი,16–15,16

ბივილიზებული კაცობრიობა იცნობს წიგნებს, რომლებსაც ამა თუ იმ ხალხებისა და რელიგიებისათვის საკრალური მნიშვნელობა გააჩნიათ. ასეთ წიგნებს განეკუთვნებიან ვედები, ავესტა, ბიბლია, ყურანი. ამ უკანასკნელს ისეთივე ღირებულება აქვს მუსლიმებისათვის, როგორც ძველ აღთქმას ებრაელებისათვის, ხოლო ახალ აღთქმას ქრისტიანებისათვის. „ყურანი“ – არაბულად „ალ-კურან“. მორწმუნე მუსლიმანთა წარმოდგენით შეუქმნელი და მარადიულად არსებული წიგნია, ისევე როგორც თვით ღმერთი, რომლის სიტყვასაც ის წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდება „ყურანი“ წარმოდგება არაბული ზმნისაგან „კარა ა“, რაც ნიშნავს გაბმით, რეჩიტატივით დეკლამირებულ კითხვას. ადამიანცემით არსებობს ორი ყურანი: ერთი, რომელსაც „ალ-ქითაბს“ ანუ „წიგნების დედას“ ეძახიან და არის ზეცაში ალაჰის ტახტის ქვეშ, ხოლო მეორე, გადმოცემული მუჰამედზე, ჩაწერილია. ყურანს მესამე სახელსაც უწოდებენ – „ზიქრი“ ანუ „გაფრთხილება“. ამის შესახებ თვით ყურანის ტექსტშიც გარკვევით წერია: „...ყურანი გაფრთხილებაა; ვისაცა ჰსურს, გაფრთხილებულია“ (ყურ.LXXIV-54). ეს წიგნი არის ალაჰის სიტყვა: „...ზოგიერთი მათგანები ღვთის სიტყვას დიახ ემორჩილებოდნენ“ (ყურ.II-70), „აუჩინე, რათა შეეძლოს ღვთის სიტყვის მოსმენა“ (ყურ.IX-6); ეს არის წიგნი არაბების ცხოვრების, მათი ტრადიციების, საზოგდოებრივ, პოლიტიკურ, სამხედრო, სამეურნეო, საოჯახო, შრომისადმი დამოკიდებულების, თაობათა ურთიერთობის, ქალისა და მამაკაცის, სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და სხვ. მრ., რომლებიც გამთლიანებული ერთიანი ღმერთის – ალაჰის იდეით გამოცხადებების სახით ეუწყებოდა ღმერთის მოციქულს მუჰამედს; ის კი გამოდიოდა რა მორწმუნეთა წინაშე, საჯაროდ წარმოთქვამდა ზეციდან მოსმენილ დარიგებებს. ცნობილია, რომ მუჰამედი ზეპირად ქადაგებდა, მაგრამ როდესაც დაგროვდა მისი გამონათქვამების საკმაო რაოდენობა და შეუძლებელი გახდა ზეპირად დამახსოვრება, დაუწყიათ მოციქულის სიტყვების უსისტემოდ ჩაწერა პალმის ფოთლებზე, ბრტყელ ძვლებზე, ქვებზე, პაპირუსის ან ტყავის ნაგლეჯებზე. დღემდე შემორჩა მუჰამედის გამონათქვამების ჩამწერთა რამდენიმე სახელი, რომელთაგან გამოირჩეოდა უბეი იბნ ქაბა და აბდალაჰ იბნ აბუ სარჰი. ისტორიას არაფერი შემორჩენია მუჰამედის ხელით დაწერილი.

ყურანი არის მუჰამედის 22 წლის მოღვაწეობის პროდუქტი. (610-632 წწ). ეს არ არის ის წიგნი, რომლის ტექსტებშიც მოქმედება იწყება, ვითარდება და მთავრდება თანამიმდევრობით და ლოგიკურად ურთიერთკავშირში. ამიტომ, მისი ნაწილები ერთმანეთის გაგრძელებებს კი არ წარმოადგენდნენ, როგორც ვთქვათ ბიბლია, არამედ ყველა ნაწილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, თავისთავადია, დამოუკიდებელია გარეშე მიზეზებისაგან. ამის გამო და იმიტომაც, რომ დროთა მანძილზე მუჰამედს ბევრი ისეთი რამ მიაწერეს, რაც მას არასოდეს უთქვამს, გაჩნდა საშიშროება მისი სიტყვების, გამონათქვამების დაკარგვისა. ეს ტენდენცია იმითაც გაძლიერდა, რომ ჰიჯრის მე-11, მე-12 წლებში,

აქტიური ომების პერიოდში, 633-634 წწ. როდესაც წინსწარმეტყველი უკვე გარდაცვლილი იყო, ერეტიკოს მუსეილიმას წინააღმდეგ ბრძოლებში ბევრი ის მუსლიმი დაიღუპა, რომლებმაც ზეპირად იცოდნენ ყურანის ძირითადი ლექსები და თუ დროულად არ შეკრებდნენ, შესაძლებელი იყო ყურანის ძირითადი ტექსტების საერთოდ დაკარგვა.

ყურანის ტექსტების შეკრების იდეა ეკუთვნის ომარს, შემდგომში ხალიფას, რომელმაც დაარწმუნა მუჰამედის მემკვიდრე აბუ ბექრი აღნიშნული იდეის განხორციელების აუცილებლობაში. მაგრამ ამის შესახებ თვით მუჰამედს არაფერი დაუბარებია და ეშინოდა მორწმუნეები არ განაწყენებულიყვნენ. მაგრამ ბოლოს მაინც უბრძანა ზაიდ იბნ საბითს, რომლიც ჯერ კიდევ მუჰამედის სიცოცხლეში იყო მისი მდივანი, შეეკრიბა ყურანის ნაწერი ფრაგმენტები. ცნობილია, რომ მუჰამედის სიკვდილის დროს – 632 წელს – არ არსებობდა ყურანის ერთიანი სისტემატიზებული ტექსტი.

ზაიდ იბნ საბითმა დიდი შრომა გასწია. შეკრიბა ყურანის წერილობითი ტექსტები, ჩაიწერა ის სურები, რომლებიც ჯერ კიდევ ახსოვდათ ზეპირად, დაუმატა თავისი ჩანაწერები და შექმნა ყურანის პირველი კრებული, რომლითაც მხოლოდ აბუ ბექრისა და ომარის უნდა ესარგებლათ. ყურანის პირველი ტექსტი ოფიციალურად არ ცნეს: აბუ ბექრის სიკვდილის შემდეგ ხალიფა ომარი დაესაკუთრა წერილობით ფიქსირებულ ყურანს, რომელიც ანდერძით დაუტოვა თავის ქალიშვილს ჰაფსას, მოციქულის ერთ-ერთ ცოლს. მაგრამ ოსმანის ხალიფობის პერიოდში (VII ს. შუახანები) კვლავ დაისვა ყურანის ტექსტის დაზუსტების საკითხი. ეს საქმე ისევ ზაიდს დაევალა[1]. შეგროვდა ყველანაირი მასალა, რაც კი მოიძიებოდა, წერილობითიც და ზეპირიც, რომელთა გათვალისწინებითაც შეიქმნა ყურანის ერთიანი კანონიზებული ტექსტი; ხოლო მანამდე არსებული ყველა სხვა მასალა განადგურდა. ყურანის ახალი კრებული ოთხ ეგზემპლარად შედგა. იმის გამო, რომ ისლამურ ქალაქებს: ქუფას, დამასკოს, ბასრასა და ჰომსს

1. ამ საპატიო და დიდი შრომისათვის სახალიფოს ხაზინიდან ზაიდი გულუხვად დაჯილდოვდა 100 000 დირჰემით. მუჰამედამდე და შემდეგაც, გარკვეული ხანი, არაბებს არ ჰქონდათ საკუთარი მონეტა და ამიტომ იყენებდნენ ბერძნულ ან სპარსულ ფულს.

შორის არსებული სამხედრო უთანხმოებები გარკვეულ საშიშროებას ქმნიდა ისლამის ერთიანობისათვის, ყურანის ახალი ტექსტის ერთი ცალი დატოვეს მედინაში და ის გახდა ეტალონი „ძველი", რეორე გაგზავნეს ქუფაში, მესამე ბასრაში, მეოთხე დამასკოში.

ყურანის ოფიციალური ტექსტი საბოლოოდ დადგინდა X საუკუნეში. ამ ფრიად სერიოზულ საქმეზე მუშაობდა 7 ცნობილი ღვთისმეტყველი; თითოეულს მიმაგრებული ჰყავდა ყურანის ასევე ცნობილი ორი წამკითხველი. XI საუკუნეში მიიღეს ყურანის საბოლოო რედაქცია. ასევე დადგინდა ყურანის კითხვის მხოლოდ ორი წესი: ერთი შემუშავებული იყო ეგვიპტეში, მეორე – ჩრ. აფრიკაში. ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არაბული დამწერლობის სრულყოფის შედეგად, საბოლოოდ გამოირიცხა შეცდომები ყურანის ტექსტის კითხვის დროს.

არსებული ვერსიის თანახმად, ყურანის ის ტექსტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, უნდა შეესაბამებოდეს 650-651 წლებში ზაიდ იბნ საბითის მიერ რედაქტირებულ ტექსტს. ყურანს, როგორც რელიგიურ წიგნს მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ მას პრაქტიკულად მოიხმარდნენ მორწმუნეები. წიგნის უკეთესად მოხმარების მიზნით ტექსტი დაყვეს 30 ჯუზად (ნაწილად), ან 60 ჰიზბად (განყოფილებად). ყურანი, რომლითაც ამჟამად სარგებლობს კაცობრიობა, შედგება 114 თავისაგან ანუ სურასაგან.[1] ეს სიტყვა ფიგურირებს ყურანის სხვადასხვა ადგილზე[2]. ყურანში ბევრი გამეორებაა, სურებიც არ არის ქრონოლოგიურად დალაგებული. ისლამის ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აღნიშნული მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ გამოცხადებები განპირობებული იყო შესაბამისი სიტუაციებით, სხვადასხვა დროს, წარმართებისა თუ მორწმუნეთა ჯგუფებისა, ან ცალკეული პიროვნებებისათვის. ადვილად შეიძლებოდა, მოციქულს ერთი და იგივე აზრი, სხვადასხვა დატვირთვით გამოეთქვა სხვადასხვა ადგილზე. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მუჰამედი მხოლოდ ზეპირმეტყველებდა, მაშინ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა მასაც რაიმე დავიწყებოდა, ან ილუზია შექმნოდა, რომ რასაც ამბობდა, მანამდე არასოდეს ეთქვა. ზოგიერთი გამოცხადება ძილში, სიზმარში ჰქონდა, ზოგიერთის დროს კი გონება ეკარგებოდა და ასეთ შემთხვევაში

1. სურა არაბულად, ნიშნავს რიგს. მაგ.: პირველი, მეორე და ა.შ. რიგი.

2. იხ. ყურანი, II – 21, I – 39, II – 16. შენიშვნა: ქართულ თარგმანში იხმარება თავი, ხოლო ი. კრაჩკოვსკის რუსულ თარგმანში ყველგან იკითხება სურა.

„ახალგაზრდა აქლემივით ბღაოდა“. მართალია მიუთითებენ, რომ გამოვიძების და გონებაზე მოსვლის შემდეგ მას ყველაფერი იმდენად ცარიელად ახსოვდა, თითქოს დაბეჭდოდა გულის ფიცარზე. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ 24000 გამოცხადებიდან მოციქულს ყველა ზეპირად სცოდნოდა და თავი დაეზღვია განმეორებებისაგან.

ასევე არ არის მოქმედებების ლოგიკური თანამიმდევრობა. სურები იყოფა ლექსებად – აიათებად. სულ არის 6211 აიათი. ყურანში ბიბლიური პერსონაჟების გარდა არ იხსენიებიან სახელებით კონკრეტული პირები, ისტორიული ფაქტები, რაც ცხადია, ართულებს ტექსტის მოთავსებას დროის გარკვეულ ჩარჩოებში. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა სურების დაყოფა მექასა და მედინის პერიოდის შესაბამისად, ანუ ჰიჯრამდე და ჰიჯრას შემდეგ. ჰიჯრამდე მექას პერიოდის სურებს ყოფენ სამ ნაწილად: პირველს პირობითად უწოდებენ „პოეტურს“, მეორეს „რაჰმანულს“ (გულმოწყალე), მესამეს „წინასწარმეტყველურს“. მექასათვის ნაბოძები I პერიოდისაა 48 სურა, II პერიოდის – 21 სურა, III პერიოდის – 21, მედინის პერიოდისაა 24.[1] მუჰამედი თავისი გამოცხადებების წყაროდ მიიჩნევდა ე.წ. „ციურ წიგნს“, „წერილის დედას“ (ყურ.XIII-39), რომელთაგან შეიცნო მხოლოდ ისინი, რომლებიც არაბულ ენაზე გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „...ენა იმისი, ვისი არა პირდაპირ ჩვენებაც ჰსწადიათ, უცხო ენაა, მაშინ როდესაც ყურანი წმიდა არაბული წიგნია“ (ყურ.XVI-105). „ეს გამოცხადება არაბულ წიგნად მოგანიჭეთ, რათა დედაქალაქი და მის გარემო ხალხები გაგეფრთხილებინა...“ (ყურ.XLII-5). წიგნში არაბები გამოცხდებულები არიან შუამავალ ერად ყველა ხალხების წინაშე, ხოლო მოციქული მოწმედ არაბთა წინაშე (ყურ.II-137). ყურანიდან ვგებულობთ, რომ ალაჰი მუჰამედთან კონტაქტს ამყარებდა მთავარანგელოზ ჯიბრაილის მეშვეობით, რომელსაც მოციქული თავდაპირველად განიცდიდა როგორც სულს.

პირველი გამოცხადება, რომელიც ძლიერ ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენს მუჰამედზე, მოხდა რამადანის თვეში ალ-კადრის ღამეს. ეს არის სიძლიერის, ძლევამოსილების ღამე, რომელიც ათას თვეზე უმეტესია და „იმ ღამეს ანგელოზები და სული გადმოვიდნენ ქვეყნად

1. იხ. Коран, Перевод и комментарии И. Крачковского, М. 1990. გვ. 443.

ღვთის ნებართვით", რათა წარემართათ ყოველი საქმენი (ყურ.XCVII-1-4). ამიტომაც, ყურანის ამ სურას ეწოდებოდა „ალკადრ", ანუ „ძალ ევამოსილება". აქედან გამომდინარე, ეს საოცრება რადგანაც რამადანის თვეში მომხდარა, შემდეგ ეს თვე წმიდა თვედ და მარხვის თვედ გამოცხადდა. მე-16 სურაში გარკვევით იკითხება, რომ „ყურანი გამოცხადებაა სამყაროს მეუფისა, სარწმუნო სულმა მაღლით ჩამოიტანა და გულს დაგადო, მუჰამედ! რათა მოციქული ყოფილიყავ. ეგაა (ყურანი) წმიდა არაბულის ენითა. წინასწართქმულა ეგ ძველთა წერილში".

სრულიად გაუგებარია თუ რა დანიშნულება აქვთ ტექსტისათვის 11, 12, 14, 30, 40, 41, 45 და სხვ. სურებს, რომლებიც იწყებიან ტექსტის წინ დასმული არაბული ასოებით, ზოგჯერ ორით, სამით და მეტითაც. ერთნი ფიქრობენ, რომ ესენია საიდუმლო სიტყვების პირველი ასოები, ან შესაძლოა იმ პირთა ინიციალები, რომლებიც ყურანის ტექსტებს ან სიებს ფლობდნენ.

ყურანის ყველაზე ძველი სურები, ამასთანავე, ყველაზე მოკლენი, კრებულის ბოლოშია მოთავსებული. გამონაკლისია 113 და 114 სურა, რადგანაც მათ სულ სხვა დატვირთვა აქვთ. ისინი წყევლიან ბოროტ სულს: „თავშესაფარს ვეძებ წინაშე კაცთა უფლისა, კაცთა მეუფისა, კაცთა ღვთისა. წინააღმდეგ უკეთურობისა მის, რომელიც ცუდის შემგონებელია და იმალება, რომელიც ბოროტებას გულს ჩაჰბერავს კაცთა, წინააღმდეგ ჯინთა და წინააღმდეგ კაცთა" (ყურ.CXIV). პირველ სურას, რომელიც ბოძებულია მექას, ეძახიან ფათიჰას ანუ გამხსნელს. მას ლოცვის ფორმა აქვს. წესით ეს სურა მთავრდება სიტყვით „ამინ", რაც არ ხდება სხვა სურების კითხვის დროს.

ყურანის ტექსტის რიგი ადგილები ურთიერთგამომრიცხავია. მაგ.: V სურის 56-ე, 73-ე და 85-ე აიათები. პირველი მოუწოდებს მუსლიმებს: „მორწმუნენო! ურიებსა და ქრისტიანებს მეგობრებად ნუ გაიხდით; მეგობარ არიან ერთმანეთისა. ვინც იგინი დაიმეგობროს, მათვე დაემსგავსოს და ღმერთიც უკუღმართთა გამძღოლი აღარ იქმნეს"; 73-ე აიათი პირიქით ამბობს: „ვისაცა ჰსწამთ ურიებიც, საბეველებიც და ქრისტიანებიც, ვინც იწამოს ღმერთი და უკანასკნელი დღე და კეთილიცა ჰქმნას, შიშისაგან გაიცალოს და აღარც დაწუხებულ იქმნეს." ხოლო 85-ე აიათი ქრისტიანებს განიხილავს მართლმორწმუნე მუსლიმებთან უფრო ახლოს მდგომთ, იუდეველნი კი სიძულვილს იმსახურებენ კერპთაყვანისმცემელთა მსგავსად.

ყურანში მრავალგზის ფიგურირებს ქრისტიანობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც პირველ ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ **მუჰამედი უარყოფს სამებას, რომ ქრისტე არ იყო ძე ღვთისა და ასევე განიხილავს სხვა წინასწარმეტყველთა თანასწორად, ასევე უარყოფს აღდგომას, იესოს ამაღლებას.** უცნაურად ჟღერს ყურანის ერთი აიათი იმის გამო, რომ მასში მუჰამედი, რომელმაც სწორედ ქრისტიანებისაგან შეიტყო წმიდა წერილის შესახებ, უარყოფს რა სამების დოგმატს, აღნიშნავს: „ურიებსა და ქრისტიანებს უთხარი: წერილის ხალხნო: ყურად იღეთ მხოლოდ ერთი სიტყვა; ყველაფერი თანასწორ იყოს ჩვენსა და თქვენ შორის; თანახმა გავხდეთ, თაყვანი ვსცეთ მარტო ერთსა ღმერთსა და არ დაუამხანაგოთ მას, რაც უნდა იყვეს და არ გამოვძებნოთ ურთიერთშორის მეუფენი ღვთისა თანასწორ". (აქ ივულისხმება ძე ღვთისა. რ.წ.) (ყურ.III-57); რომ „ღვთის თვალში იესო ივივეა, რაც ადამ" (ყურ.III-52); „ღმერთს ძე ჰყავსო, იტყვიან. მისმა დიდებამან, არა; უკეთესია, ჰსთქვათ; რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, ყველაფერი მას ეკუთვნის და ყველაფერი მას ემორჩილება" (ყურ.II-110); ისლამი უარყოფს ქრისტეს ზეციდან მოვლენას და მას ჩვეულებრივ ადამიანად მიიჩნევს. ამ ცრუ აზრების საპირისპიროდ საკმარისია ახალი აღთქმიდან რამდენიმე ადგილის მოტანა: „მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს" (იოანე. 6-51); „...ჩემი მსჯავრი ჭეშმარიტია, რადგან მე მარტო კი არ ვარ, არამედ მე და მამა, რომელმაც მე მომავლინა", „იესომ უპასუხა: „არც მე მიცნობთ, არც მამაჩემს. მე რომ მიცნობდით, მამაჩემიც გეცნობოდათ; (იოანე, 8–16, 19); „მე და მამა ერთი ვართ" (იოანე, 10-30) „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით... ვინც მე მისილა, მამა ისილა... მე მამაში ვარ და მამა ჩემში; სიტყვებს, რომლითაც გეუბნებით, ჩემით არ ვამბობ, ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს" (იოანე, 14-6,9,10).

ყურანში გარკვეული ყურადღება ეთმობა კაცების, ქალის, ცოლქმრის, მოციქულის ცოლების, ოჯახის საკითხებს, რომლებსაც სპეციალური სურებიც კი ეძღვნება. ცნობილია, რომ მუჰამედმა დააკანონა 4 ცოლის ყოლის უფლება, მხოლოდ ერთ ცოლს ეკრძალებოდა. ეს ნებადართულია, რომ ეს გადაწყვეტილება მას უნდა მიეღო მაშინ, როცა თვითონ ჰყავდა 4 ცოლი, მაგრამ შემდეგ მისი ცოლების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რაც ეწინააღმდეგებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისსავე გადაწყვეტილებას, ყურანში ვხვდებით მოციქულის მამრის გამონაკლისის დაშვების პრეცედენტს. უცნაურად გამოიყურება ყურანის ერთი სურა, რომელიც არის მიმართვა „წინასწარმეტყველის ცოლებო“, თქვენ სხვა ცოლებივით კი არა ხართ; თუ ღვთის გეშინიათ, ნუ გამოიჩენთ გადამეტებულ ალერსიანობას ლაპარაკში, შიშით, რათა კაცმა, რომლის გულიც უძლურებით შეპყრობილია, თქვენდამი არ განიზრახოს ნდომა ცოდვისა. სიტყვა-პასუხი იქონიეთ თავდაჭერილი“ (ყურ.XXXIII-32); „...თუ გინდათ, ჰკითხოთ მის ცოლებს, ჰკითხეთ ჩადრის საშუალებით; ამგვარად თქვენი გული და მათიცა სიწმინდით დაცული იქმნეს; ერიდეთ შეწუხება მიაყენოთ ღვთის მოვლინებულსა; ნუ შეირთავთ ქალებს, ვისთანაც კავშირი ჰქონია მას; ღვთის თვალში უპრიანია“ (ყურ.XXXIII-53).

ყურანში რაიმე ცვლილების შეტანა კატეგორიულად იკრძალება. მაგრამ, მისი ტექსტის რედაქტირების დროს, ორივე შემთხვევაში მაინც მოხდებოდა გარკვეული ცვლილებები: „ყურანის პირველი მოდიფიკაციის შემდეგ ვინმე აბდალა იბნ მასუდი, მუჰამედის დროს მაღალი თანამდებობის პირი, აცხადებდა, რომ ყურანის კრებულიდან გაქრა მრავალი ტექსტი, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო მექას მაღალი სოციალური ფენა. ხალიფა ოსმანის დროს კი ვინმე აბუ ზარი გამოვიდა იმ ფუფუნების წინააღმდეგ, რომელშიც ცხოვრობდნენ სირიელი ომეადები და ამ შემთხვევაში ის ეყრდნობოდა ყურანს; ხოლო თანამედროვე ტექსტში საერთოდ არ არის შესაბამისი ადგილები“[1].

ყურანში საინტერესოდ არის წარმოდგენილი მთელი რიგი მითითებები და აკრძალვები. აი ზოგიერთი მათგანი: „ღმერთმა ბრძანა...კარგად მოქცევა თქვენ დედ-მამასთან, კიდეც რომ ერთი მათგანი სიბერით შეპყრობილი იყვეს, ანუ ორთავ მიეწიოს იქამდე და თქვენთან დარჩენილიყვნენ. ერიდე მათ თაკილობას, მათ ყვედრებას. პატივისცემით ელაპარაკე მათ“, „ნუ დაჰხოც თქვენს ბავშვებს სიღარიბის შიშითა; კაცისკვლა, რომელსაც ჩადიხართ, მძიმე ცოდვაა“. „მრუშობას ერიდეთ, ვინაიდან უთნობა და ცუდი საქციელია“ (ყურ. XVII-24,33,34). ასევეა ძმობლების მოვალეობები შვილების მიმართ. რაც შეეხება ცოლებს, ისინი აუცილებლად ქმარს უნდა ერჩინა. იკრძალებოდა ქორწინება დედებზე, საკუთარ ქალიშვილებზე, დებზე, მამიდა-დეიდებზე, ძმის– თუ

1. Й.А. Крывелев. История религии. т. II. გვ. 143.

დისწულებზე, ძიძებზე, დობილებზე, სიდედრებზე, ორ დაზე და ა.შ. მზითევი თითქმის არ ფიგურირებს. აიკრძალა დაქვრივებული ძმის შერთვა ძმის სიკვდილის შემთხვევაში. ქვრივს შეეძლო გათხოვება 4 თვისა და 10 დღის შემდეგ. ჩვილ ბავშვს დედის ძუძუ უნდა ეჭამა 2 წელი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ობოლ ბავშვებს და მათი ქონების შენახვას სრულწლოვანებამდე (ყურ.IV-2,6). ყურანი კრძალავს აგრეთვე გარკვეული ხარისხის ხორცს, მაგალითად, სისხლის ჭამა, ბუნებრივი სიკვდილით მკვდარი ცხოველის (მაითა), ღორის ხორცის, დამხრჩვალის, დარტყმისაგან მოკლულის, სიმაღლიდან გადმოვარდნილის, რქით დაგლეჯილის, მტაცებელი მხეცის მოკლულისა და სხვ. (ყურ.V-4).

VII საკუნეში გაჩნდა მუჰამედის ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის თქმულებები, გადმოცემები – **ჰადისები.** მათ შესაგროვებლად მიმართავდნენ ჯერ საჰიბებს (მუჰამედის ცოცხალ თანამოაზრეებს), შემდეგ თაბიუნებს (თანამოღვაწეთა „მემკვიდრეებს“), სულ ბოლოს კი „თანამოღვაწეთა მემკვიდრეების მემკვიდრეებს“. ჰადისებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ძირითად ტექსტებს, რომელთაც ეწოდებოდა მათნ-ი და ე.წ. ისნადებს (საფუძველს). „ათწლეულების მანძილზე ჰადისების რაოდენობა ათასობით დაგროვდა. ტექსტში აღმოჩნდა ბევრი ისეთი ეპიზოდი, რომლებიც საერთოდ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუჰამედთან დაკავშირებული. ისევე როგორც ყურანმა, ჰადისებმაც გარკვეული რედაქტირება განიცადეს. დაიწყო ისეთი გადმოცემების შერჩევა, რომელთა ურთიერთშესაბამისობაში მოყვანაც შესაძლებელი იქნებოდა. ჰადისები იმის მიხედვით დალაგდა, ვინც მათ გადმოსცემდა ანუ მუსნადებით – იგივე სახელებით. ასეთი კრებულები, რომელნიც ირანელმა სწავლულებმა შეადგინეს,“ იმდენად სანდოდ მიიჩნევა, რომ ყურანის შემდეგ ის ისლამის და მუჰამედის ცხოვრების მნიშვნელოვანი წყაროა.“

თუ მოხდებოდა ისე, რომ რაიმე საკითხზე გადაწყვეტილება ყურანში არ იქნებოდა მოცემული, წინასწარმეტყველს შეეძლო მიემართა ახალი გამოცხადებისათვის და გადაწყვეტილებაც ამის შესაბამისად გამოეტანა. მაგრამ, როდესაც ის გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ ყურანში არ იყო გათვალისწინებული მოვლენების მთელი რიგი. ასეთი პრობლემური სიტუაციიდან გამოსასვლელად შემუშავებულ იქნა სამი გზა: პირველი – თუ ყურანში არ მოიძებნებოდა პასუხი, მაშინ უნდა მი-

ემართათ მოციქულის ქცევის მაგალითისათვის ანალოგიურ სიტუაციაში; მეორე — მამა-პაპური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენება, რაც თვით მუჰამედისთვისაც საკამაოდ ნაცადი ხერხი იყო; მესამე — იმ შემთხვევაში, თუ არ მოიძებნებოდა პასუხის ოპტიმალური ვარიანტი, მაშინ მოსამართლე საკუთარი ინტუიციით შეეცდებოდა სამართლიანად გადაეწყვიტა საკითხი. ასე შექმნეს IX საუკუნეში ირანელმა მეცნიერებმა არაბულ ტრადიციებზე დაყრდნობით, მუჰამედის ცხოვრების ანალოგიებით, გადმოცემებით კიდევ ერთი ისლამური წიგნი — სუნა. ფაქტობრივად შემდეგში ისიც რჯულის წიგნად იქცა ე.წ. სუნიტებისათვის.

სუნა ი. კრიველიოვის სიტყვებით „ისეთივე ადგილი უჭირავს ყურანის წერილთან მიმართებაში, როგორც იუდაიზმში თალმუდს ბიბლიასთან მიმართებაში".

სიტყვა „სუნა"„ ნიშნავდა „გზას", რომელიც მუჰამედმა გაკვალა. შემდგომში, როდესაც სუნას ავტორიტეტი საკმაოდ გაიზარდა, აღმოჩნდა, რომ სუნას შეეძლო ყურანის გარეშე არსებობა, ყურანს კი მის გარეშე არა, რადგანაც ეს აუცილებელი დანართი იყო ყურანისათვის. სუნას მთავარი იდეა იყო მუჰამედის ღრმა ღვთივსულიერების აქცენტირება, რათა მიებაძათ მისთვის. ყურანიც ადასტურებდა, რომ მორწმუნეთათვის „ჩინებული მაგალითია მათი წინასწარმეტყველი, მაგალითი ყველასათვის..." (ყურ. XXXIII-21). ამიტომ, შემდგომში, როდესაც ჩამოყალიბდა ისლამის ერთი განშტოება, ეს სწორედ ის იყო, რასაც სუნიზმი ეწოდა, ხოლო მის მიმდევრებს სუნიტები, აქ მთავარი იყო რჯულის მცნება, გადმოცემული და განმტკიცებული მუჰამედის მიერ. ის იცავდა ყურანიდან გამომდინარე სამართალს — შარიათს და წინაპრების ჩვეულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარიათი

„ღმერთი ყველაფერს მართლმსაჯულებით გადაწყვეტს. ვისადმიც ურჯულოები ღაღადს ჰყოფენ მის თანასწორ, ვერაფერს გადაწყვეტენ, რაც უნდა იყოს, ვინაიდან მარტო ღმერთი ისმენს და ხედავს ყველაფერს“.

ყურანი. XL-21.

„ნეტარია, ვისაც ეპატია დანაშაული, ვისი ცოდვებიც დაითესა. ნეტარია კაცი, ვისაც უთანალი ცოდვას არ ჩაუთვლის და ვის სულშიც არ არის სიცრუე“.

ფსალმუნი 31-1,2.

ისლამური სამართლის ნორმები ძირითადად ყურანშია გადმოცემული, შემდეგ შეივსო სუნათი და ჰადისებით. ცხადია, მათში ბევრი რამ იყო შეცვლილი ძველი წეს-ჩვეულებითი სამართლიდან, რაც იმითაც იყო გაპირობებული, რომ ერთიანი არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში გამოიკვეთა აუცილებლობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ხალხების ალაჰის ერთი იდეით გაერთიანებისა, რომლის რეგულირებაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ კანონიზებული წერილობითი სამართლის მეშვეობით. ასეთი სამართალი უნდა გამხდარიყო რეგულატორი არაბთა სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო თუ რელიგიური ნორმებისა. ყურანისა და სუნას მითითებებისა და აკრძალვების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა სწორედ მუსლიმური სამართალი.

ისლამური სამართალი იმდენად იყო გადაჯაჭვული რელიგიურ კანონებთან, რომ სახელმწიფოს მეთაური ითვლებოდა მოციქულის მემკვიდრედ, ხოლო უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლები მის მრჩევლებად. სასამართლოს განაგებდნენ სასულიერო პირები. აღსანიშნავია, რომ როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალი მთლიანად ეყრდნობოდა შარიათს – რელიგიურ კანონს.

შარიათის მიზანი იყო რელიგიური კუთხით ცალკეული ადამიანების ცხოვრების ყველა მომენტის გაშუქება. რელიგიური ბეჭედი ჰქონდა დასმული მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. თანდათანობით რელიგიური და სამართლებრივი ურთიერთშესაბამისობაში მოვიდა და მოხდა დიფერენცირება სამართლებრივი კუთხით. ეს იყო დამოკიდე-

ბულება კულტისადმი — იბადათ, იურიდიული მოქმედებები — მუამალათ და სასჯელი — უკუბათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურანის გათვალისწინებით ისლამური შარიათი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ცრუმორწმუნეობა ისჯებოდა წკეპლის 80-ჯერ დაკვრით (ყურ.XXIV-4,6,11,13); ყოველგვარი ანდერძი შეიძლებოდა ორი მოწმის ჩვენებით, რასაც ეწოდებოდა შაჰიდ-ი (ყურ.V-105), შურისძიება ნებადართული იყო შესაბამისი მოქმედებით (კისას), ჯარიმა მკვლელობისათვის შურისძიების მიზნით (დია), ქურდობისათვის (სარიკ) გათვალისწინებული იყო ხელის მოკვეთა და სხვ.

შარიათის დაცვა-აღსრულებას ძირითადად რამდენიმე პირი ადევნებდა თვალს; მოლა — მეჩეთში; ყადი — შარიათის მცოდნე და ამიტომაც მოსამართლე; მუფთი — უმაღლესი ავტორიტეტი შარიათის საკითხებში. მეჩეთებთან მოქმედებდა დაბალი საფეხურის სკოლები და უმაღლესი სასულიერო სასწავლებლები — მეკთებები და მედრესები. ყურანის სწავლება შეიძლებოდა მხოლოდ არაბულ ენაზე.

ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო იმთავითვე სხვადასხვა დაჯგუფებების წარმოქმნა.

სუნიტების სამართლებრივ პოზიციას გამოხატავდა ე.წ. „განწმენდილი ბილიკი", რომელსაც ეწოდა „შუვატა". ამ კანონთა კრებულის ავტორად ითვლება მალიქ იბნ-ანასი: ცხადია, ის ეყრდნობოდა ყურანს, სუნას და წესჩვეულებით სამართალს. განსაკუთრებულ შემთხვევებში იშველიებდა მედინის განსწავლულ კაცთა აზრს, რასაც ეწოდებოდა იჯმ-ა.

VIII ს-ის შუა ხანებიდან გავრცელდა ირანელი აბუ ჰანიფას სამართლებრივი პრინციპები: პირადი საღი აზრი, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ აზრთან, რასაც ეწოდებოდა რაი, ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ანალოგიებით განსჯა ანუ კიასი.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი სკოლა შექმნა შაფიიმ[1], რომელმაც უარყო რაი და უპირატესობა მიანიჭა კიასს. სუნიტურ ისლამში მისი სკოლის მიმდევრებს ეწოდებოდათ შაფიიტები. ძირითადად იყენებდნენ ლოგიკურ დასკვნებს და ანალოგიებს, მაგრამ მკაცრად ჰქონდათ რეგლამენტირებული მათი მოქმედების ჩარჩოები. თავის დროზე მოქმედებდ-

1. ალ-შაფიი მუჰამედ იბნ იდრისი, მუჰამედის შორეული ნათესავი, იყო ჰაშიმის გვარიდან. მიიღო საუკეთესო განათლება. შექმნა მოძღვრება სამარ-

ნენ ჰიჯაზში, ერაყში, სირიაში, ეგვიპტეში, ირანში. ამჟამად არიან აღმოსავლეთ აფრიკაში, სირიაში, სამხრეთ არაბეთში, ეგვიპტეში, ირანში.[1] შემდეგ შაფის მოძღვრებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ორი: თალმცოდნეობის ჰანბალიტური და ზაჰირიტული სკოლები.

ჰანბალიტური სკოლის დამაარსებელი იყო იმამი აჰმედ იბნ ჰანბალი IX საუკუნეში, ქ. ბაღდადში. თავდაპირველად ეყრდნობოდა კიასს და იჯმას. მისი მიმდევრები კატეგორიულად უარყოფდნენ ყოველგვარ სიახლეს ისლამთან დამოკიდებულების საკითხში. ასევე არ იღებდნენ ყურანისა და ჰადისების თავისუფალ განმარტებას. უკიდურეს შეუწყნარებლობას იჩენდნენ შარიათის საქმეებში. დროთა მანძილზე რელიგიურმა ფანატიზმმა ისინი ჩამოაშორა ცხოვრების რეალობას, რაც საბოლოოდ ამ სკოლის დაკნინების მიზეზი გახდა. მათგან ამჟამად მხოლოდ პატარა ჯგუფები მოქმედებენ ნაჯდსა და ჰიჯაზში, ეგვიპტესა (კაიროსა) და სირიაში[2].

ზაჰირიტული სკოლა დაარსებულ იქნა XI საუკუნეში დაუდ აზ-ზაჰირის მიერ. მისი მიმდევრები საერთოდ უარყოფდნენ რაის, ხოლო იჯმა განისაზღვრა მხოლოდ მოციქულის მიმდევართა წრით. სამართლის საფუძვლად აღიარებდნენ სიტყვასიტყვით განმარტებულ ყურანსა და სუნას.

თალმცოდნეობის საფუძვლების შესახებ და გადმოსცა თავის ერთ-ერთ თხზულებაში — „ტრაქტატი" (რისალა). გარდაიცვალა ფუსტატში (დღევანდელ კაიროში) 820 წელს და იქვეა დაკრძალული. შაფიი იყო ოთხი ისლამური სამართლებრივი მიმდინარეობიდან (სკოლის) ერთ-ერთის დამაარსებელი. მისი სახელის გამო ამ სკოლას ეწოდა შაფიიტური.

1. ე. სიხარულიძე. ალ. შაფიი; შაფიიტები. იხ. ქსე. ტ. 10. 1986. გვ. 694.
2. ე. სიხარულიძე. ჰანბალიტები; იქვე; ტ. 11. 1979. გვ. 599.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიჰადი (საღვთო ომი)

„ოდეს ურჯულოებს შეხვდეთ, ჰოდა, ამოჰხოცეთ ისე, რომ დიდი ჟლეტა-ხოცვა ჩაიდინოთ, ხოლო დატყვევებულებს გზები ძლიერ შეუკარით“.

ყურანი. XLVII-4

„...გიყვარდეთ თქვენი მტერები, სიკეთე უყავით და ასესხეთ და ნუღარაფერს მოელით, და დიდი იქნება თქვენი საზღაური: იქნებით უზენაესის ძენი, ვინაიდან იგი კეთილია უმადურთა და მორიგთა მიმართაც“.

ლუკა. 6-35

ჯუჰამედის მიერ შექმნილი მონოთეისტური რელიგია ისლამი საკმაოდ მყარი საფუძველი გამოდგა ჯერ თვით მოციქულის, ხოლო შემდეგ მისი პირველი ოთხი მემკვიდრის ხელში, ერთიანი არაბული თეოკრატიულ-პოლიტიკური სახელმწიფოს – სახალიფოს შესაქმნელად, რომელიც თავისი სამხედრო პოლიტიკით კარგა ხანს აფორიაქებდა მაშინდელ მსოფლიოს.

ამ პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო ალაჰის იდეა, რომლის სახელითაც არაბების მიერ პოლიტიკური ბატონობის მისაღწევად ჩადენილი მრავალი უსამართლობა ალაჰისადმი ერთგულებად ცხადდებოდა.

ისლამის გავრცელება იარაღის ძალით მართლმორწმუნე მუსლიმებისათვის წმიდა ვალად ითვლებოდა, სჯეროდათ რა, რომ ჭეშმარიტ რწმენაზე კერპთაყვანისმცემელთა თუ ღვთის სიტყვიდან განდგომილთა მოქცევა უზენაესის ნება იყო. ის განიცდებოდა როგორც გარკვეული ვალდებულება, რომელსაც მოჰქონდა სიმდიდრე და ახალი ტერიტორიები.

ცნობილია, რომ მუჰამედიც და მისი შემდგომი ხალიფებიც – აბუ ბექრი, ომარი, ოსმანი, ალი და ბევრი მათი დაახლოებული პირი არა მარტო მრავალ ბრძოლაგამოვლილები იყვნენ, არამედ ცნობილი მხედარმთავრებიც, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული ისლამის ექსპანსია. არც ისაა შემთხვევითი ფაქტი, რომ ყველა არაბი, ბედუინი იქნებოდა ის თუ ბინადარ ცხოვრებას მიჩვეული, ბავშვობიდანვე მშვენივრად გრძნობდა თავს აქლემზე, ხოლო მისი დაუმორჩილებელი სული მუდმივად აღივსებოდა ბრძოლაში გამარჯვებების შთაგონებით. ის, როგორც მუდამ მზადყოფნაში მყოფი ვაჟკაცი, მოწოდების უმალ მიდიოდა საომრად. ბანაკში მისული შეიძლებოდა უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაებრუნებინათ, თუ მოლაშქრეთა საჭიროზე მეტი რაოდენობა მიესვლა-ბოდა. ასეთ დროს მისი წმინდა მისია ალაჰისა და მოციქულის წინაშე მაინც შესრულებულად ითვლებოდა. საყვენი მხოლოდ ის იყო, რომ იგი სამხედრო ნადავლის გარეშე რჩებოდა. ალაჰის სახელით ყოველ-გვარი მსხვერპლი გამართლებული იყო. ყურანში არის მოწოდება: „წინასწარმეტყველო! მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად. ოცმა ძალოვანმა კაცმა მათ შორის ორასი ურჯულო დააწვინოს. ასმა ათასი გააქციოს, რადგანაც ურჯულოებს არაფერი გაეგებათ". „თავი ისაზრდოეთ ნებადართულის ქონებით, რომელიც მტერს წაართვით და უფლის გეშინოდეთ"...(ყურ.VIII-66,70).

საღვთო ომი თავდაპირველად შეეხებოდა სახალიფოს მეზობელ ქვეყნებს. შემდეგ, როდესაც გაიზარდა არაბთა დაპყრობების რადიუსი, ცხადია, ის შეეხო ისეთ ძირძველ ქრისტიანულ სახელმწიფოებსაც, რომლებიც არ იყვნენ უშუალოდ არაბების მეზობლები, მაგრამ ჯიჰადის სახელით ყველაფრის გამართლება შეიძლებოდა. ყურანისა და მოციქულის მოწოდება საკმარისი იყო მუსლიმი არაბისათვის: „ბრძოლა გაუმართეთ მათ, რომელთაც არა ჰსწამთ ღმერთი, არც უკანასკნელი დღე, რომელნიც არ მიიჩნევენ აკრძალულსავით მას, რაც ღმერთმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს. და. მათაც წერილის ხალხთა შორის, რომელნიც არ აღიარებდნენ ჭეშმარიტების სარწმუნოებას. ბრძოლა უყავით მათ, ვიდრე ხარკს გადიხდიდნენ ყველანი გამოუკლებლივ და დამცირებულ იქმნებოდნენ" (ყურ.IX-29). ბოლო ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ დასაპყრობი მოსახლეობისაგან ნებაყოფლობითი ხარკის გადახდის პირობის მიღება, რომლის შედეგიც შეიძლებოდა ყოფილიყო რჯულშემწყნარებლობა, ზოგიერთ მკვლევარს უფლებას აძლევს თქვას, რომ არაბების დაპყრობითი პოლიტიკა უფრო ლოიალური იყო, ვიდრე აღმოსავლეთელი შემდგომი დამპყრობლებისა, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით. დაპყრობილთაგან ვინც დაგმობდა თავის რჯულს და მიიღებდა ისლამს, შეიძლებოდა მუსლიმის თანაბარი უფლებით მიელოთ უმმაში. ხოლო ის, ვინც არც ალაჰს აღიარებდა, ან ერთხელ მოქცეული, მას უარყოფდა, სიკვდილით დაისჯებოდა.

დაწესებული გადასახადები — ჯიზია და ხარაჯა, რომელთაგან ერთი იყო სულადი, ხოლო მეორე მიწაზე გადასახადი, დიდ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოსა და ბუნებრივია ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვიდრე ბრძოლა, რადგანაც ამ დროს რისკის ფაქ-

ტორი საკმაოდ დიდი რჩებოდა. გადასახადს ახდევინებდნენ მეტწილად ფულით, იყო ნატურითაც. სასტიკად იკრძალებოდა არასწორი ბრუნვა-მებების საფუძველზე გადასახადის გადიდებაც და შემცირებაც. ჯერ კიდევ მუჰამედის მიერ შექმნილი ხაზინა, სახალიფოს გაძლიერების პერიოდში, დიდ შემოსავალს იღებდა დამორჩილებული ქვეყნებიდან. ხაზინის უფროსად ითვლებოდა იმამი. ყურანი ამართლებდა ურწმუნოების მიმართ ბრძოლის ყველა საშუალებას: „წმიდა თვეები რომ გავიდეს, კერპთაყვანისმცემლები დაჰხოცეთ ყველგან, სადაც ნახოთ, დაატყვევეთ, გარშემოარტყით და უდარაჯეთ საფარში: ხოლო თუ მორჯულდნენ, ლოცვა დაიცვან, სამწყალო გაიღონ, მაშინ მოასვენეთ, ვინაიდან ღმერთი მოწყალე და შემწყნარებელია“. ჯიჰადი იმდენად წმიდა საქმედ ითვლებოდა, რომ მის დასაცავად ყურანი მოუწოდებდა მართლმორწმუნე მუსლიმებს: „ფეხზე დააყენეთ ყველა ჯარები, რაოდენიც თქვენს ხელთ იყოს და მხედრობაც, რომ მით შეაშინოთ ღვთის მტრები და თქვენიცა და კიდევ სხვებიც, რომელთაც ვერ იცნობთ თქვენ, ხოლო იცნობს ღმერთი. ყველაფერი რაც კი ღვთის გზაზე წარაგოთ, მოგიზღონ თქვენ, და არც შეურაცხყოფილ იქმნეთ“ (ყურ.VIII-62). მუჰამედი თავისი რელიგიური იდეის დასაცავად ყურანზე დაყრდნობით ამართლებდა მოწოდებას: „სისხლი სისხლისა წილ“. „დაჰხოცეთ იგინი, სადაც ჰპოოთ და გალალეთ, საითგანაც გამოგლალონ თქვენ. კერპთაყვანისმცემლობის განსაცდელი უარესია, ვიდრე ომის დროს ხოცვა-ჟლეტა. ომი არ გაუმართოთ მათ წმინდა სალოცავის მახლობლად, თუ თავს არ დაგესხნენ. ხოლო თუ ჰყონ, ამოხოცეთ იგინი; ასეთია ურჯულოთა სასყიდელი... ეომეთ მათ, ვიდრე განსაცდელის შიში აგიტანდეთ“ (ყურ.II-187,189); „მორწმუნენი საომრად წააქეზე, ღმერთს შეუძლია, ურწმუნოთა მძლავრობა შეაყენოს“, „თუ ურჯულოებას ნამდვილად და გამოტეხილად დაუბრუნდნენ, დაიჭირეთ და სიკვდილს მიეცით ყველგან, სადაც ჰპოოთ. ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველსა, ნურც მეგობარს“ (ყურ.IV-86,91). ყოველივე ამის შემდეგ, ერთგვარ რიტორიკულ ფრაზად გამოიყურება „არარა ადამიანი არ მოჰკლათ, ვინაიდან ღმერთმა აღგიკრძალათ, თუ არ სამართლიანობის გულისათვის; ხოლო ვინც უსამართლოდ მოკლულ იქმნება, ჩვენ მიგვინიჭებია მისი მახლობლისათვის საიმისოდ უფლება. მაგრამ კი მოკვლის დროს საზღვარს არ გარდახდეს; შურნაძიებია იგი, ვინაიდან მიეგო მას სჯულისამებრ“ (ყურ.XVII-35).

ისლამი მუჰამედის შემდგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰსთქვი: მფარველად განა უნდა ავიყვანო სხვა, ვიდრე ღმერთი, ცათა და ქვეყნის გამჩენი, მაშინ როცა იგია გამომზრდელ და არა გამოსაზრდელ. ჰსთქვი: ბრძანება მაქვს მიღებული, ვიყო პირველი მათგანი, რომელნიც ღვთის ნებას მიენდობიან: თქვენც აგრეთვე კერპთაყვანისმცემელ აღარ იქმნეთ."

ყურანი, VI-14.

„ყოველივე ნემდართულია ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის სასარგებლო ხდება. ყოველივე ნემადართულია ჩემთვის, მაგრამ მე ვრთვებს დავემონები"

I კორინთელთა. 6-12;

მუჰამედმა მხოლოდ ისლამს როდი ჩაუყარა საფუძველი. მან რელიგიის დროშით ერთ ორგანიზმად შეკრა არაბეთის ნახევარკუნძულის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები: არაბები ძნელად, მაგრამ მაინც ემორჩილებოდნენ სახელმწიფო მმართველობის სისტემას თავიანთი ეკონომიკით, იურისპრუდენციით, კულტურით, ყოფითი ურთიერთობებით, წარსულით თუ თანამედროვეობით, რომელიც მხოლოდ მომავლისაკენ იყო მიმართული. მოციქულის სიცოცხლეში მის ხელში იყო ქვეყნის ემირატიც და იმამატიც, ანუ საერო და სასულიერო ხელისუფლება. მაგრამ მისმა სიკვდილმა უპასუხოდ დატოვა კითხვა, თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის ხელისუფალი. წინასწარმეტყველს არაფერი დაუბარებია მემკვიდრის შესახებ. გასათვალისწინებელი აღმოჩნდა ისიც, რომ „ის, რაც ეპატიებოდა მუჰამედს, არ ეპატიებოდათ ხალიფებს". დიდი იყო პოლიტიკური აშლილობის შესაძლებლობა, რომელიც არსებობდა მუჰამედის სიცოცხლეშიც, მაგრამ თავისი მოხერხებულობის, ნიჭისა და უნარის წყალობით ის მაინც მომგებიან პოზიციაში რჩებოდა. ამაში კი ისიც უწყობდა ხელს, რომ „როდესაც მთა არ მიდიოდა მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მიდიოდა მთასთან". ახლა კი მუჰამედი აღარ იყო, ხოლო „მთა" ისევ გოროზად იდგა.

აბუ ბექრმა მეჩეთის ეზოში შეკრებილებს ხმამაღლა მიმართა: „შეხედეთ, თქვენს წინ არიან ომარი და აბუ უბეიდა, რომელსაც გინდათ იმას

შეფიცეთ". მაგრამ ორივემ უარი განაცხადეს და აბუ ბექრს სთხოვეს მას აეღო თავის თავზე მუჰამედის ფუნქციები. მაგრამ ეს [illegible] მერყეობდა, ერთი ცნობილი ბეშირი (შემდგომში ხარიჯიტი[1]) [illegible] მარჯვენა ხელზე მსუბუქად დაარტყამს ხელს და ამით, ძველი არაბული ტრადიციის მიხედვით ფიცს მისცემს. ფატიმასა და ალის მოსვლის დროს უკვე ყველაფერი დამთავრებულიყო და განაწყენებული ალი მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შეურიგდა ახალ ხელისუფალს. ამრიგად, პირველი ხალიფა გახდა აბუ ბექრი, რომელსაც მორწმუნეებმა „ისლამის სინდისი" შეარქვეს. მაგრამ, მან მხოლოდ ორი წელი იცოცხლა, თუმც, ეს მცირე დროც ძალზედ ჭკვიანურად გამოიყენა ისლამის, როგორც სიღრმისეულად, ასევე სივრცობრივად გავრცელებისათვის. მან 63 წლის ასაკში, ციებ-ცხელებით შეპყრობილმა, სიკვდილის წინ დააფიცა ახლობლებს, რომ ვისაც იგი დაასახელებდა, ხალიფადაც მას აირჩევდნენ. ეს იყო ომარი (634-644 წწ.). მასთან არის დაკავშირებული სახალიფოს უდიდესი სამხედრო წარმატებები. კაცმა, რომლის ხალიფობის დროსაც არაბებმა თითქმის ნახევარი მსოფლიო დაიპყრეს, ყოფილი სამხედრო ტყვის, სპარსელი ფირუზის ხელით დაამთავრა სიცოცხლე, მეჩეთში ლოცვის დროს ფირუზამ ორლესული ხანჯლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ამ უშიშარ ადამიანს. ომარი ამ დროს 60 წლის უნდა ყოფილიყო. სიკვდილის წინ ხალიფად დაუსახელებია მუჰამედის უახლოესი თანამებრძოლი აბდურაჰმანი, რომელმაც უარი განაცხადა ამ მეტად საპატიო ტიტულზე. საბოლოოდ მოციქულის ორი სიძიდან გამარჯვება ოსმანს შეხვდა, ხოლო ალი კვლავ ჩრდილში დარჩა. ოსმანი 12 წელი ხალიფობდა (644-656 წწ.) და რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ომარის მიერ გატარებული მრავალფეროვანი რეფორმების შემდეგ სახალიფოს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში არ მოუხდენია. ომარის ძლიერ ხელს მიჩვეული ხალიფას ნაცვლები, ოსმანის დროს უკვე თავისუფლად გრძნობდნენ თავს. მისი საოცარი ღვთისმოსაობა და პოლიტიკური უუნარობა ძლიერი ნათესავების გავლენაში მოაქცევს მას. 70 წლის მოხუცი ხალიფა უხვად ურიგებდა მიწებსა და ქონებას ახლობლებს, რითაც

---

1. ხარიჯიტი – (არაბ. ხარიჯი) განდგომილი, მეამბოხე, ერეტიკოსი. მათი მოძრაობა აღმოცენდა სახალიფოში VII საუკუნეში და უმრავლესობას შეადგენდნენ ხალიფა ალის მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრებს იჩენდა მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მისი უსუსური მმართველობა იმით დასრულდა, რომ შეთქმულებმა მოკლეს იგი თავის [illegible] როდესაც მაგრად ჩაეკრა მკერდში ყურანის ფურცლები. ალბათ ვარაუდობდა, რომ მისი ძალა მაინც დაიფარავდა. მოქნეულ ხმალზე მოხუცს ცოლი გადაეფარა, „მაგრამ ვეღარ დაიხსნა მისი სიცოცხლე. ოსმანს მტრები „მოხუც ჩერჩეტს“ ეძახდნენ, რითაც გამოხატავდნენ მისი პიროვნებისადმი უპატივცემულობას.

ოსმანის სიკვდილიდან 8 დღის შემდეგ, 656 წლის 24 ივნისს, ახალი ხალიფა გახდა ალი. მიუხედავად მოციქულისა და ისლამის წინაშე თავისი დიდი დამსახურებისა, მას ხელიდან გაექცა სახელმწიფოს მართვის სადავეები. მისი ავტორიტეტი შეარყია ოსმანის მკვლელობამ, რაშიც მასაც ერია ხელი. მალე ხალიფას წინააღმდეგ თავისი საქმიანობა ისევ გააჩაღა მოციქულის ქვრივმა აიშამ. აქლემზე ამხედრებულმა, მან ერთ დიდ ბრძოლაშიც კი მიიღო მონაწილეობა, რის გამოც იმ ბრძოლას „აქლემის ბრძოლა“ უწოდეს. ალის წინააღმდეგ ოპოზიცია თანდათან ძლიერდებოდა.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ ხალიფას მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ ცნობილი სარდლები ტალჰა და ზუბეირი. მაგრამ ეს უკანასკნელი ბრძოლის დროს დაასახიჩრა ერთმა ბედუინმა, ბრძოლაში დაიჭრა ტალჰაც და სისხლისაგან დაცლილი გზაში გარდაიცვალა. მათი მეომრები უწესრიგოდ არეულები თავს იყრიდნენ აიშასთან, რომელიც აქლემზე მჯდომი, თავგამეტებით იქნევდა ბეწვის მოსასხამს და მებრძოლებს ამხნევებდა საომრად. თუმც, ჯერ კიდევ ბრძოლის წინ აიშას მოკრძალებით შეახსენებდნენ თვით მოციქულის სიტყვებს, რომ „მართლმორწმუნეთა დედა“ შინ უნდა მჯდარიყო და არ ეხეტიალა სამხედრო ბანაკში ვიღაც კაცებთან. მაგრამ, ამ ქალისათვის სულერთი იყო რას იტყოდნენ მასზე სხვები. ბრძოლის ბედი საბოლოოდ მაინც ალის სასარგებლოდ გადაიხარა. აიშა ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მისთვის ვაგლახად არაფერი უკადრებიათ და მოკრძალებით გაისტუმრეს მედინაში. განხეთქილება მოხდა სირიის მმართველის მუავიას ბანაკშიც. მისი ქვეშევრდომების მოქმედებით უკმაყოფილოები იყვნენ ქუფელები და ბასრელები; განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ავლენდნენ ყურანის „წამკითხველები“, რომლებიც სასტიკად უარყოფდნენ სამედიატორო სასამართლოს, ალისაგანაც ითხოვდნენ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას, რაზედაც ხალიფამ კატეგორიული უარი განაცხადა. მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევით გაბრაზებული 12000 კაცი, რომელთა შორის ზოგ მიგვან მომხრე, მაგრამ ახლა ორივეს უკმაყოფილო იყო, ასევე ბედუინები და სხვები, ძლიერ ხელისუფლებას ითხოვდნენ. მოკლე დროში ამ განსხვავებული მისწრაფებების მქონე ადამიანებში მაინც ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი რელიგიურ-პოლიტიკური ჯგუფი, სექტა, რომელიც გამოდიოდა ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ და დაბეჯითებით ითხოვდა ნებისმიერი გადაწყვეტილების საფუძველი მხოლოდ ღვთივსულიერება ყოფილიყო. ამ მოწოდებით ისინი ფიქრობდნენ, რომ ალი, რომელიც თითქოსდა განდგომოდა ღვთიურ გზას, გააცნობიერებდა თავის შეცდომებს და კვლავ მობრუნდებოდა ჭეშმარიტებისაკენ. მაგრამ ალი ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა, მეამბოხეებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს და სრულიად გარკვევით აღიარეს, რომ ღვთის ჭეშმარიტ გზაზე გამოსვლით ემიჯნებოდნენ ურწმუნოებას. ამიერიდან ისინი, როგორც ცალკე პარტია, უპირისპირდებოდნენ როგორც ალის, ისე მუავიასაც. ალის მომხრეები კი, იგივე ში'ათ-ალი ანუ ალის ჯგუფი, შემდგომში იგივე ალიდები, მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ ერთხელ არჩეული ხალიფას ხელისუფლება მემკვიდრეობის პრინციპით მამიდან შვილზე გადასულიყო და არ დაქვემდებარებოდა ხარიჯების ზეგავლენას. ასე ჩამოყალიბდა პირველი შიიტური გაერთიანება.

ალის ირგვლივ ბევრი ცნობილი, ჭკვიანი და უერთგულესი ადამიანი გაერთიანდა. ხალიფამ სამედიატორო სასამართლოც აღადგინა. მაგრამ საბოლოოდ, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მაინც მარცხი განიცადა მუავიასთან. იგი თავისი ცბიერებითა და ვერაგობით ალის სრულიად საწინააღმდეგო პიროვნება გახლდათ. ხალიფას დახასიათება ნათელყოფს მისი მოღვაწეობის მთელ რიგ მომენტებს, რამაც შესაძლოა მისი ტრაგიკული სიკვდილიც კი განაპირობა: ალი იყო თავგამოდებული მუსლიმი, მოციქულის მომხრე და მისი უერთგულესი მეგობარი, მართალი და ენთუზიაზმით აღსავსე ნატურა; ნიჭიერი პოეტი და ორატორი, გულადი მეომარი, მაგრამ, როგორც ხალიფა, ვერ დაიქადნიდა სწორედ იმით, რაც ესაჭიროებოდა მის ეპოქას: მმართველის ძლიერი ნიჭი და პოლიტიკური გამჭრიახობა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ამ გაბედულ მებრძოლს გამბედაობა სხვა არაფერში ყოფნიდა. მოციქულის ქალიშვილის, თავისი ცოლის – ფატიმას მორჩილებას მიჩვეული ალი, შემდგომშიც ვერ ახერხებს თავისი ძალაუფლების გამოუშავებას. ამიტომაც, ძვირად დაუჯდა ცხოვრებაში ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადერთი საბედისწერო შეცდომა – დაშვება ოსმანის მოკვლისა, რამაც ჩრდილი მიაყენა ყველა მის კეთილშობილურ საქმეს. ალიც, რომ კანონიერად არჩეული თავისი წინამორბედი ხალიფასადმი, რომელიც ცუდი მმართველი იყო, ხელისუფლებისათვის მიცემული ერთგულების ფიცი, ალიმ იჩქარა მსოფლიო პოლიტიკის არენაზე გამოსვლა, კაცმა, რომლის პიროვნებაში ერთმანეთთან შერწყმულიყო პოეტი და ჯარისკაცი, ვერ გაუძლო ბრძოლას ისეთ გამოწრთობილ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ ამრი და მუავია. მას, როგორც არასრული ბუნების მქონე ადამიანს, შეეძლო ასევე ნახევრად ეკეთებინა საქმეები. მაგრამ ბედმა ინება ტრაგიკული დასასრულით გამოესყიდა და ჩამოერეცხა თავისი დანაშაული. ისლამის ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ ინება, რომ დღემდე მისი სახე ყოველი მუსლიმისათვის არის მზის სხივებით გაბრწყინებული. როგორც დღეს არავინ იხსენებს მის შეუხედავ გარეგნობას, ასევე დავიწყებულია მისი მონაწილეობა ოსმანთან დაკავშირებულ ტრაგიკულ ამბებში. ყველა მუსლიმურ ქვეყანაში ის ცნობილია გმირად, პოეტად და ბრძენად. ისლამური თემის დიდი ნაწილი მას მოციქულზე ნაკლებად როდი აღიარებს. მასში ხედავენ შეუბღალავი სისუფთავითა და უმაღლესი სულიერი კეთილშობილებით გამორჩეულ წმინდა მოწამეს. ხალხმა თვითონ შექმნა კერპი, რომელშიც განსახიერებულია უზენაესი რელიგიური შეხედულებების მქონე პიროვნება. სპარსეთი ალის უკეთილშობილეს ადამიანად აღიარებს, ხოლო მუავიას[1] სახელი გახდა შეჩვენების სინონიმი. ამრიგად, ლეგიტიმური ხალიფებიდან უკანასკნელი, რომლითაც შეიკრა და დასრულდა ისლამის პატრიარქალური ეპოქა, უახლოეს პერიოდში გამოდის წინა პლანზე და მისი სახე ჩრდილავს ყოველივეს[2]. ალი მხოლოდ 5 წელი იყო ხალიფა და თავისი წინამორბედის ბედი გაიზიარა. ქუფას მეჩეთში ღვთისმსახურებისათვის გზაზე მიმავალს თავს დაესხა სამი ხარიჯიტი, რომელთაგან ერთმა – იბნ მულჯამმა თავის ქალა გაუჩეხა. ალი გარდაიცვალა 661 წლის 24 იანვარს.

ცნობილია, რომ მუჰამედის გარდაცვალებისთანავე მოხდა ჰანიფას

---

1. მუავიას სახელს უკავშირდება ალის წინააღმდეგ ჩადენილი მრავალი ბოროტება, რის გამოც ის არ უყვარდათ.

2. А. Мюллер. История ислама с основания до новейших времен. т. I, გვ. 369-370.

ტომის გამოსვლა მუსეილიმას მეთაურობით, რომელიც მოითხოვდა სრულ დამოუკიდებლობას და თავს აცხადებდა მოციქულად. აბუ-ბაქრის სერიოზული ბრძოლების წარმოება მოუხდა ამბოხებული ტომების წინააღმდეგ. მუსეილიმა დამარცხდა. სახალიფოს წინაშე სერიოზული ამოცანა იდგა — შეენარჩუნებინა სახელმწიფოს ერთიანი რელიგიურობა და ამასთანავე პოლიტიკური ძლიერებაც. ამ საქმის აღსრულებას რამდენიმე ხალიფას სიცოცხლე შეეწირა. ცნობილია, რომ ერაყში ალის ძლიერი მომხრეები ჰყავდა, რომლებმაც 661 წელს ალის მოკვლის შემდეგ მისი ვაჟიშვილი ჰასანი დასვეს ხალიფად. მაგრამ იყო რა უუნარო, ხალიფობას ქრთამი ამჯობინა მუავიას სასარგებლოდ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მედინაში გარდაიცვალა. ამის შემდეგ ტახტი ხელთ იგდო ომეიადების დინასტიის წარმომადგენელმა მუავიამ, რომელმაც სახალიფოს დედაქალაქი დამასკოში გადაიტანა, რასაც მოყვა მექა-მედინას პოლიტიკური დაქვეითება.

VIII საუკუნეში, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ აბასიდები, ფაქტობრივად დაიწყო სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომლის გავლენით ისლამშიც შესაბამისი ცვლილებები უნდა მომხდარიყო. სწორედ ასეთი ცვლილებების შედეგი გახლდათ ის ორი ძირითადი მიმდინარეობა — სუნიზმი და შიიზმი, რომელთაგან შემდგომ მრავალი სკოლა, დაჯგუფება თუ სექტა ჩამოყალიბდა.



სუნიზმი და შიიზმი

ისლამში პირველი რელიგიური მიმდინარეობები ჩამოყალიბდა VII საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც პოლიტიკური მოსაზრებით შეიქმნა ხალიფა ოსმანისა და მოციქულის სიძის — ალის მომხრეთა დაჯგუფებები. პირველი, მნიშვნელოვანი მიმდინარეობა იყო შიიზმი, რომლის მიმდევრებიც თავს „შიიტებს“ ანუ „ჯგუფს, გაერთიანებას“ უწოდებდნენ; ისინი ითხოვდნენ ალის ხაზით ხალიფობის ძალაუფლების გადაცემას მის შთამომავლებზე, რაც ნიშნავდა ხალიფობის ინსტიტუტის მემკვიდრეობითობის პრინციპის დაწესებას. ეს გამოიყენებოდა იდეოლოგიურ საფუძვლად, რადგანაც მემკვიდრეობითობის წესის შემოღება მუჰამედიდან გამომდინარე დაპირისპირების საშუალებას იძლეოდა ომეიადებთან, რომლებსაც აბრალებდნენ ყურანისაგან გადახვევას და აქედან ისლამის საპირისპირო მთელ რიგ მოქმედებებს.

ასეთ დროს სუნიტებიც ყველაფერს აკეთებდნენ ომეიადების გასა-

ძლიერებლად. ამიტომაც, სუნას გადმოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მათი იდეის პროპაგანდას. შიიტებმა სუნას დაუპირისპირეს წმიდა გადმოცემა **აჰბარი**. ისინი ცნობდნენ არა მხოლოდ მოციქულის[1] ავტორიტეტზე დაფუძნებულ სუნას, არამედ აღიარებდნენ მოციქულ მუჰამედის ოჯახის ავტორიტეტიდან გამომდინარე სუნას. ამ ფაქტს არ ჰქონდა სუნიტებისათვის დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მათი მოძღვრების განმასხვავებელი სწორედ სუნას აღიარება იყო.

ალის, მოციქულის სიძეს – ფატიმას ქმარს, ორი ვაჟიშვილი დარჩა: ჰასანი და ჰუსეინი. ჰასანმა ქრთამის აღების საფასურად უარი თქვა ხალიფობაზე. ჰუსეინმა კი 680 წელს სცადა დაპირისპირებოდა ომეიადების დინასტიას და საომრად გაემართა ერაყს, მაგრამ ქ. ქერბელასთან მოკლეს ოჯახთან ერთად. ამის შემდეგ შიიტებმა ჰუსეინი წამებულად გამოაცხადეს და შემდგომში მის სახელზე გლოვის დღეც კი დააწესეს – შაჰსეი-ვაჰსეი. ამ დროს ათი დღე ყოველ საღამოს იკრიბებიან „სამუჰარამო“ რიტუალზე და მოლა ხმამაღლა იუწყება ჰუსეინის სიკვდილის ამბავს. მეთერთმეტე დღე კი ეთმობა საერთო დღესასწაულს.

შიიტები მიიჩნევენ, რომ ყველა სუნიტი ხალიფა კანონგარეშეა. ისინი ცნობენ მხოლოდ 12 იმამს ალის მემკვიდრეთაგან. ჰიჯრის 255 წელს ქალაქ სამარაში დაბადებული მეთორმეტე იმამი 12 წლის ასაკში უგზო-უკვლოდ გაქრალა, გაუჩინარებულა, რის გამოც იგი ისტორიაში ცნობილია „ფარული იმამის“ სახელით. ეს არის ის იმამი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ისევ მოევლინება ქვეყანას და იხსნის მორწმუნეებს. მისი დაბრუნება იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ მამამისმა და გამოაცხადა, რომ ის მოევლინება ქვეყნიერებას, როგორც **მაჰდი – მესია**.

შიიტების აზრით, რეალურად არსებული იმამი თავისი ავტორიტეტით ბევრად აჭარბებს ყურანსა და ჰადისებს. სუნიტებისაგან განსხვავებით, აღიარებენ ისლამში სამ ძირითად პრინციპს: 1. ღვთაებრივი ნათელი დამახასიათებელი იყო მუჰამედისათვის, მისი სიძის – ალისათვის და ალის ვაჟიშვილის – ჰუსეინისათვის. მათთვის ეს არის

1. ისლამი მუჰამედს უკანასკნელ მოციქულად თვლიდა, თუმც მანამდე ის აღიარებდა ბიბლიურ მოციქულებსა და წინასწარმეტყველებსაც, გარკვეულწილად შეცვლილი სახით, მაგრამ მაინც.

უცვლელი ნიშანი. თუმც ეს არ გამორიცხავს იმამების ზოგიერთი ჯგუფისა და ცოცხალი აიათოლას ღვთაებრივ მადლსაც; 2. [illegible] მოწამებრივი აღსასრულის კულტი, რასაც მკაცრად იცავ[illegible] ატავენ სხვადასხვა რელიგიური რიტუალებით, (მაგ., შაჰსეი-ვაჰსეი); 3. შიიზმი, როგორც პროტესტის გამოხატულება ისლამში, დღემდე ქადაგებს მაჰდის, იგივე მესიის მოსვლას და ქვეყნად სამართლიანობის დამყარებას.

შიიტები თვლიან, რომ ალი და მის შემდეგ 11 იმამი მოციქულის პირდაპირი შთამომავალნი არიან და ამიტომაც უშუალოდ მუჰამედისაგან გადმოდის მათზე ღვთიური მადლი. ამის გამო რჩებიან ისინი მღვდელმთავრებად. საპირისპიროდ ამისა, სუნიტები კანონიერად აღიარებენ მუჰამედის შემდეგ ოთხ ხალიფას. ესენი არიან: აბუ ბექრი, ომარი, ოსმანი და ალი.

შიიტი სამღვდელოება შეუძლებლად მიიჩნევს, ქვეყნის საერო ხელისუფალი გახდეს სულიერი წინამძღოლიც. ეს არ შეიძლება იმიტომ, რომ სასულიერო ძალაუფლება საეროზე მაღლა დგას, ის წმინდაა და ხელშეუხებელი. იგი ხომ ალაჰისა და მისი მოციქულის ნების გამოვლენაა. საერო მმართველობა კი დროებითია და მხოლოდ მაჰდის მოსვლამდე გაგრძელდება და კიდევ იმიტომ, რომ შიიტების აზრით საერო ძალაუფლება უკანონობას ეფუძნება, ამიტომაც ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან მას. გამონაკლისის სახით საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანებას შესაძლებლად მიიჩნევენ მხოლოდ სასულიერო ლიდერის თანხმობით და არავითარ შემთხვევაში — პირიქით.

სუნიტების შეხედულებით კი, სავსებით მისაღებია სასულიერო და საერო ძალაუფლების გაერთიანება როგორც სასულიერო, ისე საერო პირის ხელში. სუნიტი სამღვდელოების დამოკიდებულება ასეთი ხელისუფლებისადმი საკმაოდ დადებითია.

სუნიტების მსგავსად შიიტებიც ყურანის სიწმინდეს აღიარებენ. ასევე ცნობენ მუჰამედის მოციქულობას და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს, მაგრამ ყურანს დაუმატეს ერთი სურა, ცნობილი „ორი მნათობის" სახელით; სწამთ სულების გადასახლება, მიაჩნიათ, რომ იმამებში მუჰამედის სული იყო ხორცშესხმული. აღიარებენ მხოლოდ იმ ჰადისებს, რომლებიც გვამცნობენ მუჰამედის გამონათქვამებს ალისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ, მისაღებად მიაჩნიათ დროებითი ქორწინების ინსტიტუტი, რაც გარკვეულ გარიგებასთან არის დაკავშირებული. დროის

შესაბამისი ხანგრძლივობით. ქორწინების გაუქმება არავითარ [illegible] არ წარმოადგენს და ვადის გასვლისთანავე შეწყვეტილ[illegible] დროებითი ქორწინების ინსტიტუტი მოქმედებდა მუჰამედის დროსაც და მხოლოდ ხალიფა ომარის დროს აიკრძალა. მაგრამ, მოგვიანებით, შიიტებმა არ მიიღეს ეს აკრძალვა, თუნდაც იმის გამო, რომ ისინი ომარს საერთოდ არ ცნობდნენ კანონიერ ხალიფად.

სუნიტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სჯულის მცნებებს, შარიათის კანონებს და ყველაფერ იმას, რაც უშუალოდ უკავშირდება მოციქულს. მათ წმინდა წიგნებს შორის სჯერათ მუჰამედის გადმოცემული ყურანის სრულქმნილება, სჯერათ როგორც ალაჰის სიტყვისა და აქედან გამომდინარე ითხოვენ მისი დაცვის აუცილებლობას; ადამიანის ხსნა სჯულის დაცვით მიიღწევა. მართალია, მორწმუნე სუნიტისათვის მოციქულის პიროვნება თითქმის უცოდველად გამოიყურება, მაგრამ ყურანის მთელი რიგი აიათები გაკვრით მაინც მიგვანიშნებენ, რომ მუჰამედისათვის, როგორც ადამიანისათვის, ცოდვა არ იყო უცხო. ცხადია, მათში მისი სახელი ყოველთვის უშუალოდ არ იკითხება, მაგრამ ქვეტექსტი ზოგჯერ შეფარვით სწორედ მას გულისხმობს. მაგალითად: „...შენის ცოდვების მორწმუნე კაცთა და ქალთა ცოდვების მიტევებას ევედრე მას“ (ყურ.XLVII-21); ან „შენთვის შეგხვდა ბრწყინვალე გამარჯვება, რათა ღმერთს დაემტკიცებინა, რომ ძველსა და ახალს შეცოდებას გაპატიებს; რათა თავისი შენდამი კეთილმოქმედება დაესრულებინა და სწორ გზაზედაც დაეყენებინე“ (ყურ.XLVIII-1,2) და სხვ. ამრიგად, სუნიზმი ემყარება ყურანს და ჰადისებს. ყურანის გვერდით სუნა ერთის მხრივ მუსლიმის საქმიანობის, ხოლო მეორეს მხრივ ისლამური სამართლის საზომი გახლდათ. ცხადია, მოციქულის სიცოცხლეში მათზე მოთხოვნილება არ იქნებოდა სრულიად უბრალო მიზეზის გამო, რადგანაც ისინი არ არსებობდნენ. ამიტომაც თვით „სახელწოდება სუნიზმიც ტრადიციულმა ისლამმა შიიზმის წარმოქმნის შემდეგ, მისგან გამიჯვნის მიზნით მიიღო“[1]. სუნიტები ხასიათდებიან უფრო მეტი ლოიალურობით და მიმტევებლობით. აღნიშნულის საპირისპიროდ შიიტები მორწმუნეების მიმართ უფრო მომთხოვნი არიან და უფრო შეურიგებელნი სხვა სარწმუნოების მიმდევრე-

1. რ. ანდრიაშვილი. მეთოდური მითითებები სალექციო თემაზე „ისლამი და მისი ძირითადი მიმართულებანი“. თბ., 1988, გვ. 29.

ბისადმი. წმიდა ქალაქებად ცნობენ ქუფას, ნეჯეფს, ქერბელასა და მეშედს.

შიიზმი, როგორც რელიგიური მოძღვრება, არაბეთში ჩაბსახა დაწერულებული სახით კი ჩამოყალიბდა ერაყში. მაგრამ არაბეთის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად სწრაფად გარცელდა ასევე ირანშიც და იმდენად მოერგო ირანელთა ცნობიერებას, რომ იქ დღესაც კი სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული. მაშინ, როდესაც თურქეთი სუნიტური ქვეყანაა.

სუნიზმის, როგორც მოძღვრების საფუძველია იჯმა — ისლამური თემის — უმმას შეთანხმებული აზრი, მაშინ როდესაც შიიზმში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა იმამების ავტორიტეტს. შიიტები თვლიან, რომ ადამიანის გონებას არ შესწევს უნარი ისლამური დოგმების საიდუმლოება გაიგოს, ამიტომაც იჯმა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ერთადერთი სწორი პოზიცია შეიძლება იყოს მხოლოდ იჯთი ჰადი ანუ თავისუფალ განსჯაზე დამყარებული პირადი აზრი. ის სწავლული ადამიანები კი, რომლებიც გადმოცემულ მოსაზრებებში ასეთ პრინციპებს იყენებენ, იმამის სიტყვებს იშველიებენ, გასათვალისწინებელ ავტორიტეტებად ითვლებიან. ხალიფებმა ვერ შეძლეს გზა გადაეკეტათ ამ მიმდინარეობისათვის და საბოლოოდ შიიზმი ფარული იდეების სახით ვრცელდებოდა.

შიიტები საუკუნეების მანძილზე იხსენებენ, თითქოს მუჰამედისთვის ალაჰს უთქვამს სიტყვები: „თუ არა შენ, არ შეგქმნიდი სამყაროს, მაგრამ თუ არა ალი, არ შეგქმნიდი შენ“.[1] ასეთი შთაგონების შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ შიიტებს ღრმად სწამდეთ, თითქოს სუნიტებმა ამოიღეს ყურანიდან და ჰადისებიდან სწორედ ის ადგილები, რომლებიც ალის შეეხებოდა.

ისლამში, რელიგიური მოძღვრების თვალსაზრისით, განსხვავება სუნიტებსა და შიიტებს შორის ყველაზე მეტად იმით გამოიხატება, რომ სუნიტები არ ცნობენ შუამავალს ალაჰსა და ადამიანებს შორის, ისინი მიიჩნევენ, რომ სწორედ მუჰამედით დაასრულა ღმერთმა ადამიანებისთვის ღვთიური გამოცხადების გადმოცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუნიტები არ განასხვავებენ ჩვეულებრივი მორწმუნისაგან

---

1. აღნიშნული ფრაზით შიიტები ალის ავტორიტეტს აძლიერებენ.

სასულიერო პირებს რაიმე განსაკუთრებული ნიშნით. მათ შორის ერთადერთი განმასხვავებელი შეიძლება იყოს მხოლოდ რელიგიური და სამართლებრივი მოძღვრების ცოდნის ხარისხი. ამიტომაც, სუნიზმში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს ყველა სასულიერო პირი დამოუკიდებელია სხვა სასულიერო პირისაგან. ამითაც უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ სუნიტებთან არ მოქმედებს სასულიერო პირთა მკაცრად რეგლამენტირებული იერარქია.

შიიზმში კი იმამიტები (ანუ ისინი, რომლებიც მოციქულისა და ალის შემდეგ იმამის ავტორიტეტსაც აღიარებენ), თავდადებით იცავენ მათი ღვთაებრივი მადლით აღვსების იდეას, რაც განაპირობებს დღეს ცოცხალი იმამისა და აიათოლას[1] განსაკუთრებულ მდგომარეობასაც.

სუნიზმი აღიარებს სუნიტად იმ მუსლიმს, რომელიც ცნობს მუჰამედის შემდეგ ოთხ კანონიერ ხალიფას. ამასთანავე, იგი აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს ოთხი სუნიტური სამართლებრივი სკოლიდან (ჰანიფიტური, მალიქიტური, შაფიიტური და ჰანბალიტური) – ერთ-ერთს. ეს სკოლები ჩამოყალიბდა VIII-IX საუკუნეებში და დღემდე მათი მოქმედების არეალიც საკმაოდ დიდია.

თანამედროვე მუსლიმური სამყარო დედამიწის მოსახლეობის მნიშვნელოვან რაოდენობას მოიცავს. მათი რიცხვი მთლიანად შეადგენს 1 054 868 000 ადამიანს. აქედან აზიაში ცხოვრობს – 572 834 000 მუსლიმი; ჩრდილოეთ აფრიკაში – 132 749 000; შუა აღმოსავლეთში – 65 336 000; არაარაბულ შუა აღმოსავლეთში – 115 473 000; საჰარის სამხრეთ აფრიკაში – 282 189 000, 319 000 (ავსტრალია, ფიჯი); მუსულმანური ქვეყნებიდან უმრავლესობა სუნიტურია. მნიშვნელოვნად ნაკლებია შიიტური სახელმწიფოების რაოდენობა; კიდევ უფრო ნაკლებია ისეთი მუსლიმური ქვეყნები, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ როგორც სუნიტები, ისე შიიტები, მაგრამ მოქმედებენ სხვა რელიგიებიც, მაგალითად: იუდაიზმი, ქრისტიანობა; არის პირიქითაც – უმრავლესობა იუდეველები და ქრისტიანები, ხოლო უმცირესობა მუსლიმები.

მსოფლიოს 23 ქვეყანაში მოსახლეობის 90% და ზევით, მუსლიმია,

---

1. აიათოლა (სპარს.) შიიტების რელიგიური გაერთიანების უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული. (არაბ. – მუფთი) – სამართლისმცოდნე-ღვთისმეტყველი, ყურანის განმმარტებელი, უმაღლესი სასულიერო პირი.

3 ქვეყანაში (კომორის კუნძულები, დასავლეთი საჰარა, მალდივის კუნ-ძულები) მოსახლეობის 100% მუსლიმია; 6 ქვეყანაში – 90%-ზევით; 2 ქვეყანაში (ალბანეთი, სუდანი) მოსახლეობის – 70% და – ზევით; 3 ქვეყანაში (გვინეა, ლიბანი, ბრუნეი) მოსახლეობის – 60%-ზე მეტი; 3 ქვეყანაში (მალაიზია, სიერა ლეონე, ჩადი) მოსახლეობის – 50% და ზევით.

აზიაში ყველაზე დაბალი მონაცემები მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით არის ტაივანზე – 0,5%; კორეაში – 0,1%; ჰონკონგში – 1%; ვიეტნამში – 1%; ჩინეთში – 1,5%.

ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია: იტალიაში – 0,3%, შვეიცარიაში – 0,9%, შვეციაში – 0,4%, ნორვეგიაში – 0,4%, პორ-ტუგალიაში – 0,1%. მუსლიმური ქვეყნებიდან ნავთობით ყველაზე მდიდარია ოთხი ქვეყანა: არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბრუნეი, კატარი და ქუვეითი, სადაც ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახ-ლეზე შეადგენს: არაბთა გაერთიანებულ საამიროებში – 151%; ბრუ-ნეიში – 150%; კატარში – 150%; ქუვეითში – 129%, რაც განა-პირობებს ცხოვრების ძალიან მაღალ დონეს. ირანში ეს მაჩვენებელი შეადგენს – 18%, ხოლო თურქეთში – 9%. ზოგიერთ სუნიტურ ქვეყნებში მუსლიმი მოსახლეობის შეფარდება ასეთია: ინდონეზიაში – 94% სუნიტი, 4% – შიიტი; საუდის არაბეთში – 96% სუნიტი, 4% შიიტი; იორდანიაში – 94% სუნიტი (შაფიიტი), 0,24 – შიიტი, თურქეთის რესპუბლიკაში – 98% სუნიტი, 2% შიიტი, პაკისტანი, ავღანეთი – 80% სუნიტი, 18-20% შიიტი; ზოგიერთ შიიტურ ქვეყნებ-ში მუსლიმი მოსახლეობის შეფარდება ასეთია: ირანში – 98% შიიტი, 2% სხვა რელიგიური აღმსარებლობის, ერაყში – შიიტები 54%, 46% – სუნიტები; იემენში – შიიტები – 54%, სუნიტები – 46% და ა. შ. ისლამურ სამყაროში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანი სუნიტური სახელმწიფოა ინდონეზია – 159 632 000 კაცი; ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი შიიტური სახელმწი-ფოა ირანი – 57 428 000 კაცი.

მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური სიჭრელით გამოირჩევა მალაიზია, რომლის მკვიდრთა საერთო რაოდენობა შეადგენს 10065000 კაცს; აქედან 55% არის სუნიტი, 34% ჩინელი, 9% ინდოელი და პაკისტანელი. ამ შემთხვევაში ძნელია გასარკვევია ჩინელები და ინდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელები კონფუციანელები არიან, ბუდისტები თუ ინდუისტები.

თანამედროვე მსოფლიოში ისლამური სახელმწიფოები შემდეგი რაოდენობით არის წარმოდგენილი: აზიაში – 23, ოკეანიაში – 2, შუა აღმოსავლეთში – 13, ჩრდილოეთ აფრიკაში – 7, არაარაბულ შუა აღმოსავლეთში – 3, საჰარის სამხრეთ აფრიკაში – 39, ევროპაში – 1 (ალბანეთი).

ისლამური სექტები

„უფალო, მოგვიტევე ჩვენი შეცდომანი და განდგომა, რაოდენიც დავაშავეთ ჩვენს მოციქულობაში“.

ყურანი, III-141

„მე, რომელიც უწინ მგმობელი, მდევნელი და მუხანაცსმყოფელი ვიყავი, მაგრამ შეწყალებულად ვიქენი, ვინაიდან უმეცრებით ვაკეთებდი უბრმნობებში“.

I ტიმოთე. 12-13

პირველი სექტები ისლამში VII საუკუნის შუა ხანებში წარმოიშვა. მათი აღმოცენება განაპირობა რელიგიური დოგმატების არატრადიციულმა გაგებამ, რაც სახალიფოში მიმდინარე პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების თავისებურ ასახვას წარმოადგენდა. ერთი ასეთი იყო ხარიჯიტების სექტა, რომელშიც დიდ როლს ასრულებდა ქალაქისა და სოფლის ღარიბობა. მისი სოციალური შემადგენლობიდან გამომდინარე წინა პლანზე იყო წამოწეული რელიგიურ სამოსელში გახვეული საზოგადოების დაბალი ფენების ინტერესები. მათი აზრით თემში ადამიანის ადგილის განმსაზღვრელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მისი ღვთისმოსაობა. ისინი თვლიდნენ, რომ პიროვნების მორალი და სახელმწიფოს პრინციპები ერთმანეთს უნდა

1. ციფრობრივი მონაცემები აღებულია: დონ მაკ-კური. აბრაამის დაკარგული შთამომავლობის მოძიება; (ავტორი ძირითადად ეყრდნობა 1990 წლის მონაცემებს, დედამიწის მოსახლეობის შესახებ) Р. Н. Степанов. Ислам в современном мире. Л. 1985; К.А. Меркулов. Ислам в мировой политике и международных отношениях. М. 1982.

დამთხვეოდა. თემის ხელმძღვანელები კი უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ზნესრული ადამიანები. თემის შიგნით თუ კი რომელიმე წევრი ეარს იტყოდა მიეღო ხარიჯიზმის იდეები, ირიცხებოდა უმმადან და მისი სიკვდილით დასჯაც კი გამართლებულად ცხადდებოდა. მათ ეკუთვნოდათ სოციალური თანასწორობის იდეა, რითაც დაუპირისპირდნენ ყურეიშიტების გვარის უპირატესობას ხალიფას არჩევის პერიოდში: „ხარიჯიტები იყვნენ პირველები, რომლებმაც გამოაცხადეს არაბებისა და არაარაბების მორალური და პოლიტიკური თანასწორობა ისლამში: ისინი გახდნენ პირველი შუუბიტები, თანასწორობის ყველაზე მგზნებარე მებრძოლები მოციქულისა და წმიდა წიგნების მიმდევართა შორის".[1] მათი მიზანი არ ყოფილა მსოფლიო მუსლიმთა გაერთიანების ჩამოყალიბება, მაგრამ სამაგიეროდ შეძლეს იმ მორწმუნეთა გაერთიანება, რომლებიც ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობისათვის. ხარიჯიტებმა დიდხანს იარსებეს და ბევრი ბრძოლებიც გადაიტანეს ირანის, არაბეთის, ერაყის მიწა-წყალზე.

VIII საუკუნის 40-იან წლებში პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოიშვა მეხუთელების ანუ მეხუთე იმამის — ზეიდ იბნ ალის მიმდევრების სექტა. მათ უწოდებენ ზეიდიტებს და თავიანთ სათვალავს მეხუთე იმამზე აჩერებდნენ. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს სექტა თავისებური შუამავალი რგოლი უნდა ყოფილიყო შიიტებსა და სუნიტებს შორის. აღსანიშნავია მათ მიერ იემენში დაარსებული იმამატი. შიიტების საპირისპიროდ ზეიდიტებმა უარყვეს დროებითი ქორწინება, იმამის ღვთაებრიობა და „ფარული იმამის" დაბრუნება. რადგანაც იმამების ხაზი მეხუთე იმამზე შეწყდა, ამიტომ უნდა ხდებოდეს იმამატის არჩევა. რაც, ცხადია, იყო მემკვიდრეობის პრინციპის უარყოფა.

იმავე პერიოდში აღმოცენდა ისმაილიტების მოძრაობა, რომლის დაწყების საბაბიც გახდა სასახლის კარზე დატრიალებული ამბები. შიიტების მეექვსე იმამმა ჯაფარ ას-სადიკმა უფროსი ვაჟიშვილი ისმაილი მემკვიდრეობის გარეშე დატოვა იმ მოტივით, რომ მას უყვარდა მაგარი სასმელები, რასაც სასტიკად კრძალავდა ისლამი. რთული პოლიტიკური და სამხედრო ბატალიების შემდეგ, როდესაც ისმაილი გარდაიცვალა, მამამისმა მოინდომა ვვამის გამოფენა მეჩეთში. ამ დროს ისმაილის მომხრეებმა გადაწყვიტეს ძეშვიდე იმამად გამოეცხადებინათ

1. Г. Э. Фон Грюнебаум. Классический ислам. М. 1986. გვ. 59.

ისმაილის ვაჟიშვილი მუჰამედი. მათ სწამდათ, რომ სულ იყო [illegible] ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე, იესო, მუჰამედი და მეორე მუჰამედ, ისმაილის ვაჟიშვილი და სწორედ ეს მეშვიდე მოევლინებოდა ქვეყანას მაჰდის როლში.

ისმაილიტებმა თავიანთ მოძღვრებაში გამოიყენეს ნეოპლატონიზმის იდეები ღვთაებრივი ემანაციის შესახებ.[1] მათი პოლიტიკის გამარჯვება იყო X საუკუნის 60-იან წლებში ეგვიპტეში გამარჯვება ფატიმიდების დინასტიისა, რომელმაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაიმაგრა პოზიციები ჩრდილოეთ აფრიკაში.

ისმაილიტების სექტა არ აღმოჩნდა ერთგვაროვანი. XI საუკუნის I ნახევარში მასში ჩამოყალიბდა ე.წ. დრუზების სექტა,რომელიც ეგვიპტის ხალიფა ჰაქიმშის ერთგული პიროვნების სახელთან იყო დაკავშირებული. ის აცხადებდა, რომ ხალიფა ჰაქიმში იყო განსხეულებული ადამის სული, რომელიც მსოფლიო გონების პროდუქტს წარმოადგენდა.

ისმაილიტური მიმართულებისა იყო აგრეთვე ასასინების მოძრაობა, XI საუკუნის ბოლოს. სახელწოდება წარმოდგება სიტყვიდან—ჰაშიში, რომლის მომხმარებლებსაც ეწოდებოდათ ჰაშიშინები. მათი საქმიანობის ძირითადი მეთოდი იყო რელიგიურ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ფიზიკური ანგარიშსწორება. ხელმძღვანელი იყო ჰასან ასსაბახი, რომლის რეზიდენციაც ალამუთის ციხე გახლდათ. მიუვალ ადგილებს თავშეფარებულები შიშის ზარს სცემდნენ ყველას. მათი მეთაური სიკვდილამდე არც კი გამოსულა თავისი ადგილსამყოფელიდან.[2]

ვაჰაბიზმი, მომთაბარე არაბი ტომების იდეოლოგია ჩაისახა XVIII საუკუნეში. ფუძემდებელი იყო მუჰამედ იბნ აბდ ალ-ვაჰაბი. მისი სახელის გამო თანამოაზრეებს ვაჰაბიტებს ეძახდნენ. ეს რელიგიური გაერთიანება ითხოვდა მუჰამედის დროინდელი ისლამის აღდგენას და

---

1. ემანაცია — ლათინ. გავრცელება, რისამე გამოყოფა, გამოსხივება საიდანმე; ნიშნავს გადასვლას უმაღლესი და სრულყოფილი ინტოლოგიური საფეხურიდან ნაკლებად სრულყოფილ და დაბალ საფეხურზე. შემუშავებულ იქნა ნეოპლატონიზმში. მნიშვნელოვანი გავრცელება პოვა ქრისტიანულ (კათოლიკურ) და არაბულ — მუსლიმურ თეოლოგიაში. იხ. **Ф. Э. С. М., 1983. გვ. 794.**

2. იხ. ქსე. ტ. I. თბ. 1975. გვ. 625.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიარებდნენ მხოლოდ ყურანს. ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ შეკვ-ნილის, მათ შორის მუჰამედის საფლავის თაყვანისცემასა [illegible] კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მუჰამედისა და მისი ოჯახის წევრების დაფიცებას. არ იყენებდნენ მათრობელა სასმელებს, თამბაქოს, არ უსმენდნენ მუსიკას, არ მღეროდნენ, არ მონაწილეობდნენ ცეკვებსა და თამაშებში, ე.ი. უარყოფდნენ ადამიანის ამღგზნებ ყოველგვარ საშუალებებს. 1740 წელს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იბნ ვაჰაბმა და იბნ საუდმა გადაწყვიტეს ერთად ემოქმედათ ვაჰაბიზმის გასავრცელებლად. გაიყვეს რა ძალაუფლება, ვაჰაბი სასულიერო ლიდერი გახდა, საუდი — საერო. მათ მიერ ნეჯდში შექმნილი სახელმწიფო უფრო ძალადობას ეყრდნობოდა, ვიდრე რელიგიურ ღვთისმოსაობას. მუსლიმთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვიეს, როდესაც ჯერ გაძარცვეს შიიტების სალოცავი, ხოლო 1806 წელს აიღეს ქ. მექა და დაარბიეს სალოცავები, არ შეეხნენ მხოლოდ ქა'ბას, სამაგიეროდ, შებილწეს მედინაში აიშას სახლი, სადაც სამი დიდი ადამიანის განსასვენებელი იყო. აქ ხომ ერთმანეთის გვერდით ესვენა მუჰამედი, აბუ ბექრი, ომარი. დროთა მანძილზე ეს სექტა გავრცელდა მესოპოტამიაში, სომალიში და ბევრი სირთულეებიც შეუქმნა ადგილობრივ ხელისუფლებას. ვაჰაბიტების მიერ უარყოფილი იყო მოლა, წმინდანები, წმინდა ადგილები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯიჰადს, ურწმუნოთა და რწმენაში დაბნეულთა წინააღმდეგ. როგორც რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანების იდეები, ადვილად გავრცელდა ინდოეთის მუსლიმებში. მათ მაშინვე იერიში მიიტანეს ადგილობრივ სიქხებზე.[1] ბრძოლის რელიგიური მოტივი ის გახლდათ, რომ „მუსლიმს არ შეეძლო ეცხოვრა ურწმუნოების ქვეყანაში", ამიტომაც, მისი მიზანი იყო საღვთო ომი წმიდა რწმენის, ალაჰის სუფთა სახელის რწმენის აღსადგენად.

მუთაზილიზმის მიმდინარეობა ჩაისახა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე, არაბეთის სახალიფოში. სექტის სახელწოდება წარმოდგება არაბულიდან და ნიშნავს განკერძოებულს, განცალკევებულს, განდეგილს. ისინი ითვლებიან მუსლიმური რაციონალისტური მიმართულების თეოლოგიის ფუძემდებლებად. რელიგიური ცნობიერების საფუძვლად გამოაცხადეს

1. სიქხები იყვნენ ერთ-ერთი ინდური რელიგიის სიქხიზმის წარმომადგენლები. ეს მიმდინარეობა აღმოცენდა XVI ს-ში ინდოეთში, როგორც ინდუიზმის სექტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონება და აქედან გამომდინარე თავისუფალი ნების პრინციპი ადამიანში, რითაც ეჭვის ქვეშ დააყენეს ღმერთის ყოვლისშემძლეობა, მას დაუტოვეს ზეციური განმსჯელის ფუნქცია, რომელსაც თვალი უნდა ედევნებინა ადამიანთა ქცევებისათვის და ამის შესაბამისად ან უნდა დაესაჯა ისინი, ან წაეხალისებინა, რაც იქნებოდა ღმერთის სიკეთის აუცილებელი გამოვლენა და არა მისი ნება. მუთაზილიტები მიიჩნევდნენ, რომ სიკეთისა და ბოროტების აბსოლუტურობა დამოკიდებული იყო გონებაზე და არა ალაჰზე. თავიანთი მოძღვრება სამი მთავარი პრინციპით წარმოადგინეს: 1. ადამიანი არის თავისუფალი არსება და ამ თავისუფლებას ალაჰიც კი ვერ შეზღუდავს; 2. ალაჰში აუცილებლად უნდა გაირჩეს საწყისის ანუ სუბსტანციის და საქმეთა ატრიბუტები. ეს ორი სხვადასხვა რამ არის და ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ. 3. ყურანი არ არის მარადიული წიგნი. მაშასადამე, ის ცხადდებოდა ადამიანის შექმნილად, რაც ყოვლად მიუღებელი იყო ისლამისათვის. სწორედ ამ სამმა პრინციპმა მუთაზილიტებს ბევრი მტერი გაუჩინა. მხოლოდ მეათე საუკუნეში მოხდა ერთგვარი დაზავება. მუთაზილიტმა აშარიმ გარკვეული შუალედური პოზიცია დაიკავა რაციონალიზმის აღიარებასა და იმ გადმოცემათა მომხრეებს შორის, რომლებიც ღმერთის ანთროპომორფიზებას ახდენდნენ. ის თუმც აღიარებდა ყურანს, როგორც ღმერთის სიტყვას, მაგრამ მის საწერ მასალას და ასოებს ადამიანის ხელით შექმნილად მიიჩნევდა. ასევე დაუშვა გონების მონაწილეობა მსჯელობის პროცესში, რითაც ისევ აიმხედრა მორწმუნეთა დიდი არმია. მეცნიერ ი. გოლდციერის სიტყვით „ასი წელი აღმოჩნდა საჭირო, რათა აშარი უდიდეს ავტორიტეტად ეღიარებინათ მართლმორწმუნე ისლამის დოგმატიკის სფეროში“.

XI საუკუნეში ისლამზე დაყრდნობით გავრცელდა მისტიკური იდეები, რომლის ფუძემდებლად ითვლება ირანელი ალ-ღაზალი („მრთველი“). ევროპელები იცნობენ ალ-ღაზალის სახელით. სუფიების გაზრდილს, მას სიბრძნის დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი. იმ დროში, მან ერთადერთმა შეძლო ისლამის და ინტელექტუალიზმის ურთიერთმორიგება. „ამ ერეტიკოსმა ისეთ წარმატებებს მიაღწია საქმიანობაში, რომ ფაქტობრივად გახდა მუსლიმური ეკლესიის მამა და უკიდურესად ორთოდოქსი მოღვაწეებიც კი დღემდე ლაპარაკობენ რა მის შესახებ, ხმარობენ უმაღლეს აკადემიურ ტიტულს „შაიხ ულ-ისლამ“. სუფიების შეხედულებით რელიგიური და ფსიქოლოგიური საქმიანობა თავიანთი ბუნებით

ერთმანეთის იდენტურია და წარმოადგენს უწყვეტ ტრადიციას, რომელიც შესაძლოა გააგრძელოს ზოგიერთმა ადამიანმა. ამ შეხედულებაზე დაყრდნობით ღაზალმა მიაგნო ისეთ მდგომარეობას, რომლითაც შეძლო წარმოეჩინა მისტიციზმიც და თეოლოგიაც მათი შინაგანობით ისე, რომ არ გასულიყო მათი არსიდან. ამასთანავე, წარმოაჩინა რელიგიისა და ფილოსოფიის რეალურობა იმგვარად, რომ დააინტერესა ყველა რელიგიის მიმდევარი. შეიქმნა აზრი, რომლის მიხედვითაც, თითქოს ის ცდილობდა მოეხდინა რელიგიების სინთეზი. მისი ინტელექტი ისლამში აღიარებული იყო უბადლოდ. ღაზალი 12 წელი (ეს იყო დერვიშებისათვის[1] აუცილებელი დრო) განდეგილად იყო, მოგზაურობდა, განსჯიდა და ემზადებოდა სუფიების მეთოდების გამოყენებით პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომლებზეც პასუხი არ შეიძლებოდა ჩვეულებრივ სამყაროში. ფუფუნებითი ცხოვრების საპირისპიროდ ასკეტური ჩაკეტილობა სუფიზმში იწვევდა გარე სამყაროსადმი სრულ გულგრილობას. თანდათან ჩამოყალიბდა ისეთ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც სხვებისაგან გამოსარჩევად იწყებენ თეთრი შალის მოსასხამების ტარებას და სახელწოდებაც „სუფ"-ი აქედან მოდის.[2] მუსლიმი სუფიი მისტიკოსები იცნობდნენ რა პლატონის ფილოსოფიასაც და ნეოპლატონიზმსაც, მოძღვრება ემანაციის შესახებ გამოიყენეს საკუთარი თავისაგან „მე"-ს განთავისუფლების გზით ღვთაებასთან

---

1. (დარვიშ-ი სპარს. därviš ქართულად უმეტესად იხმარება „დერვიში". იგივეა, რაც სუფი) – აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხეტიალე მუსლიმი ბერი, სუფიზმის მიმდევარი. მათი რაოდენობა როდესაც გაიზარდა, დაიწყო დერვიშთა ორდენების, კორპორაციების, საძმოების ჩამოყალიბება. ასეთ გაერთიანებებს ჰქონდათ თავიანთი წესდებები, სავანეები და ჰყავდათ თავიანთი სასულიერო იერარქიული პირებიც კი იდეოლოგიური საფუძველი იყო სუფიზმი. დერვიშთა რიგებში შემსვლელს ევალებოდა გაჰხდარიყო ერთ-ერთი ორდენის უხუცესი წარმომადგენლის მსმენელი. არსებობდა დერვიშ ქალთა სავანეებიც.

დერვიშთა გაერთიანებები სოციალურად არ იყო ერთგვაროვანი. მათში ერთიანდებოდნენ როგორც უქონელნი, ასევე მდიდრებიც. არ იყო გამორიცხული ქვეყნის უზენაესი ხელისუფალიც კი გაჰხდარიყო დერვიში. დერვიშთა ორდენები მოქმედებდნენ აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში. დღეისათვის მათი რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მათი გადმონაშთები შემორჩა ჩეჩნეთში, ინგუშეთში, შუა აზიისა და ყაზახეთის შორწმუნეებში. დაწვრ. იხ. СМЭ. т. V. М.1964. გვ. 127).

2. Индрис Шах. Суфизм. М. 1994. გვ. 176.

შერწყმის საშუალებად, რომელიც განიცდებოდა ერთადერთ, უმაღლესად. ღაზალი დარწმუნებული იყო ღმერთის არსებობაში და ამტკიცებდა, რომ ასკეტიზმით განწმენდილ ადამიანს მხოლოდ ინტუიციით და გონებით შეეძლო უზენაესის შეცნობა. ისლამის ორთოდოქსული მოძღვრება ბევრით დარჩა დავალებული მისგან, რის გამოც მას „მეორე მაჰმად წინასწარმეტყველს უწოდებდნენ".[1] XII-XVIII საუკუნეებში რელიგიურ-პოლიტიკური მოტივებით ისლამში კვლავ სხვადასხვა დაჯგუფებები ყალიბდებოდა. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა XIX – XX საუკუნეები.

XIX საუკუნის შუა ხანებში ისლამში ჩაისახა ორი ახალი მიმდინარეობა – სენუსიტების და ბაბიდების. პირველის დამაარსებელი იყო ალჟირელი მუჰამედ იბნ ალი ას-სენუსი. ეს მოძრაობა აღმოცენდა მექაში, მაგრამ ხელმძღვანელი თავისი რეზიდენციით გადასახლდა კირენაიკაში (ისტორიული ოლქი ლიბიაში). ისინი აქცენტს აკეთებდნენ მორალურ ასპექტებზე, კრძალავდნენ ღვინოს, ყავას, აბრეშუმის ქსოვილის ტარებას. აღიარებდნენ ყურანს, სუნას, შარიათს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჯიჰადს რწმენის სიწმინდის დასაცავად.

რაც შეეხება ბაბიზმს, მისი წარმოშობა უკავშირდება სეიდ ალ მუჰამედის სახელს, შირაზელ ვაჭარს, რომელმაც ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდამ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში თავი გამოაცხადა ბაბად, რაც ნიშნავდა თავისებურ შუამავალს ალაჰსა და მორწმუნეს შორის, კარიბჭეს. ალი აგრძელებდა შეიხიტების სექტის ხელმძღვანელის სეიდ კაზემ რეტშის საქმეს. ეს უკანასკნელი ითვლებოდა მოსასვლელი მეთორმეტე იმამის წინამორბედად.

ბაბმა დამთავრებულად გამოაცხადა ყურანსა და შარიათზე დამყარებული კანონების ბატონობა. წამოაყენა მოქალაქეთა თანასწოროობის პრინციპი; ადამიანთა უფლებების დაცვა, რითაც სწრაფად გახდა პოპულარული. აცხადებდა, რომ როგორც მოციქულის მემკვიდრე მოწოდებული იყო ახალი კანონების საუწყებლად. მის მოძღვრებაში დიდი ადგილი ეთმობოდა პანთეიზმისა და მისტიციზმის პრინციპებს. ბაბიზმი უარყოფდა ექსპლოატაციას და შიიტი სამღვდელოების თვითნებობას. ამ დროს დიდი უფლებები მოიპოვეს ადგილობრივმა ვაჭრებ-

1. ქსე. ტ.10. თბ. გვ. 581.

მა. ქვეყნიდან იდევნებოდნენ უცხოელი მოვაჭრენი; რაც შეეხება რელიგიას, ბაბმა გაამარტივა ისლამური კულტი, შეამცირა ლოცვების რაოდენობა.[1] ბაბისტურ მოძრაობაში დიდი როლი შეასრულა ქალმა ზაჰრე-ხანუმმა. ის იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, რომელიც ითხოვდა ქალთა ემანსიპაციის უფლებებს, ასევე მრავალცოლიანობისა და ქალების დამამცირებელი სხვა მუსლიმური ჩვეულებების გაუქმებას.[2]

1850 წელს შაჰის ბრძანებით ბაბი სიკვდილით დასაჯეს თეირანში. პროტესტის ნიშნად ბაბისტურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი ირანი. მაგრამ, რადგანაც უშუალო ხელმძღვანელი აღარ იყო, მოძრაობა თანდათან შესუსტდა და მალე თავი იჩინა ახალმა დაჯგუფებამ, რომელშიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ჰუსეინ ალი, ბაჰაულას სახელით ცნობილი (ეს სახელი ნიშნავდა „ღმერთის ბრწყინვალებას"). მოძრაობამ ბაჰაიზმის სახელწოდება მიიღო. გამოაცხადა რჯულშემწყნარებლობა. ცდილობდა ისეთი მსოფლიო რელიგიის შექმნას, რომელიც იქნებოდა სრულიად ახალი და შეძლებდა გართულებების გარეშე ხალხების გაერთიანებას. ამ რელიგიურმა მიმდინარეობამ უკანა პლანზე დააყენა კულტი; ლოცვას არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას და არც რელიგიური აკრძალვები მიულია კანონად. სავალდებულოდ აღარ ითვლებოდა მეჩეთში ერთობლივი ღვთისმსახურება, გააუქმა მთელი რიგი ბაბისტური აკრძალვები.[3]

ბაჰაიზმი ჩამოყალიბდა თანამედროვე რელიგიურ-სოციალურ-პოლიტიკურ მიმდინარეობად, რომელმაც თავის მოწოდებებსა და საქმიანობაში სერიოზული ყურადღება დაუთმო ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობას, რითაც შეძლო ავტორიტეტის სწრაფად მოხვეჭა. ის უარყოფდა ძალადობას და მოუწოდებდა სიყვარულისა და მიმტევებლობისაკენ. ბაჰაისტების რელიგიური წიგნი „ქითაბ აკდას" ანუ „უწმინდესი წიგნი" ამთლიანებდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს და ბაჰაისტურ ტაძრებში ამ წიგნიდან ამოღებულ ცალკეულ გამონათქვამებს კედლებზეც კი ლოზუნგებად აწერდა. ბაჰაი უდიდეს სიყვარულს გამოხ-

---

1. А. М. Аршаруни. Бабизм. Исторический очерк. М-Л. 1931. გვ. 21.

2. И. А. Крывелев. История религии. т. II. გვ. 257.

3. А. М. Аршаруни. Бехаизм. М. 1930. გვ. 18,23,25,31,37.

ატავდა უქონელი და მოშიმშილე ხალხისადმი. ის ბევრს წერდა ადამიანთა მომავალი კეთილდღეობის შესახებ, რომლებიც ეფუძნებოდნენ უთანასწორობის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. ერთი ბაჰაისტური წიგნი გარკვევით იუწყება: „იყო ბაჰაის მიმდევარი ნიშნავს გიყვარდეს მთელი კაცობრიობა, ემსახურო მას, იმუშაო საყოველთაო მშვიდობისა და ძმობისათვის. ბაჰაის მიმდევარი არის პიროვნება, რომელშიც შეთავსებულია ყველა საუკეთესო და სრულყოფილი თვისება. ბაჰაიზმი კრძალავს ადამიანების მხრივ ყოველგვარ ძალადობას, უსინდისობას და კაცობრიობას მოუწოდებს საყოველთაო სიყვარულისაკენ. ამ ამაღლებული გრძნობის დაუფლებაში ადამიანებს ეხმარება უფლისადმი ლოცვა, რომელიც დღეში სამჯერ აღევლინება და მისი მეშვეობით მორწმუნეში „იბადება უფალი". ბაჰაიზმის ძირითადი რელიგიური და მორალური პრინციპები შემდეგია: ჭეშმარიტების ძიება; მსოფლიო ხალხების ერთობა; რელიგია, როგორც საშუალება ძმობისა და სიყვარულისა; რათა გამოირიცხოს ადამიანებს შორის რელიგიური წინააღმდეგობები, აუცილებელია საერთო რელიგია, ასეთია ბაჰაიზმი; რელიგიისა და მეცნიერების მტკიცე კავშირი; ცრურწმენების უარყოფა-დაძლევა; სოციალურ და ეკონომიკურ საშუალებათა გათანაბრების გზით ადამიანთა თანასწორობის მიღწევა; ადამიანებისა და ხალხების თანასწორუფლებიანობა კანონის მიმართ; საყოველთაო მშვიდობა დედამიწაზე; რელიგიის ჩაურევლობა პოლიტიკაში; ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა; სულიწმიდის ძალა და სხვ.

ბაჰაისტებს აქვთ საკუთარი კალენდარი, რომელიც ეყრდნობა მზის სისტემას; წელიწადი მოიცავს ცხრამეტდღიან თვეს, სულ 361 დღეს, ხოლო ოთხი დღე არის დამატებითი მეთვრამეტე და მეცხრამეტე თვეებს შორის; დღესასწაულების უმეტესობა ბაჰაის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება. მთელ რიგ სახელმწიფოებში მოქმედებს ბაჰაიზმის 8 „თაყვანისცემის სახლი" და იმედოვნებენ, რომ მათი რაოდენობა თანდათან გაიზრდება. დღეს ბაჰაიზმი გავრცელებულია მსოფლიოს 30 ქვეყანაში, 10 მილიონი მიმდევარი აღიარებს ამ რელიგიურ მოძღვრებას. მოქმედებს 250000-მდე ადგილობრივი და 800-მდე „ეროვნული სასულიერო საბჭოები". ბაჰაის საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობს გაეროს სხვადასხვა მისიებთან, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მათი გაერთიანება „სამართლიანობის მსოფლიო სახლი" ჩაბმულია ეკოლოგიური პრობლე-

მების მოწესრიგებისათვის მოძრაობაში, განვითარებული ეგოიზმის, უპატრონო ბავშვებისა და სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებაში.

ბაჰაიზმი მოქმედებს საქართველოშიც. 1992 წელს აქ მისი გავრცელება დაიწყეს ირანელმა როჰანმა და ინდოელმა აფშინმა. ისინი ასრულებდნენ ბაჰაიზმის „გავრცელების საერთაშორისო კომიტეტის" დავალებას. „ოთხი თვის მანძილზე... თავიანთ რწმენაზე მოაქციეს საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების ოციოდე ადამიანი, ხოლო 1993 წელს თბილისში ჩაატარეს „ადგილობრივი სასულიერო საბჭოს" პირველი არჩევნები. 1994 წლიდან აქტიურ მქადაგებლობას ეწევიან: ქუთაისში, რუსთავში, მარნეულში, მცხეთაში, თელავში, გორში და ა.შ. დედაქალაქში მათი საკრებულო მოქმედებს აკ. წერეთლის გამზირზე. ოთახში გაკრულია აბდულ ბაჰას დიდი სურათი, რწმენის 11 ძირითადი პრინციპი, ქარმალის მთის სურათი ბაბის განსასვენებლის გამოსახულებით და კალენდარი, რომელზედაც აღნიშნულია დღესასწაული და „თაყვანისცემის სახლები". აქვთ ბიბლიოთეკა და მათთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები. მოქმედებს ეგრეთ წოდებული „ბაჰაის აკადემია". თვეში ერთხელ გამოსცემენ გაზეთს „ახალი ერა". დღეისათვის თბილისში არის 200-მდე ბაჰაის მიმდევარი, მთლიანად საქართველოში – 2500.[1]

XIX საუკუნის დასასრულს აფრიკაში, სუდანში ჩამოყალიბდა მაჰდიზმი. დამაარსებელი იყო დერვიში მუჰამედ აჰმედი, რომელმაც თავი გამოაცხადა მაჰდად (მესიად). რელიგიური თვალსაზრისით აღიარებდა პირვანდელ ისლამს. ძირითად მოწოდებად გამოაცხადა საღვთო ომი, რითაც დაუპირისპირდა ერთის მხრივ თურქეთისა და ეგვიპტის მუსლიმებს, როგორც ცრუმუსლიმებს, ხოლო მეორეს მხრივ კოლონიალიზმს, რითაც აიმხედრა ევროპა. თუმცა ამ მოძრაობამ მხოლოდ 20 წელი გასტანა, მაგრამ ტერიტორიულად სწრაფად გავრცელდა და საბოლოოდ ისევ ევროპელებმა ჩაახშეს.

1. მონაცემები აღებულია თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკ-ის თეოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულის ნინო ლოთიშვილის სადიპლომო ნაშრომიდან: „ბაჰაის რელიგია და საქართველო". თბ. 1997 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინათქმა	3
არაბეთი და არაბები მუჰამედამდე	5
მუჰამედი	12
ისლამის სარწმუნოებრივი მოძღვრება	43
ყურანი. სუნა და ჰადისები	56
შარიათი	66
ჯიჰადი (საღვთო ომი)	69
ისლამი მუჰამედის შემდგომ	72
სუნიზმი და შიიზმი	77
ისლამური სექტები	84

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა კანდელი უახლოეს მომავალში გამოსცემს:

ბუდიზმი

(რელიგია: წარსული და თანამედროვეობა)

* * *

იუდაიზმი

(რელიგია: წარსული და თანამედროვეობა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

© გამომცემლობა კანდელი 1998 წ.

წიგნის გამოცემის იდეა ზვიად ბოკუჩავასი

სტილი-კორექტურა — მელიტა მენთეშაშვილისა

წიგნი ააწყო და დააკაბადონა
პაატა დავითაშვილმა. ტ. 61-26-03.

წიგნი დაისტამბა ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვეთის № 83

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16, ბეჭდვა ოფსეტური.
სასტამბო ნაბეჭდი ფურცელი 6

ტირაჟი 2000